„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“
გიორგი ლეონიძე

№2 (266)

ქართული სიტყვა

ფასი 1 ლარი

14 — 20 იანვარი, 2015 წ.

ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

გამოდის თვეში ერთ ჯერ

„საქართველოში შავი დროშები აფრიალდება... დაჩოქილ ვედრებას დაგაწყებინებთ... გაჩენას ინანებთ, თქვე ვირთხებო!“

რადიკალი მუსლიმის მუქარა

>>> მე-12-13 გვ.

თელავის მუნიციპალიტეტში ვაჰაბიზმმა იფეთქა — საგანგაშო რეპორტაჟი სოფელ ყარაჯალადან

რომელი ტერორისტული ორგანიზაციები მოქმედებენ და არის თუ არა საქართველოში პოლიტიკური ისლამი

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ჩვენს ქვეყანაში 30-ზე მეტი ტერაქტი მოხდა

ამერიკელები საქართველოში 17-მილიარდიან პროექტს აცოცხლებენ

>>> მე-8-9-10 გვ.

„საწვავი ლარი ელირება!“ გია ჭანტურიას თქმით, სუფსის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა 2 წელში ამუშავდება

ერეკლეს გეორგიევსკის ტრაქტატის დადება მასონებმა აიძულეს?

ვინ იყო და როგორ მოხვდა დოქტორი რეინექსი მეფის კარზე — საქართველოს ისტორიის უცნობი და სკანდალური ფაქტები

„გედევან ფოფხაძის ინიციატივის დაკანონებას უკმაყოფილება მოჰყვება!“

>>> მე-2-3-4 გვ.

ვინ უბიძგებს ხალხს რევოლუციისკენ

გუზაბ სანიკიძის ყბადალებული მილიონის ყაზახური საიდუმლო

>>> მე-14-15 გვ.

№ 2 (266)
14 – 20 იანვარი 2015
ქართული სიტყვა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
ლიტერატურა. ზეპირსიტყვა. ჟურნალისტიკა

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“
გიორგი ლეონიძე

სკანდალური ექსკლუზივი

„გედევან ფოფხაძის ინიციატივის დაკანონებას უკმაყოფილება მოჰყვება!“

მსოფლიოში ტერორიზმის აჩრდილი დაძრწის! საფრთხე ჩვენთვისაც რეალურია – სხვა თუ არაფერი, რამდენიმე დღის წინ, ფრანგული სუპერმარკეტების ქსელ „კარფურის“ ქართულ საიტზე ხაკერული შეტევა განხორციელდა. უცნობებმა საიტზე ასეთი გზავნილი დატოვეს: „ჩვენ ვართ მუსლიმები. ყურანი ჩვენი წიგნია! ღმერთის გვწამს და ღმერთისთვის ვმუშაობთ! წყეულიმც იყოს „შარლი ებდო!“ ისლამი და ისლამისტები მუდამ დომინანტები იქნებიან! ისლამი სიმართლეა! ამიტომ არის ის ყველაზე სწრაფად ზრდადი რელიგია!“ პარიზის მოვლენებზე საუბრისას, უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკი, უსაფრთხოების ექსპერტი კონსტანტინე ფორჩხიძე აქცენტს სირიაში მებრძოლ საქართველოს მოქალაქეებზე აკეთებს და არც იმას გამორიცხავს, რომ მალე დიდი საბრძოლო ოპერაციების მოწმენი გავხდეთ. მართალია, ქართველი სპეცსამსახურელი „ქართულ სიტყვასთან“ საუბრისას ტერმინის – „მესამე მსოფლიო ომი“ ხსენებას ერიდება, მაგრამ მიანიშნებს, რომ სამყარო ახალი გამოწვევის წინაშე დგას და ყველაფერ ამის საბაბი კი, ალი ჰომეინის მოძღვრებაა. საერთოდ, ფორჩხიძე თვლის, რომ პოლიტიკურ ისლამს საფუძველი ირანის 1979 წლის რევოლუციის მერე ჩაეყარა და მას შემდეგ ირანმა „პოლიტიკური ისლამის“ ექსპორტი არაერთ ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოშიც განახორციელა. „იმის მაგივრად, რომ ჩვენი ხელისუფლება საზღვრების დაცვის პრევენციას ახდენდეს, სისხლის სამართლის კოდექსში იდიოტური ცვლილება შეაქვს“, – ამბობს ფორჩხიძე და გედევან ფოფხაძის ინიციატივას, რომლითაც პოლიციას ადამიანის გაჩხრეკვა ორდერის გარეშე შეეძლება, ადამიანის უფლებების დარღვევად აფასებს. მაშ ასე, რატომ გვაბრუნებს გ. ფოფხაძე შოთა კვირაიას საქართველოში და როგორ შეცვლის მსოფლიოს პარიზის ტერაქტი? – „ქართული სიტყვა“ აგრძელებს სკანდალური ინტერვიუების ციკლს უშიშროების ყოფილ თანამშრომელთან.

კონსტანტინე ფორჩხიძე: – საერთოდ, ვთვლი, რომ პარიზის ტერაქტი 2001 წლის 11 სექტემბრის გამოძახილია და მსოფლიო ტერორიზმის საფრთხის წინაშე კიდევ ერთხელ დადგა. სხვათა შორის, სწორედ ამ საფრთხეს, ანუ 11 სექტემბერს მოჰყვა ავღანეთში ე.წ. აი-სა-ფი-ს ოპერაცია. ახლო აღმოსავლეთში მოვლენები ახლაც, ალბათ, ანალოგიური სცენარით განვითარდება. ახლო აღმოსავლეთი კი, ავღანეთისგან განსხვავებით, ერთი სახელმწიფოს საზღვრებში არაა მოქცეული. ახლო აღმოსავლეთი თურქებით, არაბებით, ირანელებითა თუ ქურთებითაა დასახლებული, ანუ ჭრელია და ამიტომ, შესაძლოა, დიდი ომი დაიწყოს, რომელიც მხოლოდ იმ პრევენციული ღონისძიებებით არ შემოიფარგლება, რომელსაც აქამდე დასავლეთი ტერორიზმის წინააღმდეგ აწარმოებდა.

– ამ ომში რომელი სახელმწიფოები ჩაერთვებიან?

– რომელი და, – გერმანიის გამოკლებით, მთელი დასავლეთი.

– ორივე მსოფლიო ომი გერმანიამ დაიწყო და ახლა ომისგან თავს რატომღა შეიკავებს?

– გერმანელები პრაგმატულები არიან, თან გერმანიაში 10 მილიონზე მეტი თურქული წარმოშობის ადამიანი ცხოვრობს...

– ესე იგი, მსოფლიო მესამე ომის საშიშროების წინაშე დგას?

– ასე ვერ ვიტყვი. ეს უფრო ტერორიზმის წინააღმდეგ განხორციელებული სახმელეთო ოპერაციები იქნება, რომელიც ძირითადად, ახლო აღმოსავლეთში გაიშლება.

– ამ სახმელეთო ოპერაციების ლოკომოტივი, ცხადია, აშშ იქნება, არა?

– დიახ. სხვათა შორის, არ მგონია, რომ რუსეთი ამ ოპერაციების მიღმა დარჩეს, მით უმეტეს, არსებობს ინფორმაცია, რომ რუსებმა, პარიზის ტერაქტის მერე, სომხეთში, გიუმრის ბაზა სამხედრო მზადყოფნაში მოიყვანეს. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს ბაზა კონფლიქტის ზონასთან ძალიან ახლოსაა – სომხეთიდან სირია არცთუ შორსაა, თან რუსებს ერთი ბაზა სირიაშიც აქვთ, რომელიც ბაშარ ასადის რეჟიმის დამცველად ითვლება.

– ბატონო კოტე, სიტყვამ მოიტანა და, რუსეთს სირიაზე გავლენა რისთვის სჭირდება?

– იმისთვის, რომ ახლო აღმოსავლეთში თავისი პოლიტიკა გაატაროს. სირია საკვანძო ქვეყანაა და ამიტომ აქამდე საფრანგეთიც ფრთხილად ეკიდებოდა – სირიაში სახმელეთო ოპერაციის წინააღმდეგი იყო, მაგრამ პარიზის მოვლენების მერე, ვფიქრობ, ყველაფერი შეიცვლება. ყოველ შემთხვევაში, საფრანგეთი დარწმუნდა, რომ ის ბოროტება, რომელმაც ამ დღეებში ევროპაში იფეთქა, დაუსჯელი არ უნდა დარჩეს და პარიზში მოწყობილი ე.წ. ერთიანობის მარშიც სწორედ ამაზე მიანიშნებს.

– ყველაფერი ეს გასაგებია, მაგრამ ზოგი თვლის, რომ ტერაქტი პროვოცირებული იყო, ანუ „შარლი ებდოს“ შეურაცხმყოფელი კარიკატურები რომ არ გამოექვეყნებინა, სისხლი არ დაიღვრებოდა...

– ამ ჟურნალში მხოლოდ მუჰამედის კი არა, რომის პაპის და სხვა რელიგიური თუ პოლიტიკური მოღვაწეების კარიკატურებიც იბეჭდება, ანუ პარიზის ტერაქტი, ერთი შეხედვით, თავისუფალი სიტყვის წინააღმდეგ მიმართული სისხლიანი აქციაა, მაგრამ თუ პრობლემის სიღრმეებში ჩავალთ და ყველაფერს გლობალურ კონტექსტში განვიხილავთ, მაშინ შეიძლება, ვთქვათ, რომ პარიზის მოვლენებმა ბიძგი დიდი პროცესების დასაწყისს მისცეს. სწორედ ამიტომაა სიფრთხილე საჭირო და ყველა ღონისძიება, მათ შორის, პრევენციულიც სიფრთხილით უნდა გატარდეს, რადგან ყველაფერი შეიძლება, გლობალურ კატასტროფამდე მივიდეს!

– თუკი ამ გლობალურ სახმელეთო ოპერაციაში, რომელიც ტერორიზმის აღმოფხვრის საბაბით დაიწყება, მონაწილეობას რუსეთიც მიიღებს, ჩვენ რა საფრთხის წინაშე დავდგებით?

– საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, ცხინვალსა და სოხუმში რუსეთის ორი სამხედრო ბაზაა, ამას დავამატოთ წეღან ნახსენები გიუმრის ბაზაც. ასევე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ე.წ. ისლამური სახელმწი-

გაგრძელება მე-3 გვ.

ვინ უბიძგებს ხალხს რევოლუციისკენ და არის თუ არა საქართველოში პოლიტიკური ისლამი

„საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, ცხინვალსა და სოხუმში რუსეთის ორი სამხედრო ბაზაა, ამას დავამატოთ წეღან ნახსენები გიუმრის ბაზაც. ასევე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ე.წ. ისლამური სახელმწიფოს არმიის 50 პროცენტი ჩრდილოეთ კავკასიელებითაა დაკომპლექტებული და იმ შემთხვევაში, თუკი ახლო აღმოსავლეთში სახმელეთო ოპერაციები დაიწყება, ეს მებრძოლები საქართველოსკენ დაიძვრებიან“.

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

სპანდალური ექსკლუზივი

მე-2 გვერდიდან

ფოს არმიის 50 პროცენტი ჩრდილოეთ კავკასიელებითაა დაკომპლექტებული და იმ შემთხვევაში, თუკი ახლო აღმოსავლეთში სახმელეთო ოპერაციები დაიწყება, ეს მებრძოლები საქართველოსკენ დაიძვრებიან.

– რატომ?

– რატომ და, – ჩრდილოეთ კავკასიაში საქართველოს გავლით დაბრუნდებიან.

– ეს სცენარი კრემლის ინტერესშია?

– არ გამოვრიცხავ, რომ კრემლს ამ კატეგორიის ხალხის გამოჩენა აწყობდეს, რადგან შემდეგ, ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით, საქართველოში გარკვეული ოპერატიული ღონისძიებები გაატაროს.

– ანუ, სავსებით რეალურია, რომ ე.წ. ლაფანყურის მოვლენები განმეორდეს?

– დიახ, დაახლოებით, ასეთ ოპერაციას უნდა ველოდოთ...

ვანო, ყველაფერი, რაც დღეს მსოფლიოში ტერორიზმის კუთხით ხდება, ჩემი აზრით, იმ სახელმწიფოსგან იმართება, სადაც მე-20 საუკუნის 70-იან წლებში ისლამის ფუნდამენტალურმა ფრთამ, ანუ პოლიტიკურმა ისლამმა გაიმარჯვა.

– რას გულისხმობთ?

– რას და, – 1979 წლის ირანის რევოლუციას, როცა სახელმწიფო სათავეში ფუნდამენტალისტები მოვიდნენ. ირანულ სახელმწიფოს ლაიტმოტივად ალი ჰომეინის სიტყვები გასდევს.

– ჰომეინმა ასეთი რა თქვა?

– „ისლამური სწავლება ძირითადად ადამიანის ცხოვრების პოლიტიკურ მხარეს გულისხმობს, რელიგიურს კი, – ნაკლებად“, – ამბობდა ჰომეინი და ამით საფუძველი პოლიტიკურ ისლამს თუ არა, მის ერთ-ერთ მიმდინარეობას ჩაუყარა.

– პოლიტიკური ისლამი რა არის?

– პოლიტიკაში რელიგიის ჩარევა და ძალადატანება.

– ვერ გავიგე, რა თქვით...

– რელიგიურ მრწამსს, ანუ შიიტურ ფუნდამენტალიზმს ირანელებსაც ახვევენ – 1979 წლის რევოლუციის შემდეგ, ირანში ისეთი რიტუალები დამკვიდრდა, რაც ადრე ისლამისთვის უცხო იყო და ყველაფერ ამას ისლამური მოსახლეობა „დეჯბარს“ ეძახის. „დეჯბარი“ კი, ძალდატანებას ნიშნავს.

– „დეჯბარი“ რას ემსახურება, ანუ ყველაფერ ამის, ასე ვთქვათ, შლეიფი დიდი ფული ხომ არაა?

– საგულისხმოა, რომ ირანში ორგანიზაცია „ისლამური რესპუბლიკის კორპუსის მცველები“ არსებობს. სწორედ ეს ორგანიზაციაა დღევანდელი ირანის ხელისუფლების საყრდენი და მთელი ფინანსური ბერკეტი, დაახლოებით, 55 მილიარდი დოლარი მთლიანად ამ კორპუსის წევრების ხელშია. ამ თანხის 20 პროცენტი ირანის გარეთ სხვადასხვა ენერგეტიკული პროექტის განხორციელებას ხმარდება. ამის ნათელი მაგალითია ყაზახეთში სანტუდინსკის ჰესი, რომლის მშენებლობაშიც ძალიან დიდი ირანული ინვესტიცია ჩაიდო. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ ასეთი ინვესტიციებით ირანი, მსოფლიო მასშტაბით, პოლიტიკური ისლამის ექსპორტს ანხორციელებს.

– პოლიტიკური ისლამის ექსპორტის მთავარი მიზანი რა არის?

– ირანი ცდილობს, რეგიონში ზესახელმწიფო და მუსულმანური რელიგიის ცენტრი გახდეს...

სხვათა შორის, ჩვენმა მეზობელმა ქვეყანამ, აზერბაიჯანმა ეს საფრთხე თავიდანვე იგრძნო და იქ ფუნდამენტალიზმი, პრაქტიკულად, არ არსებობს, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოს მუსულმანებით დასახლებულ რეგიონებზე, თუნდაც, აჭარასა და პანკისზე. მოკლედ, აზერბაიჯანმა, ირანის პოლიტიკური ექსპანსიისგან თავი რომ დაეცვა, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა მიიღო – თუ სულიერი მოღვაწე აზერბაიჯანელი არაა, უფლება არ აქვს, ქვეყნის ტერიტორიაზე იქადაგოს და რელიგიური მოღვაწეობა აწარმოოს.

– ბატონო კოტე, იმის თქმა გინდათ, რომ მსგავსი კანონი საქართველომაც უნდა მიიღოს?

– არ ვიცი....

– ისე, საგულისხმოა, რომ მიხეილ სააკაშვილმა, თუ არ ვცდები, 2010 წელს, ირანთან უვიზო მიმოსვლა შემოიღო...

– დიახ. წინა ინტერვიუებში უკვე ვისაუბრეთ, ამაზე ამერიკელებმა რამხელა აჟიოტაჟიც ატეხეს. ვანო, თუ გახსოვს, ირანელები საქართველოს ინვესტიციებს ძირითადად საბანკო და ენერგოსფეროში სთავაზობდნენ...

– „ნაციონალებს“ თავი პროამერიკელებად მოაქვთ. აშშ-ს ირანი, რბილად რომ ვთქვათ, გულზე არ ეხატება. ამ ფონზე, საქართველოს ყოფილი ხელისუფლება ირანთან უვიზო მიმოსვლას იწყებს. ეს რაზე მეტყველებს?

– სწორედ ეს აჩენს შეკითხვებს და თავის დროზე სააკაშვილის ამ ნაბიჯის გამო აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმაც შეშფოთება გამოთქვა.

– თქვენი ვარაუდით, სააკაშვილმა ეს ნაბიჯი რატომ გადადგა?

– მიშა გრძნობდა, რომ ხელისუფლებას კარგავდა და ამით ამერიკელებთან ვაჭრობა დაიწყო...

– მაშასადამე, საზღვრის გახსნას საქართველოში ტერორიზმის ფარული დასაყრდენის გაჩენა მოჰყვა?

– გამორიცხული არაფერია და თუკი ასეთი ფარული ორგანიზაციები არსებობს, არავინ იცის, ისინი როდის ამოქმედდებიან.

სხვათა შორის, ამ თემატიკასთან შეხება, ჩემი სამსახურეობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, თავის დროზე მქონდა, მაგრამ არც მაშინ და, ალბათ, არც ახლა, ყურადღებას არავინ აქცევს, რომ საქართველოს აზერბაიჯანელი მოსახლეობა გარკვეულ მომზადებას ქალაქ ყუმში გადის, მერე კი, საქართველოში ბრუნდება და რელიგიურ მოღვაწეობას ეწევა.

ვანო, ადრე ისიც გითხარით, რომ თბილისის ჯუმა მეჩეთში, მესამე სართულზე, სუნიტური მედრესე ფუნქციონირებდა, სარდაფში კი, – შიიტური, რაც წარმოუდგენელია. ყველაფერ ამან კი, საქართველოში პოლიტიკური ისლამი შემოიტანა.

– ესე იგი, საქართველოში ტერორიზმის ექსპორტის საფრთხე რეალურია?

– რა თქმა უნდა. თუკი სირიაში სახმელეთო ოპერაცია დაიწყება, იმ 20 თუ 30 ათასმა ადამიანმა, რომელიც, ძირითადად, საბჭოთა იარაღითაა აღჭურვილი, არ მგონია, წინააღმდეგობის გაწევა დიდხანს მოახერხოს. საბოლოოდ, ყველაფერი იმით დამთავრდება, რომ ეს ხალხი გაიბნევა. ომისგან ტრამვირებული ადამიანები კი, ტერორიზმის კუთხით, საშიშები არიან, თან იმასაც გააჩნია, სირიიდან წასვლას სად გადაწყვეტენ. უნდა ვივარაუდოთ, რომ სამშობლოში დაბრუნდებიან, რაც ცუდი მხოლოდ საქართველოსთვის კი არა, რუსეთისთვისაც იქნება, რადგან როგორც აღვნიშნე, ე.წ. ისლამური სახელმწიფოს მებრძოლთა 40 პროცენტი ჩრდილოკავკასიელია...

– სხვათა შორის, რამდენიმე თვის წინ, პანკისელი თარხან ბათირაშვილი, რომელიც, სხვათა შორის, ქისტი კი არა, ქართველია და დღეს „ისლამური სახელმწიფოს“ ერთ-ერთ ლიდერად ითვლება, რუსეთს დაემუქრა. მაშინ ისიც ითქვა, რომ ბათირაშვილმა მამამისს თითქოს ტელეფონით აცნობა, რომ თანამებრძოლებთან ერთად, საქართველოში დაბრუნებას აპირებს. ბათირაშვილის ეს განცხადება, ბატონო კოტე, მგონი, თქვენს ანალიზში ჯდება...

– ყველაფერი, რა თქმა უნდა, ერთმანეთთან კავშირშია. საერთოდ, ტერორიზმი ძალიან გლობალური საკითხია და მის გაანალიზებას სრული სურათის წარმოდგენა სჭირდება, თუმცა იმის სრული აღწერა, რაც დღეს ახლო აღმოსავლეთში ხდება, მხოლოდ მე კი არა, ერთ სპეცსამსახურსაც არ შეუძლია. ჩვენ, ყველანი, ფრაგმენტულად ვმსჯელობთ... საქართველო დიდი აღმოსავლეთის ნაწილია და თუკი იქ სერიოზული ჯახი დაიწყება, ეს გვერდს ჩვენც არ აგვივლის.

– ესე იგი, ერთ დღეს თბილისი და საქართველოს სხვა დიდი ქალაქები შესაძლოა, ტერაქტების ალში გაეხვიოს?

– შესაძლებელია... ვანო, მოდით, ამას სხვა კუთხით შევხედოთ.

– რომელი კუთხით?

– ჯერ ერთი, ცალსახად არ უნდა ვთქვათ, რომ ეს საფრთხე ისლამისგან მოდის და ამას რამდენიმე წლის წინ ნორვეგიაში მომხდარი ტერაქტიც ადასტურებს – ბრეივიკი მუსულმანი არაა. მეორეც, ტერორიზმისგან ისეთი ქვეყნებიც არ არიან დაცულნი, მაგალითად, როგორიც აშშ და თუნდაც საფრანგეთია. ამ ფონზე რა გარანტია გვაქვს, რომ ჩვენთან არაფერი მოხდება.

სხვათა შორის, ირანს პოტენციურ მოწინააღმდეგედ მხოლოდ აშშ კი არა, ისრაელიც თვლის. მეტიც, ებრაელები ღიად ამბობენ, რომ ბოროტების სათავე ირანია...

– ტერორისტების სამიზნე, როგორც წესი, ხალხმრავალი ადგილებია. საქართველოში კი, ასეთი ადგილი საზოგადოებრივი ტრანსპორტია, მაგალითად, მეტრო. მაშასადამე, მეტროთი მგზავრობას ვერიდოთ?

– ასე ვერ ვიტყვით, რადგან ტერორიზმის სამიზნე შეიძლება, სტრატეგიული ობიექტები და ამერიკელების გაკეთებული ლუგარის ლაბორატორიაც გახდეს.

– ტერორისტებმა იერიში შეიძლება, იმ ქართველ პოლიტიკოსზეც მიიტანონ, რომელიც საქართველოს ნატო-სა და ევროკავშირში ინტეგრაციას აქტიურად ითხოვს?

– ადვილი შესაძლებელია, თუმცა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, საქართველო ამ სიტუაციაში ჩათრეული რამდენად აღმოჩნდება. ისე, თარხან ბათირაშვილის მომენტიდან გამომდინარე, ამ პროცესში, გვინდა თუ არა, უკვე ჩართულები ვართ – ბათირაშვილი საქართველოს მოქალაქეა და ამან ქვეყანას შესაძლოა, დიდი ზიანი მიაყენოს. ამიტომ, სახელმწიფო სტრუქტურებმა პრევენციაზე ფიქრი დღესვე უნდა დაიწყონ.

– პრევენციაში რას გულისხმობთ?

– პირველ რიგში, სასაზღვრო ზოლის კონტროლსა და იმ ადამიანთა ოჯახების ოპერატიულ მეთვალყურეობას, რომლებიც სირიაში იბრძვიან, თუმცა ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ვინმეს უფლებები შეიზღუდება.

ცვლილებები, ალბათ, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაშიც უნდა შევიდეს, რომელიც კრიზისულ სიტუაციებში ქვეყნის ძირითადი დოქტრინაა, თუმცა ხელისუფლება აბსოლუტურად არაადექვატურად იქცევა და ცვლილებები, მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსში შეაქვს, ანუ მარტივად რომ ვთქვა, ხელისუფლება ადამიანის უფლებების დაცვის კი არა, შეზღუდვისკენ მიდის.

– ამას რატომ ამბობთ?

– უფლების შეზღუდვაა, აბა, რა არის, როცა სამართალდამცავს, თუკი სახეზე არ მოვეწონები, უფლება ეძლევა, გამჩხრიკოს?!

– გედევან ფოფხაძის ინიციატივას გულისხმობთ, რომლის თანახმადაც, პოლიციას, გადაუდებელი აუცილებლობის დროს, ჩხრეკის ჩატარება ორდერის გარეშე შეეძლება?

– დიახ. საერთოდ, ჩხრეკა სამძებრო-ოპერატიული ღონისძიებების ერთ-ერთი ხერხია და ვინმემ მითხრას, ამაზე იურიდიული დოკუმენტი რატომ არ უნდა შედგეს?

– ფოფხაძის თქმით, დოკუმენტის შედგენა სამართალდამცავებს დროს დააკარგვინებთ...

– ფოფხაძე სპეცსამსახურის წარმომადგენელი არ არის...

– სამაგიეროდ, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეა...

– ფოფხაძე კი არა, ჯობია, ის გამოვიდეს და ილაპარაკოს, ვის ტვინშიც ყველაფერი ეს დაიბადა. მსგავსი იდეა „ნაცმოძრაობასაც“ არ მოსვლია. კი ბატონო, ადამიანებს მაშინაც ჩხრეკდნენ, მაგრამ იურიდიული დოკუმენტის შედგენას კანონი მაინც ითხოვდა...

– ისე, ბატონო კოტე, უცნაურია: თქვენ, ყოფილი სპეცსამსახურელი ძალოვანებისთვის უფლებების გაზრდას აპროტესტებთ, უფლებადამცველი ფოფხაძე კი, ვენებს იხსნის, ჩხრეკის ოქმის შედგენა რა საჭიროა...

– სპეცსამსახურის უპირველესი მოვალეობა მოქალაქეების უსაფრთხოების დაცვაა, თან ეს უსაფრთხოება ისე უნდა მოხდეს, რომ ადამიანის უფლებები არ დაირღვეს. სწორედ ეს წერია ადამიანის უფლებების ევროპულ ქარტიაში. ფოფხაძის ინიციატივას კი, შეიძლება, ის მოჰყვეს, რომ აბსოლუტურად უდანაშაულო ადამიანი ქუჩაში გააჩერონ და ჯიბეში „გრანატამიოტი“ უპოვონ, თან ისე, რომ ამაზე ჩხრეკის ოქმიც

გაგრძელება მე-4 გვ.

4

№ 2 (266)

14 – 20 იანვარი 2015

ქართული ოტუჯა

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

სპანდალური ექსკლუზივი

მე-3 გვერდიდან

არ შეადგინონ. არასამთავრობო სექტორმა, რომელიც მოსმენებზე წიკვინებდა, ერთი ამბავი სწორედ ამაზე უნდა ატეხოს, მაგრამ ხმას არ იღებს.

– ხელისუფლებას მსგავსი ცვლილებები რისთვის სჭირდება?

– არ ვიცი, ეს ხელისუფლებას ჰკითხეთ... ისიც საკითხავია, ყველაფერი ეს ხელისუფლებას სჭირდება თუ ვინმე სხვას?

– ეს „ვინმე სხვა“ ვინაა?

– არც ეგ ვიცი, მაგრამ დამიჯერეთ, ამ ცვლილების დაკანონებას ხალხის უკმაყოფილება და ერთი ვაი-ვიში მოჰყვება. ასეთი კანონები იმიტომ ხომ არ იწერება, რომ ვიღაცას ხალხის ქუჩაში გამოყვანა უნდა? ისეთი პარლამენტი და ხელისუფლება არ მჭირდება, რომელიც ხალხის საწინააღმდეგო ნაბიჯებს დგამს და ადამიანის უფლებებს ზღუდავს!

აშშ-ის კონსტიტუციაში პირდაპირ წერია, რომ თუკი საკანონმდებლო ორგანო ისეთ კანონს მიიღებს, რომელიც ადამიანის უფლებებს ზღუდავს, ამერიკელ ხალხს აჯანყებისა და რევოლუციური გამოსვლის უფლება აქვს! ხალხს რევოლუციისკენ რატომ უბიძგებენ? რას ჰქვია, ვიღაც ოპერმუშაკმა იურიდიული დოკუმენტის შედგენაში დრო არ უნდა დაკარგოს? თუ ამას იმიტომ აკეთებენ, რომ წერა-კითხვა არ იციან, მაშინ გაყარონ და ისინი მიიღონ, ვინც მხოლოდ წერა-კითხვა კი არა, მუშაობაც იცის! თუ ადამიანზე არ არსებობს კონკრეტული ინფორმაცია, რომ კანონდარღვევას სჩადის, ვთქვათ, იარაღს უკანონოდ ატარებს, ქუჩაში რა უფლებით უნდა გააჩერონ?! ფოფხაძე 90-იან წლებში, შოთა კვირაიას „რეიდების“ პერიოდში გვაბრუნებს თუ როგორაა მაგის საქმე? თუ ეს საკანონმდებლო ინიციატივაა და შსს თვლის, რომ მისთვის აუცილებელია, ვიღაც ფოფხაძემ კი არ უნდა ილაპარაკოს, შსს თვითონ უნდა გამოვიდეს და დაასაბუთოს...

– ფოფხაძე ვიღაც კი არა, დეპუტატია, თან ის დეპუტატი, რომელმაც უმრავლესობა დაშლისგან იხსნა!

– ფოფხაძე ჩემთვის ვიღაცაა! როგორ შეიძლება, ადამიანი, რომელსაც თავში ასეთი სისულელე მოსდის, დეპუტატი იყოს? ყველაფერი ეს უსისტემობაზე, არაპროფესიონალიზმსა და უნიათობაზე მეტყველებს, თორემ შესაბამისი გზები და საშუალებები არსებობს, რითიც შეიძლება, ადამიანზე ინფორმაცია მიიღონ და დანაშაულის პრევენცია მოახდინონ. ის კი, რასაც ვიღაც ფოფხაძე ამბობს, პრევენცია არაა! დიახ, ფოფხაძე ადამიანის უფლებების შეზღუდვის დაკანონებას ითხოვს და ეს შეზღუდვა, თავისი მნიშვნელობით, მოსმენასა და გარე მეთვალყურეობაზე ნაკლები არაა!

ისე, დააკვირდით, ეს იდეა ფოფხაძემ ახალი წლის დღეებში გაახმოვანა, რადგან ამ პერიოდში საზოგადოება ნაკლებად აქტიურია და, როგორც ჩანს, სურს ეს ცვლილება მალე დააკანონოს! მაინტერესებს, შს მინისტრის მოადგილე ლევან იზორია, რომელიც თავის დროზე ხალხს ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული სისტემის შექმნას პირდებოდა, ახლა ჩუმად რატომაა? რა, ეს ინიციატივა ადამიანის უფლებების დაცვისკენაა მიმართული? ადამიანები, სკამებზე რომ სხდებიან, იცვლებიან! სხვათა შორის, მათგან განსხვავებით, რასაც ადრე ვაკეთებდი, ახლაც იმას ვაკეთებ და მთელი ჩემი უბედურებისა თუ ბედნიერების მიზეზი ისაა, რომ სისტემაში მუშაობისას ადამიანის უფლება ერთხელაც არ დამირღვევია!

– ბატონო კონსტანტინე, საქართველოში ანტიტერორისტული ცენტრი ხომ ფუნქციონირებს?

– გლობალური ცენტრი, როგორც ვიცი, არ არსებობს, ამ კუთხით შსს-ს დანაყოფს კი, ირაკლი ჩიმაკაძე ხელმძღვანელობს.

– ასეა თუ ისე, ვერ გავიგე, ტერორიზმით ფული როგორ კეთდება? ისე, თქვენი ინფორმაციით, კონკრეტული დავალების შესრულებაში ტერორისტი გასამრჯელოს იღებს?

– რა თქმა უნდა... ტერორისტებს სპეციალურ ბანაკებში ამზადებენ.

სხვათა შორის, ისლამურის გარდა, სხვა სახის ტერორიზმიც არსებობს, მაგალითად, ე.წ. ნაცისტების მიმდინარეობა.

– ეს რომელია?

– ვთქვათ, ბრეივიკი, რომელმაც ნორვეგიაში უდანაშაულო ახალგაზრდები დახოცა. საერთოდ, მოტივაციის მორგება ძალიან ადვილია. ისე, განვითარებული და მოაზროვნე ადამიანები ტერორისტები იშვიათად ხდებიან. სამაგიეროდ, საამისოდ კარგი, ასე ვთქვათ, მასალა ფსიქიკურად ჩამოუყალიბებელი პიროვნებაა.

– საგულისხმოა, რომ ქრისტიანობა ტერორიზმის საბაბი არ ხდება...

– როგორ გეკადრებათ? აბა, კუკლუს კლანი რა იყო?

– კუკლუს კლანი უფრო მაფიოზური გაერთიანება იყო...

– კი ბატონო, მაგრამ საფუძვლად მაინც რელიგია ედო... ისე, ადამიანების მოკვლას არც ქრისტიანობა ქადაგებს და არც – მაჰმადიანობა. ისლამში ეს მიმდინარეობა, როგორც გითხარით, მე-20 საუკუნის 70-იან წლებში გაჩნდა...

– ტერორისტები, როგორ წესი, საბჭოთა წარმოების იარაღს იყენებენ. რატომ?

– იმიტომ, რომ აქაც ფულის ინტერესია.

– ანუ?

– ვანო, წინა ინტერვიუებში გითხარით, საბჭოთა კავშირი ჰამასსა და პალესტინელ ტერორისტებს იარაღით როგორ ამარაგებდა და ეს საკითხი, სხვათა შორის, პოლიტბიურის დონეზე წყდებოდა. იარაღის თითქმის ყველა ბარონი ყოფილი საბჭოთა სივრციდანაა...

მოკლედ, ტერორიზმით დიდი კი არა, ძალიან დიდი ფული კეთდება! ტერორიზმი ჩვეულებრივი მაფიაა.

– რომლის წარმომადგენლებიც პოლიტიკაშიც არიან, არა?

– რა თქმა უნდა...

– ისე, არსებობს ინფორმაცია, რომ პარიზის ტერაქტამდე პოლიციას გარკვეული ინფორმაცია ჰქონდა. თუკი ასე იყო, აბა, ტერაქტი რატომ არ აღკვეთა?

– საერთოდ, ძალიან საინტერესო დეტალებია, თუცა ვიდრე გამოძიება არ დამთავრდება, დასკვნების გაკეთება არ შეიძლება...

– მსოფლიო მედიამ განსაკუთრებული აქცენტი ორლანდის საახალწლო მილოცვაზე გააკეთა, რამდენიმე დღეში კი, პარიზში ტერაქტი მოხდა, ანუ ტერაქტი ვიღაცას თუნდაც იმიტომ ხომ არ აწყობდა, რომ მესამე მსოფლიო ომი დაიწყოს?

– საკითხს ასე ვერ შევხედავთ. ადამიანების სიკვდილი არავის უხარია, მაგრამ პოლიტიკაში ასეთი რაღაცებიც ხდება...

– ...ქუჩაში ტერორისტის ამოცნობა შეგვიძლია?

– (იღიმება) გულუბრყვილო შეკითხვაა... სხვათა შორის, საბჭოთა კავშირის დროს, 70-იან წლებში, მოსკოვის მეტროში დიდი ტერორისტული აქტი მოხდა და, როგორც ვიცი, ტერორისტები დაიჭირეს. პარიზის ტერაქტი კი, ჯიჰადის ტიპურ ნამოქმედარს არ ჰგავს.

– ამას იმიტომ ამბობთ, რომ ტერორისტები თვითმკვლელები არ იყვნენ?

– თუნდაც... პარიზის ტერაქტი გარკვეული მესიჯია, რასაც გაგრძელება აუცილებლად მოჰყვება...

ესაუბრა ᲕᲐᲜᲝ ᲞᲐᲕᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

(თემის გაგრძელება მე-12 გვერდზე)

ᲮᲘᲠᲘᲮᲘᲡᲮᲘᲠᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

14 - 20 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ 2015

№ 2 (266)

5

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲜᲘᲤᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲞᲝᲔᲖᲘᲐ

ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ

ᲒᲐᲜᲓᲔᲒᲘᲚᲘ

ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐ, (ᲕᲣᲫᲚᲕᲜᲘ ᲝᲚᲚᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡᲐᲡ)

I

სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა
ორბნი, არწივნი ვერ შეჰხებიან,
სად წვიმა—თოვლნი, ყინულად ქმნილნი,
მზისგან აროდეს არა დნებიან,
სად უდაბურსა მას მყუდროებას
კაცთ ურიამული ვერ შესწვდენია,
სად მეუფება ჭექა-ქუხილსა,
ყინულს და ქართა მხოლოდ შთენია, —
უწინდელს დროში ღვთისა მოსავთა
გამოუქვაბავთ მუნ მონასტერი
და იმ ყინულში შეთხრილს ღვთის ტაძარს
ბეთლემს უწოდებს დღესაცა ერი.
ფრიალოსაებრ ჩამოთლილი აქვს
იმ წმინდათ სადგურს ყინულის ზღუდე,
და ზედ კარია გამოკვეთილი —
ვით კლდის ნაპრალზედ არწივის ბუდე.
ზღუდის ძირამდე რკინის რამ ჯაჭვი
ზედა ჰკიდია თურმე იმ კარსა, —
და თუ არ ჯაჭვით, სხვაფრივ ვერა გზით
ვერ ძალუძს ასვლა ვერარა კაცსა.

II

აქა ყოფილა უწინ კრებული
ღვთისთვის ქვეყნიდამ განდეგილ ძმათა
და მყინვარს ამას უდაბნოს თურმე
ისმოდა ქება წმიდა-წმიდათა.
აქა გამდგარან, განშორებიან
ამ წუთისოფლის სამაცდუროსა,
აქ ჰღირსებიან მართალთა თანა
სავანესა მას საუკუნოსა.
გასულან ამა ქვეყნით მამანი
და ტაძარი ღვთის გაუქმებულა...
იმათის ღვაწლით ამ ტაძრის მადლი
მთიულთა შორის ყველგან განთქმულა.
და ის ადგილი, ის არე-მარე
ესოდენ წმინდად სწამს დღესაც ერსა,
რომ ნასროლს ნადირს, მუნ შეფარებულს,
მონადირეც კი ვერ ახლებს ხელსა.
თუ არ ღვთის ღირსი, სხვა ვერვინ თურმე
ამ წმინდა ადგილთ ვერ შეეხება,
და თუ შეჰბედავს, მსწრაფლ რისხვა ღვთისა
ჭექა-ქუხილით მოევლინება.

III

ოდესღაც ტაძარს იმ გაუქმებულს
მეუდაბნოე შეჰკედლებია;
საიქიოსთვის ეს სააქაო
დაუთმია და განშორებია.
განშორებია ვით ცოდვის სადგურს,
ვით სამეუფოს ბოროტისასა,
სადაც მართალი გზას ვერ აუქცევს
განსაცდელსა მას ეშმაკისასა,
სად ცოდვა კაცსა სდევნის დღედაღამ,
ვითა მპარავი და მტაცებელი;
სად, რასაც ჰხადის მართალი მართლად,
მას უმართლობად ჰქმნის ცოდვის ხელი;
სად რყვნა, წაწყმედა და ღალატია,
სადაც ძმა ჰხარბობს სისხლსა ძმისასა,
სად ცილი, ზაკვა ძულებადა ჰხდის
წმინდა სიყვარულს მოყვასისასა
განშორებია ამ წუთისოფელს,
სად ყოვლი ნიჭი მაცდურებაა,
სად თვით სიტურფე და სათნოება
ეშმაკის მახე და ცდუნებაა.

IV

განდეგილა და ამ ყინულებში
სულ მარტოდ-მარტო დაყუდებულა
და გვამი მისი ცოდვილთ ფიქრთაგან
იმ დღიდგან აღარ შეძრწუნებულა.
განუდევნია გულიდამ ყველა
მსოფლიო ზრახვა, ფიქრი, წადილი,
რათა წარუდგეს უფლისა მსჯავრსა
სულით განწმენდილ და განბანილი.
დღედაღამ ლოცვით, გოდებით, გვემით
ხორცი სულისთვის უწამებია.
და ვით ჭურჭელი იგი წყმედილი —
ცრემლით ურეცხავს, უსოვლებია.
დღედაღამ სულთქმა და ღაღადება
მოჰფენია კლდეს ყინულისასა,
და არ შემწყდარა მუნ ლოცვის ცრემლი,
ვითა ღელესა მას გლოვისასა.
განყენებული წუთისოფლისგან
აქ სული მისი აღყვავებულა,
და ხორციელი გულისთქმა ყველა
დამარხულა და განსვენებულა.

V

არ იყო ხნიერ, მაგრამ ვით წმინდანს
სულის სიმაღლე ზედ დასჩენოდა,
ზედ ეტყობოდა, რომ სული მისი
სულ სხვა მსოფლიოს შეჰხიზნებოდა.
სახე გამხდარი, კუშტი და მწყრალი
სიწმინდის მადლით დაჰშვენებოდა,
და მაღალს შუბლსა, ნაოჭად შეკრულს,
შარავანდედი გადაჰფენოდა.
მისთა მცხრალ თვალთა ღრმა მეტყველება
ესოდენ იყო წყნარი და ტკბილი,
თითქო მათ შიგან ჩასახებულა
თვით სათნოება, კდემით მოსილი;
თითქო ნელისა სიხარულითა
სამოთხის ღია კარს შეჰხარიან
და სულთან ერთად უფლისა მიმართ
სასოებითა მიისწრაფიან.
ლოცვით და მარხვით ხორც-უძლურ-ქმნილი
ჰგვანდა წმინდანსა იგი წამებულს,
მრავალგზით ტანჯულს და ტანჯვათ ზედა
ძლევით-მოსილსა და განდიდებულს.

VI

წამება მისი ღმერთს შეუწირავს,
ვედრება მისი ღმერთს უსმენია,
და სასწაული ნიშნად მადლისა
მღაღადებელზედ მოუვლენია.
ბნელსა სენაკსა, სად იგი მდგარა,
ჰქონია მზის მხრივ ერთი სარკმელი,
და მუნით თურმე გადმოდენილა
შუქი მზისა და მთვარის ნათელი.
ოდეს უდაბნოს გასწვრივ მთის წვერზედ
მზე სხივგაფენით ამოვიდოდა,
იმ სარკმლით სხივი მისი სენაკში
სვეტად ბრწყინვალედ ჩაეშვებოდა.
როს ჰლოცულობდა, იმ სხივსა თურმე
თვის ლოცვანს მწირი ზედ დააყრდენდა,
და ხორცთუსხმელი მზის სხივი იგი
უფლის ბრძანებით ზედ შეირჩენდა.
ეგრე ვიდოდნენ დღენი და წელნი,
ეგრე უბიწოდ იგი სცხოვრობდა...
და თვის სიწმინდეს ყოველდღე თურმე
ამ სასწაულით შეიმოწმებდა.

VII

ერთხელ, საღამოს, ლოცვით დაღლილი
გადმომდგარიყო ზღუდის კარებსა
და დაფიქრებით გადმოჰყურებდა
მწვანით დაფენილს მთისა კალთებსა.
მზე გადახრილი ჯერ კიდევ სრულად
მთისა გადაღმა არ დასულიყო
და მთის წვერზედ, ვით ცეცხლის ბორბალი,
ირგვლივ სხივგაშლით ანთებულიყო.
ცისა ლაჟვარდი, ვით ნაკვერჩხალი,
წითლად და ყვითლად მზისგან ჰღუვოდა,
და განმსჭვალული მისით ღრუბელი
შორს ათასფერად სხივებში ჰთრთოდა.
ამა უბიწო დიადის ხილვით
წარტყვევნილ იქმნა განცვიფრებული.
უეცრად ასტყდა რამ ნიავ ქარი,
დაჰბერა კლდეთა, ნაპრალთ და მღვიმეთ,
და მყინვარიდამ ვითა ვეშაპი
შავი ღრუბელი დაიძრა მძიმეთ.

VIII

დაიძრა მძლავრი, უზარმაზარი,
ცაზედ განერთხო და გაიშალა,
და იქ, თითქო მტერს შეეჯახაო,
ჭექა-ქუხილით დაიგრიალა.
შეირყა მთელი ცა და ქვეყანა
იმა ჭექით და იმა ქუხილით,
ცა აირია, დაბნელდა უცებ
და წამოვიდა სეტყვა შხუილით.
ქუხვა და ჭექა, ელვა და სეტყვა,
არევ-დარევით ღრუბლების სრბოლა,
ქართა, აწ გრიგლად რადმე ქცეულთა,
ზარით და ზათქით კლდეებში ქროლა, —
ესე ყოველნი, ერთად რეულნი,
ჰგვანდნენ ცით ვლენილს რისხვას ღვთისასა,
თითქო ღმერთი სჯის ქვეყანას ცოდვილს
დღეს მას საშინელს განკითხვისასა.
ამ დროს ის მწირი სენაკში იყო,
ცრემლით ალტობდა ღვთის-მშობლის ხატსა
და ხელაპყრობით ევედრებოდა
წარწყმედისაგან ქვეყნისა ხსნასა.

IX

უცებ მოესმა რაღაც კაცის ხმა...
ეოცა ეს ხმა უჩვევი მწირსა.
ყური ათხოვა — და თითქო ვიღაც
ჰკივის, იძახის ზღუდისა ძირსა.
ეცა მსწრაფლ კარებს და გადიხედა...
ვიღაც კარის ჯაჭვს ზედ მოსდგომოდა,



და ვით ყრმა ვინმე, ღაღადების ხმით,
შესაფარებელს ბინას ითხოვდა.
თუ ძეა კაცის, რამ მოიყვანა
ამ დროს, ამ ღამეს ქვეყნისა რღვნისას?
მხეციც, ნადირიც თვის ბუდეში ჰძრწის
მორიდებული ამ რისხვას ღვთისას!
ჰკითხა: — ვინა ხარ?კაცი, თუ მავნე,
აქ მოგზავნილი ეშმაკისაგან?
— კაცი ვარ, კაცი!.. მომეცი ბინა,
მიხსენ, ღვთის მადლსა, სიკვდილისაგან.
ვერ ჰხედავ, ლამის ცა ჩამოიქცეს
და ზედ დაეცეს დედამიწასა?
რა დროს კითხვაა? შემიბრალე მე
და ნუ დამიჭერ ჭერსა, ბინასა.

X

მართალი სთქვი შენ... თუ ხარ ძე კაცის,
ცოდვაა გარეთ დაგტოვო ამ დროს;
თუ მაცდური ხარ, სჩანს ღმერთს სწადიან
მწირი ცოდვილი დღეს გამომცადოს.
ამოვედ, ვინც ხარ!.. იყავნ ნება ღვთის!..
ხელი ჩაავლე ემაგ რკინის ჯაჭვს,
ნუ შეშინდები... კიბეა იგი
და ზედ რგოლები საფეხურად აქვს.
და იმ ბნელაში იგი წვალებით
ავიდა მაღლა იმა ჯაჭვითა.
მუნ დახვდა მწირი... რაა? ვინ არის?
ვერ გაარჩია სიწყვდიადითა.
— გამომყევ, ვინც ხარ! ბინას მოგცემ შენ,
გაგიზიარებ ჩემსა სენაკსა...
სახლი ღვთისაა... შენც შეგივრდომებს,
შენებრ მახვეწარს მრავალსაც სხვასა.
წაუძღვა წინ და შევიდნენ სენაკს...
იქ უფრო, ვიდრე გარეთ ბნელოდა,
მხოლოდ კი ერთგან ღველფად ქცეული
ცეცხლი ჩამქრალი ფერფლ-ქვეშე ჰჩნდოდა.

XI

რა დედა-ღვთისამ სენაკს შეუშვა
და არ შერისხა იგი მოსული,
გულში სთქვა მწირმა: ძეა კაცისა
და არა მავნე, ბოროტი სული.
სტუმარი იგი დანაცრულს ცეცხლსა
ფიცხლავ მივარდა დამზრალი, სველი,
ღველფი გაქექა, ჩაჯდა ცეცხლად პირს
და გაიწოდა სათბურად ხელი.
— უჰ, უჰ, რა ცივა!.. — სთქვა მან სტუმარმან:
— ლამის გავშეშდე სიცივისაგან!..
მწირს ხმა ეოცა... ქალის ხმას ჰგვანდა...
შეკრთა, შეშინდა ამა ხმისაგან.
ნუთუ აწ ბედმა ქალის სახითა
განსაცდელი რამ მას მოუვლინა?
და ვითა ელვამ, ამისმა ფიქრმა
გულში ზარცემით მწირს გაურბინა.
მაგრამ იქნება ბედმა ეგე ჰქმნა
მისდა საცდელად თვით უფლის ნებით!..
და კისრად იდო, ვით ნება ღვთისა,
სასოებით და გულდამშვიდებით.

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

ᲞᲠᲝᲖᲐ

ᲔᲠᲗᲘ ᲒᲝᲒᲝᲜᲐᲡ ᲓᲚᲘᲣᲠᲘ

მაკა ნათელაური სტიგმას ამსხვრევს — მიუხედავად იმისა, რომ შშმ პირს უწოდებენ, მაკას ჩანაწერები სიცოცხლეს მოგანდომებთ. დიახ, მაკა უნარშეზღუდული კი არა, განსაკუთრებული უნარის გოგოა!.. სხვათა შორის, ახლახან, ილია მართლის (ჭავჭავაძის) გაზეთ „ივერიის“ სახელობის პროზა-პოეზიის პრემია „ივერიის“ ნომინაციაში — „წლის პროზა“ სწორედ მაკა ნათელაურმა გაიმარჯვა. „ქართული სიტყვა“ მაკას წარმატებას უსურვებს და სამსჯავროზე მისი შემოქმედება გამოაქვს, რომელსაც თავად მაკა „ერთი გოგონას დღიურს“ უწოდებს...

კვერცხი თუ ქათამი

გარეთ წვიმს, შიშველი ხეები სველდებიან. ცივა. ქუჩაში ყველა მობუზული დადის... სახლშიც უსაშველო მოწყენილობაა, სახლშიც და... სულშიც... ვზივარ ფანჯარასთან და ჩემთვის, ფიქრებში ვბოდიალობ.

— ახლა ეტლში რომ არ იჯდე, ასეთ უამინდობაში სად წახვიდოდი? — მეკითხება ჩემი მეორე მე.

— რომ დავდიოდე, რომელიმე კაფეში დავჯდებოდი, სადაც მშვიდი გარემოა, ნაზი მუსიკა უკრავს და რომელიმე რომანს წავიკითხავდი, ან რამეს დავწერდი... ყურში წვიმის წვეთების ხმა ჩამესმებოდა პიანინოს ჰანგებთან შეზავებული... ეჰ, რა ნეტარება იქნებოდა... — ვპასუხობ ჩემს ეგოს და ოცნებაში ვიძირები.

— ეგ იდილია შინ რომ მოიწყო, არ გამოვა?

— არა!

— რატომ?

— ალბათ, იმიტომ, რომ ჩემი ცნობიერება სხვა გარემოს მოითხოვს, იმ გარემოსგან განსხვავებულს, რომელსაც ყოველ დღე, ყოველ წუთს, ყოველ წამს ვხედავ. მომბეზრდა ამ ოთხ კედელშუა ყურყუტი.

— ხშირად ხომ გადიხარ გარეთ, კვირაში ერთხელ ლექციასაც ესწრები. მეტი რაღა გინდა!? ზოგი შშმ პირი შინ თვეობითაა გამოკეტილი, მაშ, იმათ რაღა თქვან?!

— ჩემი ეგო ცდილობს, ჩემში სინდისი გააღვიძოს და ითხოვს, ის დავაფასო, რაც მაქვს.

— გასაგებია, მაგრამ მეც ადამიანი ვარ და იმაზე მეტი მინდა, ვიდრე მაქვს, რა ვქნა, ეტყობა, კაცის ბუნებაა ასეთი, — თავს ვიმართლებ და გულისფანცქალით ველი, რას მიპასუხებს ჩემი სულთამხუთავი მეორე მე.

მეორე მე დუმს, დუმს კი არა, რაღაცას ბუტბუტებს, მაგრამ აღარ ვუსმენ — დავიღალე უაზრო ჩხუბით, კინკლაობით... ამიტომ გონება სხვა რამეზე გადავრთე, სხვა ფიქრს მივწვდი. თუმცა ჩემი ეგო არ დაწყნარდა, გამომყვა და კამათი სხვა საკითხზე დამიწყო:

— აი, რომ ამბობ, გარემოს მოევლება, მთავარია, საზოგადოების განწყობა შეიცვალოს შშმ პირების მიმართო. კიბე რომ არ გიშლიდეს ხელს, გარეთ ხომ გახვიდოდი და შენს ოცნებას (თუ შეიძლება ამას ოცნება ეწოდოს.) აიხდენდი? რომ არა არაადაპტირებული მიწისქვეშა გადასასვლელები და არახელმისაწვდომი გარემო, ამ წვიმიან ამინდშიც ხომ გახვიდოდი გარეთ, დაჯდებოდი სასურველ კაფეში და ოცნებას აიხდენდი... ასე არაა!? მერე, როცა ოცნებას აიხდენდი, მეეჭვება, ისევ საზოგადოებისთვის დაგეწყო ყურება და იმით დაინტერესებულიყავი, თუ რას ფიქრობს ხალხი შენზე.

— ეგ კი, მაგრამ, — ვაწყვეტინებ, — შენ მაინც ვერ ხვდები, რომ ეს ორი რაღაც — გარემო და საზოგადოება ისე მჭიდროდაა ერთმანეთზე გადაბმული, რომ განცალკევება არ გამოვა? თუ საზოგადოებამ ვერ შეიგნო, რომ ჩვენ ადაპტირებული გარემო გვჭირდება და ჩვენც გვაქვს უფლება, წავიდეთ კინოში, თეატრში, შევიდეთ კაფეში, ავიდეთ საზოგადოებრივ ტრანსპორტში, ერთი სიტყვით, თუ საზოგადოება ვერ მიხვდა, რომ ჩვენც გვაქვს უფლება, ვიცხოვროთ სრულფასოვანი ცხოვრებით, ამიხსენი, ადაპტირებულ გარემოს ვინ შეგვიქმნის?! ადამიანმა არ უნდა შექმნას გარემო!? ადამიანი კი, ისე არაფერს გააკეთებს, თუ არ გაიგო, რატომ, რისთვის, ან ვისთვის აკეთებს. ეს რომ გაიგოს, აუცილებელია, ადაპტირებული გარემოს საჭიროება დაინახოს. საამისოდ კი, საჭიროა, უფრო აქტიურები ვიყოთ — გავიდეთ გარეთ და ვთქვათ, რომ არ გვჭირდება დახმარება და ქველმოქმედებით გაკეთებული საქმე, შეცოდებაზე ლაპარაკიც კი ხომ ზედმეტია! უბრალოდ, გვჭირდება შესაბამისი გარემო და ჩვენც საზოგადოების სრულფასოვანი წევრები ვიქნებით — განათლებას მივიღებთ და თუ შესაძლებლობა (ისევ და ისევ შშმ პირისთვის ხელმისაწვდომ გარემოს ვგულისხმობ) იქნება, ქვეყანას სამსახურსაც სიამოვნებით გავუწევთ, თუმცა ისიც საკითხავია, თუ ხელმისაწვდომი გარემო არ იქნა, გარეთ როგორ გავიდეთ და საზოგადოებას თავი როგორ შევახსენოთ?!.

— პირველად კვერცხი გაჩნდა თუ ქათამი? — რატომღაც გონებაში ეს მასხარა კითხვა ამომიტივტივდა. ალბათ, იმიტომ, რომ „საზოგადოება“ და „ხელმისაწვდომი გარემო“ იგივე ქათმის და კვერცხის ამბავს მაგონებს: რამდენიც უნდა ვიმსჯელოთ, ვერასოდეს გავარკვევთ, რომელი შვა რომელმა — ქათამმა კვერცხი თუ კვერცხმა ქათამი! — მომიგო მეორე მემ, მაგრამ აღარ შევეპასუხე...

● ● ●

„ჩემი ცოლის დაქალების“ მორიგ სერიას ვუყურე, სიამოვნება მივიღე და ახლა დავჯექი ბლოგის დასაწერად... რამდენი ხანია, ამ ბლოგის დაწერა მინდა, მაგრამ ვერ მოვიცალე. დრო ფიზიკურად კი მაქვს, ჭადრაკსაც არ ვღალატობ და დღეში 2-3 ხელს ვთამაშობ, „ფეისბუქშიც“ მწვანედ ვანთივარ და ათას საჭირო თუ არასაჭირო პოსტს ვკითხულობ, ფილმებსაც ვნახულობ... საქმე დრო არაა, უბრალოდ, რაღაცნაირად, შინაგანად დავიღალე, არ მცალია — ერთდროულად ბევრი ემოცია და ფიქრი მომეძალა, ჩემებური ფიქრი...

ამ ბოლო დროს, თვალწინ ჭიანჭველა წარმომიდგება ხოლმე, რომელიც ძლივსძლივობით მიდის ზურგზე ტვირთმოკიდებული და ტვირთს დანიშნულ ადგილამდე რომ მიიტანს, ანუ მიზანს მიაღწევს, მაშინ იაზრებს, რომ ბედნიერია. ალბათ, რამხელა სიხარულს გრძნობს, ალბათ, როგორ უნდა, იკივლოს, იწივლოს, იხარხაროს და სიხარულის განცდა გადმოაფრქვიოს... ჩვენ კი, ვინ იცის, ფეხს ვადგამთ და ზუსტად იმ დროს ვასალმებთ სიცოცხლეს, როცა ხვდება, რომ ცხოვრება მშვენიერია! ლაპარაკი რომ შეეძლოს და თავის პატარა-დიდ სიხარულს გვიზიარებდეს, ალბათ, მისი ბედნიერების მიზეზი სიცილადაც არ გვეყოფოდა. ჩემი თავი ზუსტად ამ ჭიანჭველად მესახება!

რამდენი ხანია „ჩემი ცოლის დაქალები“ გადის (უკვე მეექვსე სეზონია.) მე კი, ორი თვეა, ვუყურებ. საერთოდ, სერიალებს ვერიდებოდი, გაგონილი (და გამოცდილიც) მქონდა, რომ სერიალი ნარკოტიკს ჰგავს: თუ ერთ სერიას უყურე, მერე მორჩა, ჩაგითრევს და მასზე დამოკიდებული ხდები. „ჩემი ცოლის დაქალების“ მეხუთე მთლიანი სეზონი ორ დღეში ვნახე და მივხვდი, რომ სერიალი ნარკოტიკს არ ჰგავს... მეექვსე სეზონის ბოლო სერიის ყურებას რომ მოვრჩი, მივხვდი, სერიალს იმდენი არაფერი მოუცია, რასაც, ვთქვათ, ფილმი, ან წიგნი მომცემდა. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ „ჩემი ცოლის დაქალები“ იმდენად ახლოსაა რეალურ ცხოვრებასთან, იმდენად მარტივი და, ამავე დროს, ძნელიცაა ყველაფერი, არ გჭირდება ფიქრი იმაზე, თუ რა მოხდება შემდეგ სერიაში, ფანტაზიასაც ეკარგება ფასი, ვინაიდან იცი, ამ სერიალში არარეალური არაფერი მოხდება. ამ სერიალში კიდევ ერთი რამ მომწონს: გმირებს შორის შშმ პირებსაც ვხედავ და ვხედავ ზუსტად ისეთებს, როგორებიც ცხოვრებაში არიან — მათში ტრაგიზმი არ იგრძნობა (როგორც მხატვრულ ფილმებში მინახავს. რეჟისორებს შშმ პირი, უმეტესად, უბედური, საცოდავი გამოჰყავთ და მათ შემყურეს შეცოდება-თანაგრძნობის მეტი განცდა მართლა არ გაგიჩნდება) და ეს მიხარია. ვფიქრობ, კინო და სერიალი ახდენს დიდ ზეგავლენას, ვინც „ჩემი ცოლის დაქალებს“ უყურებს, მგონია, რომ მისი აზრი შშმ პირების მიმართ ოდნავ მაინც შეიცვალა. სერიალში კარგად ჩანს, რა ძნელია, იყო აუტისტი, განსხვავებული და... გახვიდე გარეთ, შეერიო საზოგადოებას. ასევე, მაყურებელი მიხვდება, თუ რაოდენ დაკომპლექსებულნი არიან აუტისტის ოჯახის წევრები იმის გამო, რომ მათი ნათესავი შშმ პირია. ასევე, ცხადად ჩანს, ეტლში ჯდომა იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ცხოვრებაზე ხელი ჩაიქნიო და მომავალზე აღარ იფიქრო: ელენემ, რომელიც ავტოკატასტროფის შემდეგ ეტლს მიეჯაჭვა, თავისი ფიზიკური მდგომარეობის მიუხედავად, პირადი ცხოვრება მაინც მოიწყო, გათხოვდა და ოჯახი შექმნა.

ამ სერიალის ყურება იმ დღიდან დავიწყე, როცა ჩემმა მეგობარმა მითხრა, ქეთი დევდარიანი (სერიალის სცენარის ავტორი) გეგმავს, ილიას უნივერსიტეტის სტუდენტებს კურსი ჩაუტაროს და სცენარის დაწერა ასწავლოსო. კურსზე მოსახვედრად საჭირო იყო, ქალბატონი ქეთისთვის საინიციატივო წერილი გაგეგზავნა და მოკლედ აგეხსნა, თუ რატომ გინდოდა კურსზე მოხვედრა. ეს რომ გავიგე, იმ წუთას გავაგზავნე საინიციატივო წერილი. იმდენად დიდი იყო კურსზე მოხვედრის სურვილი, რომ იმ შემთხვევაში, თუ გამონაკლისს დაუშვებდნენ და მიმიღებდნენ, არც დავფიქრებულვარ, თუ როგორ ვივლიდი სასწავლებელში, არ დავინტერესებულვარ, ადაპტირებული იყო თუ არა ილიაუნი, რომელ სართულზე ჩატარდებოდა ლექცია, აუდიტორია ჩემთვის ხელმისაწვდომი იქნებოდა თუ არა. ამაზე მხოლოდ მაშინ დავფიქრდი, როდესაც ქალბატონი ქეთის წერილი მივიღე და შევიტყვე, რომ შემეძლო, კურსი გამევლო. სიხარულის ტალღა შემომაწვა, ოცნება ამიხდა და ვიფიქრე, ჩემს საყვარელ საქმიანობას — წერას, რაღაც ახლის შექმნას უფრო დავუახლოვდები-მეთქი. ეს სიხარული რამდენიმე დღე გამყვა, მაშინ კი, როცა კურსის დაწყების დღე მოახლოვდა, რაღაცნაირად დავიძაბე, თითქოს შიშიც დამეუფლა, ვაითუ, აუდიტორია მაღალ სართულზე იყოს და ასვლა გამიჭირდეს-მეთქი. მართალიც გამოვდექი — აუდიტორია მესამე სართულზე მდებარეობდა. ეს რომ გავიგე, უკვე კორპუსში ვიყავი შესული და მაღალი კიბე თვალში მეჩხირებოდა. მაშინვე სახლში დაბრუნება მომინდა, მაგრამ საბედნიეროდ, იქვე მდგარმა ბიჭებმა შეგვამჩნიეს და დედას ჩემს აყვანაში მიეხმარნენ.

კიბის გარდა, კიდევ ერთი რაღაც მაშინებდა, მაშინებდა კი არა, დისკომფორტს მიქმნიდა აზრი: როგორ მიმიღებდა ლექტორი და როგორ შემხვდებოდნენ სტუდენტები. ვფიქრობდი, როგორც კი აუდიტორიაში შევალ, თავს მაშინვე უცხოდ ვიგრძნობ-მეთქი, მაგრამ ჩემდა გასაოცრად და სასიხარულოდ, ლექცია ისე დაიწყო და დამთავრდა, დამავიწყდა, რომ განსხვავებული ვიყავი. ყველაფერი იმდენად საინტერესო იყო, რომ ჩემი ჭკუა და გონება სულ სხვა ფიქრმა მოიცვა... შემდეგი ლექციაც ისევ იმ აუდიტორიაში ჩატარდა, სადაც პირველი და დედას ჩემს აყვანაში ერთი ბიჭი მოეხმარა. მომდევნო კვირას კი, ჩემი თხოვნა გაითვალისწინეს — პირველ სართულზე არსებული ადაპტირებული შესასვლელით, პირდაპირ აუდიტორიაში ვხვდები.

ლექცია კვირაში ერთხელაა: სტუდენტობას ვუსინჯავ გემოს. ეს ბედნიერება სასწავლო წლის ბოლომდე გამიგრძელდება...

მაკა ნათელაური

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲧᲕᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲔᲞᲘᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

გაზეთი „ქართული სიტყვა“ მწუხარებას გამოთქვამს ელგუჯა ლებანიძის გარდაცვალების გამო და გთავაზობთ მის ბოლო ლექსებს, რომლებიც ბატონმა ელგუჯამ გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე მოგვაწოდა.

ᲘᲡᲔᲕ ᲛᲘᲨᲘᲙᲝᲡ ᲠᲐᲖᲛᲨᲘᲐ...

მოგეხსენება, გოკაო,
„წყლის გზაზე ტყდება კოკაო“
და ამ აზრისა ბრძანდება,
ბანოჯაა თუ ფოკაო.
ერთ კაცზე „გული შაჰვარდა“,
თავ-ფეხიანად ლოკაო,
თუმც იმან წაიფორხილა,
თავი ვერ დაიოკაო,
მაინც მიშიკოს რაზმშია,
თვალებბრიალა გოკაო!

„ᲩᲐᲠᲔᲪᲮᲘᲚᲘ“

თუხთუხებს მატარებელი,
წუთი-წუთს ელის გასვლასო,
მეც რო „წითელი ამინთეს“,
კი ვაპირებდი წასვლასო,
ჟამმა იცვალა ილეთი —
მიშას დავუთმე ბილეთი:
წაღმა-უკუღმა მარებსა
სხვა ვინ გაუღებს კარებსა?
ზოგჯერ ხომ მწარეც ხილია,
ახლა ის ჩარეცხილია!

ᲜᲐᲠᲙᲝᲛᲐᲜᲔᲑᲘ

ურჩევნია ორ გიას
„ბაი“ უთხრან ორგიას,
მე გამენდო გოგია:
„მაგათი გზა მორგია.“

ᲭᲝᲠᲘᲙᲐᲜᲐ

ყველა პირში გამოივლე,
დღეში ასჯერ თავს ქვას ახლი,
ერთხელ ცოცხიც გაიხსენე,
ნაგვითა გაქვს სავსე სახლი!
თავი მწვანე კიტრად მოგაქვს,
რაშთან მივა ჯორი, განა?
თუმც სახელი რაღად გინდა,
უკვე გქვია ჭორიკანა!

ᲝᲠᲯᲔᲠ ᲝᲠᲘ...

უნდა იყო სულელი და
ცხრა მთავრობის აკარაკი,
დაიჯერო: საქმეს შველის
ცარიელი ლაპარაკი!

ᲗᲣ ᲒᲐᲛᲒᲔᲑᲘ ᲮᲐᲠ!

გეუბნები: „ახპერ-ჯან,
იმარევ თუ ქუმარევ,
ედემში რომ გაცხოვრებ,
მწარე ენით ნუ არევ!“

ᲕᲐᲜᲡᲣᲚᲘᲡᲔᲑᲣᲠᲐᲓ

ვერ დავამთავრეთ
ბარაკობანა,
ვითომ გვიშველის
ბარაკ ობამა?

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡᲜᲘ

ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲘ

„დავაცხე“ ეპიგრამები,
როგორც კახური ლავაში,
ვისაც არ ეპიტნავება
თავი იდურთოს გავაში!

ᲠᲐ ᲔᲖᲔᲘᲛᲔᲑᲐ?!

ბუქნავს ქვეყანა...
ვითომ, ებუქნება?!
ვისაც მკლავი ერჩის,
ყველა ემუქრება!..
მღერის არხეინი...
მართლა ემღერება?!
როცა მთა და ბარი
სისხლით ეღებება?!
ზეიმობს, ქვეყანა...
რა ეზეიმება?!
ეპარლამენტება,
ან ესეიმება?!
რუსს თუ გადაურჩა,
თურქს ეცემინება...
ჰოდა, ამ საცოდავს,
რა ეზეიმება?!

ᲐᲘ, ᲗᲐᲕᲡᲐᲢᲔᲮᲘ!

უკვირთ მკვდრებსაც და
ცოცხლებსაც:
— სად დაგვიმალეს
„ოცნება?!“

ᲜᲐᲫᲐᲚᲐᲓᲔᲕᲘ ᲛᲐᲓᲐ

სამოთხესავით ქვეყანა
გადაგვიხურეს ჩალითა,
ისეთ ტყუილებს გვიცხობენ,
ვეღარ გვაძღობენ ჭამითა!

ᲐᲕᲒᲔᲓᲘᲗᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ

ეს თუა თავისუფლება,
მაშინ რაღაა ბორკილი?!
ჩავრჩით ტურების ხროვაში
ძვალივით გამოლოკილი.

ᲔᲜᲐᲭᲘᲙᲭᲘᲙᲐ ᲩᲘᲝᲠᲐ

გვეტურტურება უტიფრად
თაქთაქიშვილის ქალიო,
ამაზე თუა ნათქვამი,
„ენას არა აქვს ძვალიო,“
კი „ააშენებს“ ერთ ოჯახს,
ასე „ჭკვიანი“ რძალიო!

ᲕᲐᲘ!

ნეტავი, ამ ჩემს მამულში,
ვინა თესავს და ვინა ხნავს?
ამდენი ფშუტე თავთავი
ერთად არასდროს მინახავს!

ᲒᲐᲚᲐᲙᲢᲘᲝᲜᲡ!

პოეზიის დიდოსტატო,
მღელვარე ხარ ვით რიონი,
შენს წინაშე ქედს მოვიხრი,
როგორც მზესთან ალიონი,
რა ღვთაებრივ სურნელს აფრქვევს,
რა ძალას ფლობს შენი სიტყვა,
შესადარი შენი სიტყვის,
ვერასოდეს ვეღარ ითქვა.
უეჭველად ოლიმპოზე
აღმოცენდა სიტყვა შენი,
ასე გამაოგნებელი —
ყველა ლექსის დამამშვენი,
მდუმარებით შემოსილი
რად ვიხსენებ მუდამ რიონს,
მიბნედილი მთვარის შუქზე
როცა ვისმენ გალაკტიონს.

ᲩᲔᲛᲝ ᲛᲘᲣᲬᲕᲓᲝᲛᲔᲚᲝ!

საყვარელო, განძო ჩემო,
გაზაფხულს თუ შეგადარებ,
მაგრამ მიუწვდომელი ხარ,
როგორც მზე და როგორც მთვარე.
განძო ჩემო, საყვარელო,
ჩემო ამაღელვებელო,
მაგრამ ასე უკარებას,
აბა, როგორ მოგეფერო.
ჩემო ამაღელვებელო,
ერთადერთო, ჩემო განძო,
შენს ალერსში მინდა, მოვკვდე
და ფერებით დავიქანცო,
რად ხარ ასე საოცარი,
ნათელი ვით სხივი მზისა,
მაგრამ მიუწვდომელი ხარ —
ერთი კოცნა არ მეღირსა.

ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲘ

არ მიყვარს თბილი ზამთარი,
ზამთარი მიყვარს ცივი,
მშიერი აფთრის თვალს რომ ჰგავს,
მზეს მოსხლეტილი სხივი,
ქარი ღრიალით რომ აფრთხობს
აცახცახებულ ხეებს,
შიშველი ხელით რომ ებმის
საუკუნოვან კლდეებს.
ბზრიალით როცა ცეკვავენ
თეთრი ფიფქები ღამით,
თოვლის ფანტელის მუსიკა
რომ არ დუმდება წამით,
როცა წყვილ-წყვილად ფრინავენ
ფიქრები საოცნებო,
აკაპიწებულ ხელებით
კვერებს რომ აცხობს ბებო,
აგიზგიზებულ ბუხარში
რომ იკლაკნება ცეცხლი,
თოვლის დედოფლის მანდილი
რომ იქარგება ვერცხლით,
თოვლის ფიფქებით გულდაგულ
რომ იხატება მდელო
და იმედით რომ მოელის
გაზაფხულს საქართველო...
არ მიყვარს თბილი ზამთარი,
ზამთარი მიყვარს ცივი,
მშიერი აფთრის თვალს რომ ჰგავს,
მზეს მოსხლეტილი სხივი.

ᲡᲕᲔᲢᲘᲪᲮᲝᲕᲔᲚᲘ

შეიცადე წამით წამო,
შეისვენე, წამით შესდექ!
შენ, პირჯვარი გადიწერე,
კათალიკოს მელქისედეკ!
სვეტიცხოველს ისევ სცხია
არსაკიძის სისხლის შხეფი
მას კი ბევრი მოჰფენია ია —
მინდვრად მონაკრეფი.
შენ, მეფეო! — ეს რა ჰქენი —
ვით დაღვარე სისხლი იგი?
გულმა რეჩხი რად არ გიყო,
რომ მზაკვრული იყო ხრიკი.
შენ, შორენა! — მხოლოდ ეს თქვი
და ფხოვის მთებს გადმოევლე.
„მე უშენოდ რაღად მინდა
ეს სიცოცხლე, შემოგევლე...“
არსაკიძევ, დიდოსტატო!
დაგელოცოს ეგ მარჯვენა!
ნეტავი წამოგახედა,
შენი ტაძარი გაჩვენა,
ქედს იხრის და ინუსხება
მისი მნახველი ყოველი,
ისე ბრწყინავს და ანათებს
ტაძარი სვეტიცხოველი.



ქართული სიტყვა
ლიტერატურა. ენალიტერატურა. ჟურნალისტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“
გიორგი ლეონიძე

„შავი ოქროს“ ქართული ანატომია

ამერიკელები საქართველოში 17-მილიარდიან პროექტს აცოცხლებენ

ის, რაზეც დღეს გიამბობთ, ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს გულს გაუხეთქავს. რატომ? რატომ და, – 17-მილიარდიანი პროექტით, მხოლოდ საქართველო კი არა, ბევრი პოსტსაბჭოთა ქვეყანა დამოუკიდებელ ენერგოთამაშს დაიწყებს და რუსეთს, როგორც ენერგოტრანზიტს, რბილად რომ ვთქვათ, აფსაითში დატოვებს. მაშ, ასე: პროექტი, რომელსაც საფუძველი 1999 წელს ჩაეყარა, გაცოცხლდა. ყოველ შემთხვევაში, ნავთობკორპორაციის ყოფილი შეფი, აზერბაიჯანში საქართველოს ყოფილი ელჩი, ბაქო-სუფსა-ჯეიჰანის მილსადენების ყოფილი ხელმძღვანელი, ამჟამად კი, საერთაშორისო ენერგეტიკული ჯგუფის თანადირექტორი გიორგი ჭანტურია ამბობს, რომ მსოფლიოში ნავთობის გაიაფებამ საქართველოს კიდევ ერთი შანსი მისცა, რომელიც აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ. რა არის ეს შანსი? რა და, – სუფსაში ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის აშენება. სხვათა შორის, მას შემდეგ, რაც ეს თემა გააქტიურდა, ვიღაცები აქირქილდნენ, აი, კიდევ ერთი რუსული პროექტიო, მაგრამ გია ჭანტურიას გამარტებით, „რუსული შლეიფი“ ბლეფია, მით უმეტეს, რომ ზემოხსენებული ქარხნის აშენება-ამუშავებით ისეთი მსოფლიო ნავთობბრენდია დაინტერესებული, როგორიც, მაგალითად, „ტოტალია“... მოკლედ, გასაგებია, რომ ეს პროექტი საქართველოს დასავლეთთან დამაკავშირებელი კიდევ ერთი ფანჯარაა, მაგრამ რას მოუტანს ნავთობქარხანა ქვეყნის მშიერმუცელა მოსახლეობას და გაიაფდება თუ არა საწვავი? – „ქართული სიტყვა“ გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს გია ჭანტურიასთან.

„საწვავი ლარი ელირება!“ – გია ჭანტურიას თქმით, სუფსის ნავთობ-გადამამუშავებელი ქარხანა 2 წელში ამუშავდება

– ბატონო გია, თუკი ყველაფერს საფუძველი 1999 წელს ჩაეყარა, აჟიოტაჟი ახლა რატომ ატყდა?

– 1999 წელს, როცა სუფსის ტერმინალი აშენდა, აშშ-მ, კერძოდ, აშშ-ის ვაჭრობისა და განვითარების სააგენტომ, ჩვენი თხოვნის საფუძველზე, სუფსის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისთვის ტენდერი გამოაცხადა, რომელიც ამერიკულმა კომპანია „ოტის კაპიტალ“-მა მოიგო და 1999-2000 წლებში დაასაბუთა, რომ ამ ზონაში ქარხნის აშენება გარემოსთვის აბსოლუტურად უსაფრთხოა – იქაურობას მოსახლეობისგან ბუფერული ზონა ყოფს. „ოტის კაპიტალის“ სუბკონტრაქტორმა ამერიკულმა „ჰერვინ ენდ ჰერც“-მა კი ბაზარი შეაფასა და თქვა, ასეთი მაღალი პროდუქციის მწარმოებელი ქარხანა მხოლოდ შავი ზღვის აკვატორიაში კი არა, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებშიც არ არისო.

მოკლედ, ყველაფერ ამის საფუძველზე, ინვესტორისთვის ნათელი გახდა, რომ ამ ქარხანაში დაბანდებული ინვესტიცია მომგებიანია – მისი უკან ამოღება სწრაფად და ეფექტურად მოხდება.

ასევე, მნიშვნელოვანია, რომ აშშ-ის მთავრობა შავი ზღვის აუზის ქვეყნებისთვის ალტერნატიული საწვავის მიწოდების დივერსიფიკაციას მხარს უჭერს.

– ეს რას ნიშნავს?

– რას და, – შავი ზღვის აუზის ქვეყნები რუსეთზე აღარ იქნებიან ჩამოკიდებულნი.

– მაშასადამე, ბატონო გია, სუფსაში ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის აშენების ინიციატორი ქართული მხარეა, არა?

– დიახ – მე, როგორც ნავთობკორპორაციის მაშინდელი პრეზიდენტი და აშშ-ში ჩვენი იმდროინდელი ელჩი, თედო ჯაფარიძე აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში მივედით და ეს პროექტი მივიტანეთ. ჩვენი პირველი და მთავარი არგუმენტი ასეთი იყო: საქართველოში, ანუ შავი ზღვის აკვატორიაში უკვე არის ნავთობტერმინალი, რომლის გვერდზეც სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწაა, სადაც ადრე ჭაობი იყო.

– მიწის ამ ნაკვეთს მოსახლეობა საკარმიდამო დანიშნულებით, ან საძოვრებისთვის იყენებს?

– არა.

– ქარხნის აშენებას ხალხის გადასახლება ხომ არ მოჰყვება?

– არა, ხომ გითხარით, რომ ადგილი, სადაც ქარხანა უნდა აშენდეს, დასახლებული ტერიტორიიდან ბუფერული ზონითაა გამოყოფილი.

ამ ქარხნის აშენებით, უკრაინას, რუმინეთსა და, საერთოდ, შავი ზღვის ყველა ქვეყანას, რომელიც რუსეთზეა მიბმული, ალტერნატივა უჩნდებათ.

– ანუ, რუსეთი ერთგვარ იზოლაციაში ექცევა?

– დღემდე ამ ქვეყნებს საწვავს მხოლოდ რუსეთი აწვდის, რადგან შავი ზღვის აკვატორიაში მსგავსი ქარხანა არ არსებობს, თუ არ ჩავთვლით რუმინეთს, სადაც მოქმედი ქარხანა, ბულგარეთისა არ იყოს, „ლუკოილი“-ს საკუთრებაა. სხვათა შორის, უკრაინაში არსებული ქარხანაც რუსულია... მოკლედ, ეს ამერიკელებისთვის სერიოზული არგუმენტი იყო და, ბუნებრივია, მათ ინტერესშიც შედიოდა, მით უმეტეს, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მშენებლობა იწყებოდა.

– თუკი ამერიკელების ინტერესშიც შედიოდა, ქარხნის მშენებლობა რატომღა შეჩერდა?

– იმიტომ შეჩერდა, რომ საქართველოში სიტუაცია შეიცვალა – „ვარდების რევოლუცია“ მოხდა.

– რევოლუციონერებს ზურგს, როგორც ცნობილია, აშშ უმაგრებდა და ქარხნის მშენებლობა, მით უმეტეს, არ უნდა შეჩერებულიყო...

– გასაგებია, მაგრამ ინვესტორებს სიტუაციაში გასარკვევად, როგორც წესი, დრო სჭირდებათ. 2007 წლის ბოლოს, ეს თემა ისევ განახლდა და 2008 წლის გაზაფხულზე, ეკონომიკის მაშინდელი მინისტრი, ეკა შარაშიძე ყაზახეთში წავიყვანე...

– უკაცრავად, ყაზახეთი ქართულ-ამერიკულ ნავთობთამაშში რატომ ჩაერთო?

– იმიტომ, რომ ნავთობის მოპოვებას იწყებდა, თან ამ ქარხნით იქ მოქმედი ამერიკული კომპანიებიც დაინტერესდნენ, მაგრამ ამასობაში, აგვისტოს ომი დაიწყო, რასაც მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი მოჰყვა და რისკზე ერთი ინვესტორიც არ წავიდოდა, ანუ ყველას – მომპოვებელსაც და დილერსაც ერჩია, რომ ნავთობი მაღალ ფასად გაეყიდა და ზედმეტი თავის ტკივილი აღარ უნდოდა.

– ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა თავის ტკივილი რატომაა?

– გადამამუშავებელი ქარხანა, მაღალი ფასის პრობებში, როგორც წესი, 10 პროცენტზე მეტს არ იგებს. დღეს კი, ნავთობის ფასი დავარდა და უახლოესი 4-5 წლის განმავლობაში, გაძვირების პერსპექტივა არც არსებობს. ამიტომ, ის დასავლური და ამერიკული კომპანიები, რომლებიც ყაზახეთში ნავთობბიზნესით არიან დაკავებულნი, ფიქრობენ, რომ ამხელა გზაზე ტრანსპორტირებას, უკეთესია, ნავთობი მილით სანაპირომდე მოიტანონ, რაც იაფი ჯდება და ადგილზე გადაამუშავონ.

– ახლა ნავთობის ტრანსპორტირება რკინიგზით ხდება, არა?

– დიახ. ერთი ტონა ნავთობის ყაზახეთიდან ბათუმამდე რკინიგზით ტრანსპორტირება 57 დოლარი ჯდება, მილით კი, 15 დოლარი დაჯდება. ხედავთ, რამხელა სხვაობაა? დღევანდელი მონაცემებით, ბაზარზე ნედლი ნავთობი 40 დოლარი ღირს, პროდუქტის კი, მაგალითად, „ევრო 5“-ის, – 700-800-დოლარამდე ადის.

– მოკლედ, სუფსაში ნავთოგადამამუშავებელი ქარხნის აშენება, როგორც ვხედავ, ნავთობბიზნესის ყველა მოთამაშის ინტერესშია...

– დიახ. მნიშვნელოვანია, რომ კასპიის ზღვაში ნავთობის ორი დიდი საბადოს ათვისებაც იწყება. ამ პროცესის შეჩერება შეუძლებელია – ამ სამუშაოებზე კომპანიამ 4 მილიარდი დახარჯა, ეს თანხა რომ ამოიღოს, ურჩევნია, ფასდაგდებული ნავთობი მოპოვების ადგილის სიახლოვეს გადაამუშავოს. ჩვენ ვთავაზობთ, რომ მხოლოდ ნედლ ნავთობს კი არ გადავამუშავებთ, არამედ, ქარხანას ნავთობქიმიასაც მივაბამთ...

– ნავთობქიმიაში რა იგულისხმება?

– სასუქებისა თუ პოლიეთილენის წარმოება. საერთოდ, ყველაფერი – კოსმეტიკიდან დაწყებული, საღეჭი რეზინით დამთავრებული – ნავთობის შედეგია.

– კეთილი და პატიოსანი, ბატონო გია, მაგრამ ხომ იცით, ქართველები ყველაფერს ალმაცერად ვუყურებთ. ჰოდა, რა გარანტია გაქვთ, რომ ერთი ამბავი არ ატყდეს, ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა გარემოზე უარყოფითად იმოქმედებს და კლიმატს შეცვლისო?

– ვანო, ხომ გითხარით, რომ ყველაფერი შესწავლილია, თან ქარხანა, რომელიც სუფსაში უნდა აშენდეს, გერმანული ტექნოლოგიაა და „ჭკვიან ქარხანას“ ეძახიან. სხვათა შორის, მაშინ, როცა ბაქო-სუფსის მშენებლობა დავიწყეთ, საქართველოში ცნება – „გარემოზე ზემოქმედების შეფასება“ არ არსებობდა და გარემოს დაცვის მსოფლიოში აღიარებული 27 სტანდარტი შემოვიტანეთ, თან განვაცხადეთ, მილმა მთის ზონაში ავსტრიის სტანდარტები უნდა დააკმაყოფილოს, დაბლობში კი, – ჰოლანდიისო. ეს ქარხანაც ამ პრინციპით აშენდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მსოფლიოში ცნობილი ფინანსური ინსტიტუტები ფულს არ ჩადებენ, რადგან მათ თავიანთი რეპუტაცია და ფული ძვირი უღირთ! ამიტომ, გარემოზე ზემოქმედების შეფასებას მსოფლიოში ხუთი ყველაზე დიდი კომპანიიდან ერთ-ერთი გაკეთებს და მისი დასკვნა მსოფლიო საფინანსო ინსტიტუტებისთვის სანდო იქნება.

სხვათა შორის, დღეს საქართველო მილიონ ტონა საწვავს მოიხმარს. სუფსის ქარხანა კი, მინიმუმ, 5 მილიონის პროდუქციას გამოუშვებს, საიდანაც მილიონი ტონა საქართველოშივე გაიყიდება.

– შიდა ბაზარზე ნავთობს ექსპორტის ფასი ექნება?

– არა, 20 პროცენტით იაფი ეღირება. საერთოდ, შიდა ბაზარზე პროდუქტი ისედაც იაფია, რადგან ტრანსპორტირება იაფი ჯდება და არც აქციზის 36 პროცენტს გადავიხდით, რაც „ევრო 5“-ის სტანდარტზე ფასს, მინიმუმ, 50 პროცენტით დაწევს. ყველაფერი ეს კი, იმის პერსპექტივას აჩენს, რომ ჩვენი ეკონომიკაც წინ წაიწევა.

– ბატონო გია, მაინც, რა შეღავათს მისცემს სუფსაში ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის აშენება მოსახლეობას?

– ვთქვათ, ადამიანი სოფლის მეურნეობის კუთხითაა დასაქმებული და 3 ჰექტარი ვენახი აქვს, მაგრამ ყურძენს, თუ ევროპული სტანდარტის სასუქს არ გამოიყენებს, ევროპის ბაზარზე ვერ შეიტანს. მაშინ კი, როცა გლეხი იტყვის, რომ გერმანული ტექნოლოგიებით დამზადებული სასუქით მუშაობს, მის პროდუქციას მაღალი ფასი ექნება. სასუქს კი უფასოდ მიიღებს.

გაგრძელება მე- 9 გვ.

ᲮᲘᲠᲮᲘᲡᲞᲘᲠᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

14 – 20 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ 2015

№ 2 (266)

9

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

„შავი ოქროს“ ქართული ანატომია

მე-8 გვერდიდან

– ეს როგორ?

– ჯერ ერთი, ნავთობისა არ იყოს, ადგილზე წარმოებული პროდუქტის ფასი შიდა ბაზარზე დაბალია, მეორეც, ამ სასუქის ფასს სახელმწიფო იმ გადასახადში ჩამითვლის, რომლითაც გლეხის მიერ წარმოებულ პროდუქციას დაბეგრავს.

– ამაზე სახელმწიფო წამოვა?

– უნდა წამოვიდეს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ, პირველ რიგში, სახელმწიფოსთან უნდა შევთანხმდეთ, რომელმაც პრიორიტეტები უნდა განსაზღვროს. სხვათა შორის, ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის პარალელურად, სხვა ისეთ წარმოებებსაც განვავითარებთ, როგორიც, მაგალითად, კოსმეტიკაა.

– იდეა, თავისთავად, მომხიბლავია, მაგრამ კოსმეტიკის წარმოებას მხოლოდ ის პროდუქტი კი არ სჭირდება, რომელსაც ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა აწარმოებს, არამედ, ინტელექტუალური რესურსიც აუცილებელია, ანუ მგონია, რომ დღის წესრიგში სპეციალისტების პრობლემა დადგება...

– ეს მეორე თემაა, მაგრამ მიუხედავად ამისა, პარფიუმერული კომპანია საქართველოში მაინც შემოვა, რადგან ჩვენს მიერ წარმოებულ პროდუქციას იაფად შევთავაზებთ. ვანო, იცით, მსოფლიო ინდუსტრია ჩინეთში რატომ წავიდა? – იმიტომ, რომ ჯერ ერთი, მუშახელი იაფია, მეორეც, პროდუქციის დაბალ ფასად წარმოების შესაძლებლობა არსებობს.

– ბატონო გია, გარკვეულწილად შეცვლა, ალბათ, საკანონმდებლო ბაზასაც მოუწევს, არა?

– არა.

– რატომ?

– სუფსის, ბაქო-ჯეიჰანისა და შაჰდენიზის განვითარებით, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა ჩამოვაყალიბეთ.

– სახელმწიფო ნებას ხედავთ?

– ყველაფერ იმის განხორციელება, რაზეც გელაპარაკებით, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე შეუძლებელია! ამ პროექტის რეალური ღირებულება ამერიკულმა „ოტის კაპიტალმა“ იცის და შეუძლია, ნებისმიერ ინვესტორსა თუ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტს დაელაპარაკოს.

– საქართველოს ინვესტიციები ჰაერივით სჭირდება, მაგრამ ე.წ. სუფის პროექტი გააქტიურდა თუ არა, მაშინვე რუსულ იდეად მოინათლა. ამ ხმის გავრცელება, ეგებ, თავად კრემლს აწყობს, რადგან ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა, რომელიც საქართველოს ამოსუნთქვის საშუალებას მისცემს, არ აშენდეს?

– რუსეთის ინტერესი გამორიცხულია, რადგან ეს პატარა მასშტაბის ქარხანა იქნება – სულ 5 მილიონ ტონა ნავთობს გადაამუშავებს და ეს მაშინ, როცა ჯეიჰანის ქარხანა 40 მილიონ ტონაზეა გათვლილი...

– აბა, სუფსის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას „რუსული კეისი“ რატომ მიეწება?

– მგონია, რომ სუფსას ჩრდილო-სამხრეთის დერეფანი მიაბეს.

– მიზანმიმართულად თუ დაუდევრად?

– ეს, ალბათ, ფოთის პორტში „როსნეფტის“ შემოსვლამაც გამოიწვია. გარდა ამისა, ჩრდილო-სამხრეთის დერეფნის მილები სუფსამდე უნდა მოვიდეს, თუმცა ეს რუსული კი არა, „ექსონის“, „შევროლის“, „კონოფო ფილიფსის“ და „ტოტალის“ ნავთობი და გაზია, რომელიც ნოვოროსიისკში ყაზახეთიდან მიდის და ეს გაუგებრობაც, ალბათ, ამან გამოიწვია, თორემ რუსულ კომპანიებს სუფსის ქარხანასთან შეხება არ აქვთ!

– ასე და ამგვარად, სუფსის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა საქართველოსთვის დასავლეთსა და აშშ-ში ერთგვარი ფანჯარა იქნება. სწორად გავიგე?

– დიახ.

– გამორიცხულია, რომ ამ პროექტში ფულის დაბანდების სურვილი, ამერიკულთან ერთად, ევროპულმა კომპანიებმაც გამოთქვან?

– ამ პროექტში ყველაზე დიდი ფრანგული კომპანია „ტოტალი“, იტალიური „ეჯიბი“ და გერმანული საინჟინრო კომპანია „აელეფი“ უკვე ჩართულები არიან. მოლაპარაკებებს ევროპის საფინანსო ინსტიტუტებთანაც ვაწარმოებთ. მოკლედ, ხარისხით, კვალიფიკაციით, ფინანსებითა და მენტალობითაც მთლიანად დასავლური პროექტია!

– ისე, ბატონო გია, რა ამის პასუხია და, ცხონებულმა ედუარდ შევარდნაძემ ქვეყანას ყველაზე კარგი, რაც გაუკეთა, სწორედ ნავთობ და გაზსადენებია...

– ვანო, აბსოლუტურად გეთანხმები – ნავთობსადენი რომ არ ყოფილიყო, დღეს რუსული ტანკი თბილისში იდგებოდა!

– სხვათა შორის, არსებობს მოსაზრება, რომ ნავთობის გაიაფება რუსეთს დაშლის...

– საბჭოთა კავშირიც სწორედ ნავთობის გაიაფებამ დაშალა. ჩვენ რომ ბაქო-სუფსის პროექტი დავიწყეთ, ბარელი ნავთობი 7 დოლარი ღირდა და ეჭქვეშ იდგა, მილსადენი დახარჯულ თანხას ამოიღებდა თუ არა, თან ყველა ინვესტორთან 30-წლიანი ხელშეკრულება დავდეთ და გადასახადებისგანაც გავათავისუფლეთ.

– რატომ?

– მართალია, მერე ბარელი ნავთობი 100 დოლარი გახდა და, პირველივე ხუთ წელიწადში, ჩადებული ინვესტიცია ათჯერ ამოიღეს, მაგრამ მაშინ, როცა შემოდიოდნენ, როგორც გითხარი, სხვა სიტუაცია იყო. შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა არ გვქონდა, ამიტომ, საინვესტიციო ხელშეკრულებები პარლამენტს დავამტკიცებინეთ და, ვენის კონვენციის შესაბამისად, კონსტიტუციის შემდეგ, ყველაზე მაღლა დგას, ანუ მთავრობამ რა კანონიც უნდა მიიღოს, ამ ხელშეკრულებებს ვერაფერი დააზიანებს.

სხვათა შორის, ნავთობკორპორაციის წესდების დაწერა ლადო ჭანტურიას ვთხოვე, რომელიც იმხანად ცნობილი იურისტი არ იყო, მაგრამ ჭკვიან ადამიანად ითვლებოდა. ძალიან ბევრი იშრომა და, მახსოვს, იმის გამო, რომ საქართველოში მძიმე სიტუაცია იყო, ამ წესდების დედანი აშშ-ში წავიღეთ და საელჩოში, თედო ჯაფარიძის კაბინეტში, სეიფში შევინახეთ.

– „მძიმე სიტუაციაში“ რას გულისხმობთ?

– რუსების წინააღმდეგობა ძალიან დიდი იყო – თბილისში ჩერნომირდინი ჩამოვიდა და ითხოვდა, ნავთობსადენი არ ააშენოთ, რა სისულელეა, ვინ მოგცემთ უფლებას, რომ ნავთობის ტრანსპორტირება რუსეთის გვერდის ავლით მოახდინოთო.

– რა უპასუხეთ?

– ავუხსენით, რომ ეს მილი 1904 წელს, ძმები ნობელების მიერ იყო აშენებული და, უბრალოდ, მის რეაბილიტაციას ვახდენდით, რადგან მოსახლეობამ, სიცივით რომ არ მომკვდარიყო, 2 ათასი ხვრელი გააკეთა და ნავთობს იღებდა...

წარსული, როგორც საძირკველი

გია ჭანტურიასთან საუბარს წარსულში გადავყავარ და მახსენდება, რომ ნავთობსადენის მშენებლობის დაწყებას ბაქოსა და თბილისში სისხლი მოჰყვა – 1995 წლის 29 აგვისტოს, სახელმწიფოს მაშინდელ მეთაურზე, აწ გარდაცვლილ ედუარდ შევარდნაძეზე ტერაქტი განხორციელდა. შეიძლება, ეს შეფასება ვინმეს გადაჭარბებულად

გაგრძელება მე- 10 გვ.

10 № 2 (266) 14 - 20 იანვარი 2015

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

„შავი ოქროს“ ქართული ანატომია

მე-9 გვერდიდან

მოეჩვენოს, მაგრამ გია ჭანტურია, რომელიც ყველაფერ ამის თვითმხილველია, ამბობს, რომ ტერაქტის შემდეგ, შევარდნაძე სვანეთში გაემგზავრა, სადაც ბორის ელცინმა დაურეკა და იმის ნაცვლად, რომ გადარჩენა მიელოცა, დატუქსასავით, ხომ იცი, რომ მილსადენი რუსეთის იტერესებს ეწინააღმდეგება და არ უნდა აშენდესო. შევარდნაძე არ იბნევა და ლოთბაზარა ბორიას თავიდან იცილებს, ნავთობსადენთან მე რა ხელი მაქვს, კომპანიის ხელმძღვანელს დაელაპარაკეთო... ძველ ამბებზე საუბრისას, გია ჭანტურიას არც აზერბაიჯანის განსვენებული მეთაური, გეიდარ ალიევი ავიწყდება და ხაზგასმით აღნიშნავს:

– აზერბაიჯანის მიერ მსოფლიოს უდიდეს ნავთობმომპოვებელ კომპანიებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცალსახად წერია, რომ ნებისმიერ კომპანიას უფლება აქვს, თავისი წილი ნავთობი იქ წაიღოს, სადაც უნდა. სხვათა შორის, ალიევმა პირველად ბაქო-ნოვოროსიისკის ნავთობსადენი დაამთავრა, ანუ პირველი ნავთობი რუსეთში წავიდა და კრემლი ამ თემის მიმართ ნაკლებმგრძნობიარე გახდა.

ისე, ვიბრძოდი, რომ საქართველოში დიდი მილი ჩაგვედო და იმასაც ვამბობდი, ბაქო-ჯეიჰანი ორ ეტაპად განვახორციელოთ-მეთქი, მაგრამ მივხვდი, რომ პირველი ეტაპის შემდეგ, თურქეთში მეორე ეტაპს აღარავინ გაგვაშვებინებდა, თან თურქეთის მაშინდელი პრეზიდენტი დემირელი ჩვენიანი იყო და გვირჩია, ასე არ მოვქცეულიყავით და ნავთობის მილისთვის გაზისაც მიგვეყოლებინა.

– ბატონო გია, ეს მილსადენი სრული დატვირთვით რატომ არ მუშაობს?

– იმიტომ, რომ ამდენი ნავთობი არაა.

– არ იცოდით, რომ ამდენი ნავთობი არ იქნებოდა?

– ვიცოდით, რომ ყაზახეთში ნავთობი იყო, თურქმენეთში – გაზი და ყველაფრი ეს ამ მილსადენს მიებმება.

– რა ამის პასუხია და, არცთუ დიდი ხნის წინ, პუტინმა თურქეთს გაზის ე.წ. სამხრეთ ნაკადის ალტერნატივა შესთავაზა, რაზეც ოფიციალური ანკარა, პრინციპში, დასთანხმდა. თქვენი აზრით, რატომ?

– თურქეთს თავისი ინტერესი აქვს – ამით ევროპის გაზით მომარაგების ერთ-ერთი საკვანძო ქვეყანა ხდება, ანუ მარტივად რომ ვთქვათ, ნატო-ს წევრი თურქეთი, რომელსაც 30 წელია, ევროკავშირში მიღებას პირდებიან, ევროპისთვის სერიოზული მოთამაშე ხდება.

– მაინც, როგორ?

– სხვა თუ არაფერი, ბოსფორს შეზღუდავს.

– ...ბატონო გია, როგორც ვიცი, სუფსის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის აშენებას 2 წელი დასჭირდება. ხალხმა შეიძლება, ჩათვალოს, რომ ესეც მორიგი დაპირებაა...

– გეთანხმები, რომ ხალხი ამდენი დაპირებით დაიღალა, მაგრამ 1993 წელს, ამაზე დიდი სკეპტისიზმი არსებობდა, რა ბაქო-სუფსა და ბაქო-ჯეიჰანი, ეს მილი რას მოგვცემს, ბორჯომი განადგურდებაო. სხვათა შორის, ამ ანტიპიარში რუსეთმა 60 მილიონი დახარჯა.

– დღეს რუსული ანტიპიარისგან დაზღვეულები ხართ?

– რა თქმა უნდა. ყოველ შემთხვევაში, ვიცით, ყველაფერ ამას როგორ ვუპასუხოთ! გამოცდილება ყველა კუთხით შევიძინეთ. მახსოვს, მსოფლიო ბანკი გვეუბნებოდა, ბორჯომი სად არის, აგვიხსენითო. დელეგაცია ხუთჯერ გამოაგზავნა. მერე, 6 თვე მშენებლობა გაჩერდა, რადგან გარემოს დაცვის სამინისტრო ხელს არ აწერდა. ამასობაში, პროექტი გაძვირდა – მარშრუტი გადავწიეთ, რადგან ახალქალაქში რუსული ბაზა იდგა...

– მოკლედ, გია ბატონო, საინტერესო კონტექსტია: ზუსტად მაშინ, როცა სუფსის პროექტი აქტიურდება, ცნობილი ხდება, რომ „როსნეფტმა“ ფოთის პორტის აქციები შეიძინა. ასე რომ, რუსეთისგან, მგონი, ნავთობპროვოკაციას უნდა ველოდოთ...

– გამორიცხულია, რადგან ამ პროექტში საერთაშორისო კომპანიები არიან ჩართულნი. რუსეთი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ჩაშლასაც ამაოდ ცდილობდა – ეს ნავთობსადენი მაინც აშენდა. სხვათა შორის, პირველი შემთხვევა იყო, როცა აშშ-ის პრეზიდენტი, შეტყობინებიდან სამი დღის შემდეგ, სტამბულის სამიტზე ჩავიდა, სადაც ხელი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ხელშეკრულებას მოეწერა. წინა დღეს კი, საქართველოდან რუსული ბაზების გაყვანა გაფორმდა – სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მთავარი პირობა, რათა ჩვენს ტერიტორიაზე საერთაშორისო ნავთობსადენს გაევლო. ყველაფერ ამის ცოცხალი მოწმე, ჩემს გარდა, ირაკლი მენაღარიშვილიცაა, რომელიც ჯგუფის ხელმძღვანელი იყო. შევარდნაძემ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როცა მოლაპარაკების ჯგუფის ხელმძღვანელად საგარეო საქმეთა მინისტრი დანიშნა. ჯგუფში ჩემსა და სხვა ექსპერტების გარდა, ამერიკელებიც შედიოდნენ, ასევე, ჩვენი დასავლელი პარტნიორების წარმომადგენლებიც. ყველაფერი კი, აშშ-მ დააფინანსა.

– ბატონო გია, სუფსის პროექტზე ხელისუფლებასთან დიალოგი უკვე დაიწყეთ?

– რა თქმა უნდა. მალე ამერიკული კომპანიაც ჩამოვა, რომელიც საინვესტიციო პაკეტს ჩამოიტანს და ხელისუფლებას აუხსნის, საქართველომ ინვესტიციების მოსაზიდად რა უნდა გააკეთოს.

– ბოლო დროს ვიღაცები აპელირებენ, რომ საქართველოში კრიმინალი გაიზარდა. ეს ხმა ნავთობინვესტორებს ხომ არ დაეფრთხობს?

– ასეთი რაღაცები 17-მილიარდიან პროექტზე არ მოქმედებს. აქ მთავარი სახელმწიფოს ნებაა. დღეს ინვესტორი დარწმუნებულია, რომ ახალ ხელისუფლებას მისი მხარდაჭერის სურვილი აქვს.

– მიწა, სადაც ქარხანა უნდა აშენდეს, ინვესტორს გრძელვადიანი იჯარით გადაეცემა თუ კერძო საკუთრების უფლებით?

– ესეც შეთანხმების საგანია. ქართული მხარე ამ პროექტში, როგორც მეწილე, შეიძლება, მიწით შევიდეს, ან ინვესტორმა მიწაშიც ფული გადაიხადოს. სხვათა შორის, მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემას არავინ ითხოვს.

– სულ რამდენ ჰექტარზეა ლაპარაკი?

– 200-მდე...

სუფსის ტერმინალში ცარიელი რეზერვუარებია, რომელთა აშენებაც 600 მილიონამდე დაჯდა და რომლის ოპერატორიც ბი-პი-ა, ასევე, გვაქვს წყალქვეშა მილი, ჩასასხმელი სისტემა და ხომ დანაშაული იქნება, რომ ყველაფერ ამის გვერდზე გადამამუშავებელი ქარხანა არ აშენდეს?

– ისე, საქართველოში ყველა, ასე ვთქვათ, ნავთობწერტილს აშშ რატომ აფინანსებს?

– იმიტომ, რომ თეთრი სახლი ხედავს, საქართველო, აზერბაიჯანისა არ იყოს, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის შეიძლება, ახალი ხერხემალი, ანუ ნავთობის მიწოდების ალტერნატივა გახდეს. ვანო, წელანაც გითხარი, დღეს ნავთობის ფასი დაბალია და ამ ქარხანაზე ლაპარაკი ამიტომაც განვაახლეთ.

– ეს ქარხანა იმის გარანტიას იძლევა, რომ საქართველოში აღარავინ იშიმშილებს?

– რა თქმა უნდა!

„საწვავი ლარი ეღირება!“

გია ჭანტურიასთან საუბრით ირკვევა, რომ სუფსაში ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის აშენება-ამოქმედებით, ჩვენებურ ნავთობბაზარზე ახალი წესები დამკვიდრდება, ანუ სავარაუდოდ, სახელმწიფო „ევრო 5“-ზე დაბალი ხარისხის საწვავის იმპორტს აკრძალავს, რის სანაცვლოდაც ქვეყანაში ამჟამად მოქმედ ნავთობკომპანიებს ადგილზე წარმოებულ საწვავზე რამდენიმეწლიან გარკვეულ დისკაუნტს მისცემს, რაც ავტომატურად ნავთობბაზარზე არსებულ კარტელურ გარიგებებსაც მოსპობს...

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოსახლეობას, ბუნებრივია, ყველაზე მეტად ერთი რამ აინტერესებს: საქართველოში საწვავი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის აშენების მერე მაინც თუ გაიაფდება?

გია ჭანტურია: – საწვავის ფასი განახევრდება, ანუ თუ დღეს ბენზინი 2 ლარი ღირს, ორი წლის მერე, ლარი ეღირება!

– ეს რეალობაა, გია ბატონო?

– აბსოლუტურად!

– ესე იგი, პოლიტიკოსები იმით ვეღარ იაპელირებენ, რომ საწვავიდან ერთი ლარი ვიღაცის ჯიბეში მიდის?

– დიახ, ეს თემა მოიხსნება, რადგან ქარხანა, რომლის გარკვეული წილის მფლობელი სახელმწიფოც იქნება, სახელმწიფოსთანვე დადებს ხელშეკრულებას, თუ რა რაოდენობის საწვავი სჭირდება და შიდა ბაზრისთვის 20 პროცენტით იაფად მისცემს. ნავთობის გამყიდველ კომპანიებთან კი, ხელშეკრულებას თავად სახელმწიფო გააფორმებს.

– თქვენ კი იაფად მიჰყიდით, მაგრამ ხომ შეიძლება, საწვავი სახელმწიფომ, ან მისმა ქვეკონტრაქტორმა კომპანიებმა გააძვირონ?

– გამორიცხულია, რადგან ჯერ ერთი, ფასი საქვეყნოდ ცნობილი იქნება, მეორეც, ხელშეკრულებაში ჩავდებთ, რომ ნავთობი, რომელსაც სახელმწიფოს 20-პროცენტიანი ფასდაკლებით მივცემთ, შიდა ბაზარზე არ გაძვირდეს!

– ბატონო გია, სახელმწიფოს რომელიმე, თუნდაც დაბალი რანგის წარმომადგენელმა პროექტში რუსული მხარის ჩართვის ულტიმატუმი რომ წამოგიყენოთ, დასთანხმდებით?

– ეს გამორიცხულია – ამაზე ამერიკელები არ წავლენ, რადგან რუსეთს სანქციები აქვს დაწესებული!

– ამ თემაზე ბიძინა ივანიშვილთან გისაუბრიათ?

– არა... საერთოდ, ჩემი ამოცანაა, რომ საინვესტიციო ჯგუფი საქართველოს მთავრობამდე მივიყვანო.

– გისმენთ და ოცნებით იმ კარგ საქართველოში „გადავედი“, ორი წლის მერე რომ იქნება...

– ეს ოცნება კი არა, რეალობაა, თორემ, ვანო, ხომ გითხარი, ჩვენი 1993 წელსაც არ სჯეროდათ, მაგრამ ყველა დაპირება შევასრულეთ!

გია ჭანტურიას ადრეც შევხვედრივარ, მაგრამ არასოდეს მიკითხავს, დიპლომიანი ჟურნალისტი ნავთობში როგორ აღმოჩნდა... იმ დღეს საუბარს შევყევით და რაკი წარსულიც გავიხსენეთ, ვიფიქრე, მოდი, ბარემ, ნავთობში მოხვედრის ამბავსაც მოვაყოლებ და იმასაც გავარკვევ, ალიევები თავიანთი ოჯახის წევრად მართლა თვლიან თუ არა-მეთქი... საინტერესო დეტალები „ამოვარდა“. აი, მაგალითად ის, თუ რატომ უყვარდა აზერბაიჯანის გარდაცვლილ პრეზიდენტს, გეიდარ ალიევს თბილისი. ასე რომ, ამ თემებზე სხვა დროს ვისუაბრ-ოთ!

ᲕᲐᲜᲝ ᲞᲐᲕᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

14 - 20 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ 2015

№ 2 (266)

11

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲜᲘᲤᲣᲚᲘ ᲮᲔᲝᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ

ᲔᲠᲔᲙᲚᲔᲡ ᲒᲔᲝᲠᲒᲘᲔᲕᲡᲙᲘᲡ ᲢᲠᲐᲥᲢᲐᲢᲘᲡ ᲓᲐᲓᲔᲑᲐ ᲛᲐᲡᲝᲜᲔᲑᲛᲐ ᲐᲘᲫᲣᲚᲔᲡ?

რუსეთი ჩვენი მტერია! — ამ მოსაზრებას თითო-ოროლა ეჭვის თვალით უყურებს და ამბობს, რომ რუსეთი ჩვენი სახელმწიფოებრიობის გადამრჩენია. არადა, ისტორია ნათელყოფს: რუსეთის ინტერესში ყოველთვის შედიოდა, რომ მსოფლიო რუკიდან წაეშალა ის სახელმწიფო, რომელსაც საქართველო ჰქვია. ასეთი იყო და არის „პროვასლავნური“, ბოლშევიკური და „გაზპრომული“ რუსეთის გეგმა... „ქართული სიტყვა“ ისტორიკოს სვიმონ მასხარაშვილს ესაუბრა.

ᲕᲘᲜ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲝᲮᲕᲓᲐ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ ᲠᲔᲘᲜᲔᲥᲡᲘ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲙᲐᲠᲖᲔ — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲣᲪᲜᲝᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

— ბატონო სვიმონ, არის თუ არა რუსეთი საქართველოს მტერი?

— დიახ, რუსეთი საქართველოს მტერია — ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიები და, ასევე, დაწყებული აქვს ანექსიის პროცესი. ის კი, ვისაც ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიები, ვინც საქართველოსთან აწარმოა ომი და ომის რეჟიმს, პრაქტიკულად, დღესაც აგრძელებს, საქართველოს მტერია! რუსეთი საქართველოს მტერი ყველანაირი სამართლებრივი ნორმებითაა.

— ზოგი თვლის, რომ რუსეთმა საქართველო ფიზიკურად გადაარჩინა. ამის თქმის საფუძველს ისტორია იძლევა?

— იმისთვის, რომ ხალხში ასეთი იდეოლოგია დაემკვიდრებინათ, პირველ რიგში, ჩვენი ისტორია გააყალბეს, რეალური ფაქტები დამალეს და, გამოგონილ ფაქტებზე დაყრდნობით, ცრუ ისტორია შეიქმნა, რომელსაც გვასწავლიდნენ და გვაზეპირებინებდნენ.

— კერძოდ, რა ფაქტები გაქვთ მხედველობაში?

— მსჯელობა გეორგიევსკის ტრაქტატიდან უნდა დავიწყოთ: 1783 წელს, რუსეთ-საქართველოს შორის გაფორმდა გეორგიევსკის ტრაქტატი, რომლითაც საქართველოს სახელმწიფოებრიობა არ დაუკარგავს, მაგრამ ეს, პრაქტიკულად, რუსეთის შემადგენლობაში შესვლა იყო. ტრაქტატის მერვე არტიკულით საქართველო კარგავდა ავტოკეფალიას და ეს არტიკული საქართველოს თავს რუსეთის სპეცსამსახურებმა მოახვიეს.

იმხანად საქართველო გაერთიანებას აპირებდა: დასავლეთ საქართველოში სოლომონ მეორეს პირდაპირი მემკვიდრე არ ჰყავდა. ოსმალებმა ერეკლე მეორეს ხელშეკრულების გაფორმება შესთავაზეს, რომლის ძალითაც, ისინი საქართველოს გაერთიანებას იმ შემთხვევაში აღიარებდნენ, თუ საქართველო არ შემოიყვანდა რუსეთის ჯარს ისევე, როგორც ეს ტოტლებენის პერიოდში მოხდა. ამ ხელშეკრულების შესახებ რუსეთში გაიგეს და მიზნად დაისახეს, რომ საქართველო-ოსმალეთის ტრაქტატი დაეღრღვიათ, ანუ საქართველოში რუსული ჯარი სიმბოლურად მაინც შემოეყვანათ, რაც ავტომატურად ამ ტრაქტატის დარღვევას და საქართველოს არაკეთილსინდისიერ პარტნიორად წარმოჩენას ნიშნავდა, როგორც ოსმალეთის, ისე — საერთაშორისო საზოგადოების თვალში.

— საქართველოსთვის ოსმალეთთან გაფორმებული ტრაქტატი უფრო მომგებიანი იყო?

— დიახ, რადგან ამ ტრაქტატით, ოსმალეთის იმპერია, რუსეთთან უარის სანაცვლოდ, საქართველოს გაერთიანებას აღიარებდა. არადა, 1774 წლის ზავის პირობებით, დასავლეთ საქართველო ოსმალეთის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა და თუ ეს ქვეყანა საქართველოს გაერთიანებას სცნობდა, ამას არაფერი აჯობებდა.

— მიზნისთვის რომ მიეღწია, რუსეთმა რა მოიმოქმედა?

— რუსეთის კარზე ვახტანგ მეექვსის შვილიშვილი, ალექსანდრე ბატონიშვილი იმყოფებოდა, რომელიც პეტერბურგიდან გამოაგდეს და უბიძგეს, რომ ერეკლეს წინააღმდეგ დაეწყო მოძრაობა. ის სპარსეთში, დასავლეთ საქართველოში ჩავიდა და მხარდაჭერას ითხოვდა, მაგრამ ყველგან უარი მიიღო. ბოლოს, ჩრდილოეთ კავკასიაში წავიდა, სადაც რუსეთის მხარდამჭერმა დაღესტნელმა ყადი შამხალმა, რუსეთიდან აღებული ფულით, ასეთი რამ გააკეთა: ალექსანდრე ბატონიშვილი დაატყვევა და ხმა გაავრცელა, რომ თითქოს ყველაფერს აკეთებენ, რომ ქართლის სამეფო ტახტიდან ერეკლე გაეძევებინათ და ალექსანდრე დაესვათ. ერეკლე ქართლის ტახტზე მაინც არალეგიტიმურად ითვლებოდა და ამიტომ ქართლის თავადობის ნაწილი არცთუ კარგი თვალით უყურებდა. თუ მთელი ჩრდილოეთ კავკასია ვახტანგ მეფის შვილიშვილს მხარს დაუჭერდა, ერეკლეს შეიძლება, გარკვეული პრობლემები, მართლაც, შექმნოდა.

— ბატონო სვიმონ, წელან მეფის რუსეთის სპეცსამსახურები ახსენეთ. მაინც, რა მოიმოქმედეს?

— ერეკლეს კარზე დოქტორი, ექიმი ვინმე რეინექსი იმყოფებოდა, რომელიც მასონობის პოპულარიზატორი იყო და ადრე თავისი მისია ჰქონდა. ამ ადამიანის შესახებ რუსეთის აგენტურამ შეიტყო და... რუსეთში მიიწვიეს, სადაც პოტიომკინს შეხვდა, რომელიც საქართველოში პოლიტიკურ-იდეოლოგიურ სპეცოპერაციას მეთაურობდა და რეინექსი გადაიბირა.

რეინექსი დარეჯან დედოფლის დიდი ნდობით სარგებლობდა. რუსულმა სპეცსამსახურებმა დაავალეს: როცა საქართველოში ექსტრემალური ვითარება შეიქმნებოდა, ერეკლეს ცოლი და თვით მეფეც დაერწმუნებინა, რომ ყველაზე კარგი გამოსავალი რუსეთი იყო. ისე მოხდა, რომ ამ კაცმა ერეკლე, საბოლოოდ, ტრაქტატის თხოვნამდე მიიყვანა. ჩვენ კი დაგვრჩა ერეკლეს წერილი, რომელიც რუსეთის იმპერატრიცას 1782 წელს მისწერა. წერილში უხსნის, რომ უძლიერესია, აღმოსავლეთ ამიერკავკასიას ფლობს და ოსმალეთი ჩამოცილებული ჰყავს, მაგრამ ახლა მთავარია, ის საფრთხე ჩამოაცილონ, რომელიც ალექსანდრე ბატონიშვილისგან მომდინარეობს. თუ რუსეთი ამ პრობლემას გაუნეიტრალებს, ერეკლე თანახმაა, მის მფარველობაში შევიდეს. მოკლედ, ამის საფუძველზე შედგა ტრაქტატი, რომელიც თავს მოგვახვიეს — შემოვიდა რუსის ჯარი და საქართველო მხოლოდ ოსმალეთის კი არა, მთელი მსოფლიოს თვალში პირის გამტეხად გამოჩნდა. ალექსანდრე ბატონიშვილი კი, რომელიც, რეალურად, პატიმარი იყო, რუსეთის გზას გაუყენეს.

— რუსეთმა არაერთხელ დაარღვია ტრაქტატი...

— 1787 წელს, მართლაც, დაირღვა ტრაქტატი და იმის მაგივრად, რომ საქართველოს გვერდით დასდგომოდა, აქედან ჯარი გაიყვანა. ამის შემდეგ, 1789 წელს, კიდევ ერთხელ დადგა საქართველოს გაერთიანების საკითხი, მაგრამ თავი შიდაპოლიტიკურმა დაპირისპირებამ იჩინა — აქ რუსეთი არაფერ შუაში იყო. შემდეგ მოხდა კრწანისის ომი, როცა, თბილისის დაცემის მიუხედავად, რეალურად, გავიმარჯვეთ.

— რა მოხდა ამის მერე — როგორ შეევედით რუსეთის შემადგენლობაში, როგორც გუბერნია?

— გეორგიევსკის ტრაქტატიდან მოყოლებული, ასეთი წესი დამკვიდრდა: საქართველოს ფულად ერთეულზე, ერთ-ერთ მხარეს, რუსული გერბი — ორთავიანი არწივი გამოისახებოდა. 1787 წლამდე, ამ წესს პერიოდულად იცავდნენ, რადგან გარკვეული ეკონომიკური ინტერესი არსებობდა. 1795 წლიდან კი, ერეკლეს გარდაცვალებამდე, საქართველოში რაც კი ფული გამოდის, ყველა არწივს თავი წაგლეჯილი აქვს.

— რატომ?

— მეფემ ხაზინას დაავალა, რომ რუსეთის ეროვნული სიმბოლიკისთვის შეურაცხყოფა მიეყენებინათ. ეს იმის ყველაზე დიდი დასტურია, რომ ერეკლეს რუსეთი სძულდა და მასთან შეერთების კატეგორიული წინააღმდეგი იყო. ეს ფაქტი თუნდაც იმიტომაა, რომ რუსეთმა ლომის წილი ითამაშა აღა მაჰმად ხანის შემოსევაში: მას დაჩოქილი საქართველო სჭირდებოდა, რომელსაც, რუსეთის მონობის გარდა, სხვა გზა არ ექნებოდა.

— ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ, პრინციპში, ასეც მოხდა...

— ერეკლეს ვაჟი, გიორგი, ოღონდ გამეფებულიყო, გუბერნატორის სტატუსზეც კი თანახმა იყო. რუსეთს უფლება არ ჰქონდა, დე-იურე სახელმწიფოებრიობა გაეუქმებინა. იმას, რომ რუსებმა ჯარი ხელახლა შემოიყვანეს და მფარველობაში შესვლაზე საუბარი ხელახლა დაიწყო, ერთადერთი მიზეზი ჰქონდა: ეს სახელმწიფოებრივი საჭიროება კი არა, გიორგი მეცამეტის წმინდა მერკანტილური ინტერესი იყო, რომ გვირგვინი მის ვაჟებს დარჩენოდათ და არ გადასულიყო ძმაზე. სხვა საჭიროება, უბრალოდ, არ არსებობდა. ამით ისარგებლა რუსეთმა, სამეფო ოჯახის ბედოვლათობა გამოიყენა და ჯერ იურიდიულად მოახდინა აღმოსავლეთ საქართველოს ანექსია, შემდეგ კი, — პრაქტიკულადაც. ეს პროცესი 1802 წელს დაიწყო და 1867 წლამდე, ანუ მანამდე გაგრძელდა, ვიდრე სრულიად საქართველო არ დაიპყრო...

საქართველო, ბოლშევიკური რუსეთისგან განსხვავებით, დე-იურედ აღიარებული სახელმწიფო იყო. ბოლშევიკურმა რუსეთმა საქართველოს დაპყრობის რამდენიმე მცდელობა განახორციელა: ხან შავი ზღვიდან გვიტევდა, ხან — აზერბაიჯანიდან. 1921 წელს კი, ეს შემოტევა ყველა მიმართულებიდან განახორციელა — საქართველოს ოკუპაცია კავკასიაში მყოფი ჯარებით დაიწყო.

— ყველაფერ ამის თავიდან აცილება შეგვეძლო?

— რა თქმა უნდა, შეგვეძლო. საყოველთაო მობილიზაცია რომ გამოცხადებულიყო და 25 თებერვალს ჟორდანიას მთავრობას სასიკვდილო შეცდომა რომ არ დაეშვა — თბილისი არ დაეტოვებინა, ომის მოგებაც შეგვეძლო. მთავრობას ისე უნდა ემოქმედა, როგორც გენერალი ია ოდიშელიძე ურჩევდა! საქართველოს ოკუპაციისაგან გადარჩენა თავისუფლად შეიძლებოდა — როგორც ლარსის, ისე მამისონის მიმართულებით, შეკავებული გვყავდა მტერი. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამ მოვლენების პარალელურად, სომხებმა ერევანი დაიბრუნეს, რუსეთს ამ მიმართულებით დასაყრდენი საერთოდ არ ჰქონდა. ერთადერთი გზა გაქცევა რჩებოდა და ამ დროს ჩვენ თბილისი დავტოვეთ, რაც უდიდესი სტრატეგიული შეცდომა იყო, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით.

— რაც შეეხება სამართლებრივ მხარეს...

— წმინდა სამართლებრივი თვალსაზრისით, 1921 წელს განხორციელდა საქართველოს ხელახალი ანექსია, რომელიც 1783 და 1802 წლების ანექსიაზე გაცილებით უკანონო იყო. 1921 წელს, სრულიად არალეგიტიმურმა — მსოფლიოს ერთ ქვეყანასაც კი არ ჰქონდა აღიარებული ბოლშევიკური რუსეთი, ბანდიტურმა ძალამ სუვერენულ სახელმწიფოზე აგრესია განახორციელა. არ არსებობს პარამეტრი, რომელიც ამას გაამართლებს! შეცდომები, რა თქმა უნდა, დავუშვით. მაგალითად, 1920 წელს რუსეთთან ხელშეკრულება არ უნდა დაგვედო, მით უმეტეს, რომ ბოლშევიკურ რუსეთს, გერმანიასთან დადებული ხელშეკრულებით, საქართველოს დამოუკიდებლობა უკვე აღიარებული ჰქონდა. რაც მთავარია, საქართველოს რუსეთის აგენტურულმა ქსელმა თავს მოახვია ნეიტრალიტეტის პოლიტიკა და ისიც 1920 წლის ხელშეკრულების გაგრძელება იყო, რომ ბათუმის პორტი ინგლისისა და საფრანგეთის სამხედროებს დავატოვებინეთ. რეალურად, ამ დროს ნატო-ს წევრი ვიყავით და გამოვედით. ეს სავალალო შეცდომებია და ვინც დაუშვა, ისტორია არასოდეს აპატიებს!

1934 წელს, როცა საბჭოთა კავშირს ერთა ლიგაში იღებდნენ, დასავლეთმა საქართველოს საკითხი კი არ დამალა, არამედ, განუსაზღვრელი ვადით გადადო. 1940 წელს, როცა საბჭოთა კავშირი ერთა ლიგიდან გარიცხეს, ამ დროსაც საქართველო აღქმული იქნა, როგორც დე-იურე სახელმწიფო, რომელიც ოკუპირებული ჰქონდა საბჭოთა კავშირს და ეს რეჟიმი, პრაქტიკულად, 1945 წლამდე გაგრძელდა. მეტსაც გეტყვით: 1954 წელს, ამერიკული პოლიტიკური ელიტა დე-იურე საქართველოს სახელმწიფოდ აღიქვამს და ეს ჩანს აშშ-ის კონგრესის დასკვნებში. სწორედ ამიტომაც, 1991 წელს, საქართველომ დამოუკიდებლობა კი არ გამოაცხადა, არამედ, აღადგინა 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე.

— ბატონო სვიმონ, რუსეთთან მიმართებაში ყველაზე დიდი პრობლემა რა არის?

— რუსეთის თვითმიზანია, რომ ქართულმა სახელმწიფოებრიობამ არ იარსებოს. ჯერ კიდევ საუკუნეების წინ სთავაზობდა სოლომონ ლიონიძე, რომ რუსეთის ინტერესებში შესაძლოა, ყოფილიყო ძლიერი საქართველო, თუ ის იქნებოდა მთავარი გეოპოლიტიკური პარტნიორი სპარსეთის ყურისა თუ სხვა მიმართულებებით. ეს რუსებს ევრაზიაზე გაბატონების საშუალებას მისცემდა, მაგრამ რუსეთის ადმინისტრაცია მაშინაც და მერეც, ყველაფერს სხვაგვარად უყურებდა. რუსული იმპერიული, ბოლშევიკური თუ „გაზპრომული“ დოქტრინა ქადაგებს, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობამ არ უნდა იარსებოს! რუსეთის მთავრობა საქართველოს ისე განიხილავს, როგორც მისი მიზნების სასიკვდილო საფრთხეს!

— რატომ?

— იმიტომ, რომ ევრაზიის გამყოფი და დასავლეთთან დამაკავშირებელი სულ რამდენიმე პუნქტი არსებობს. რუსეთის ტერიტორიას გვერდს კასპიის ზღვიდან ჩრდილოყინულოვან ოკეანემდე, ევროპიდან აზიისკენ მიმავალი ერთი სახმელეთო გზაც კი ვერ აუქცევს, კასპიის ზღვიდან სამხრეთისკენ მიმავალი ერთი გზაც კი, გვერდს ირანის ტერიტორიას ვერ აუქცევს, მაგრამ არსებობს ერთადერთი ალტერნატიული გზა, რომელიც გადის შავი ზღვა-კავკასია-კასპიის ზღვას შორის, შესაბამისად, რუსეთისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ დახშული იყოს როგორც კავკასიაზე, ისე, ირანზე გამავალი გზა. ამიტომაა, რომ რუსეთი ყოველთვის ცდილობს, ირანი საერთაშორისო საზოგადოებისგან იზოლირებული იყოს. იგივე მცდელობა აქვს საქართველო-აზერბაიჯანის მიმართაც, რადგან იცის, რომ ღია კორიდორი მისთვის ძალიან სახიფათოა....

რუსეთი ჩვენთან შემოვიდა თუ არა, თორმეტ ერად ჩაგვწერა, ექვს ოკრუგ-გუბერნიად დაგვყო და ქართული ენა საერთოდ აკრძალა, მაგრამ საქართველო მაინც გადარჩა და სახელმწიფოებრიობაც აღიდგინა. 21-37 წლები მოგვიწყო, 1941-45 წლებში, 350 ათასი ქართველი ბიჭი გაჟლიტა, მაგრამ მაინც აღვსდექით. ამიტომ რუსეთმა კარგად იცის: დაცული მაშინ იქნება, თუკი საქართველო არსებობას საერთოდ შეწყვეტს და ამისთვის ყველაფერს აკეთებს. მოსახლეობამ უნდა გაიგოს, რომ რუსეთის ინტერესებში შედის არარსებული საქართველო. ვიდრე რუსეთში კრემლის თუ ცენტრალიზებული რეჟიმის დემონტაჟი არ მოხდება, რუსეთი ისეთი იქნება, როგორიც ახლაა. ამიტომ, რუსეთთან მეგობრობისა თუ ხელშეკრულებების გაფორმების ყველა ფიქრი, მცდელობა და ილუზია, რომ ურთიერთობა დათმობითა და „ბაბაიას“ ძახილით დარეგულირდება, მხოლოდ სუიციდის აქტი და თავის ტყუილად გაწირვაა. რუსეთს რაც მეტს გაუღიმებ, მით უფრო იოლად გაგანადგურებს!

ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲜᲐᲗᲘᲐ ᲕᲔᲠᲫᲔᲣᲚᲘ

12 | № 2 (266) | 14 - 20 იანვარი 2015

ქართული სიტყვა

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენგან ოდია;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქა

ᲐᲠᲐ – ᲢᲔᲠᲝᲠᲘᲖᲛᲘᲡ!

„საქართველოში შავი დროშები აფრიალდება!“ – რადიკალი მუსლიმის მუქარა

ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲕᲐᲰᲐᲑᲘᲖᲛᲛᲐ ᲘᲤᲔᲗᲥᲐ – ᲡᲐᲒᲐᲜ�გᲐᲨᲝ ᲠᲔᲞᲝᲠᲢᲐᲟᲘ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲧᲐᲠᲐᲯᲗᲐᲚᲐᲓᲐᲜ

ყარაჯალა საქართველოში აზერბაიჯანელებით დასახლებული ერთ-ერთი ყველაზე ძველი სოფელია... უწყინარ და შრომისმოყვარე სოფელს, ერთი შეხედვით, პრობლემები არ აქვს, უფრო ზუსტად რომ ვთქვა, ალაზნის პირას მდებარე სოფელი კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწევა...

სოფელს სკოლა და ბაღი აქვს... სკოლაში ქართული ენის სექტორი და სავალდებულოდ ცოდნა მხოლოდ 2004 წლის სექტემბრიდან დამკვიდრდა...

მანამდე მთელი სოფლის ბავშვები აზერბაიჯანულ სექტორზე სწავლობდნენ და, როგორც ამბობენ, თბილისში „ვარდების რევოლუცია“ რომ მოხდა, „ბაქოს არხიდან“ გაიგეს...

საქართველოში შაჰ აბას პირველის განკარგულებით ჩამოსახლებული აზერები, ისევ იმ ძველ ტრადიციებს მისდევენ, რომლებიც ოდესღაც უქადაგეს:

სკოლა სავალდებულო არ არის, განსაკუთრებით, – ქალისთვის: სკოლაში ქალმა სულ 5 კლასი უნდა იაროს და მეტი რად უნდა?!

ქალმა სახლს უნდა მიხედოს, ბოსტანსაც და ბევრი შვილი გააჩინოს...

კაცი?

კაცი უფროსია და რასაც იტყვის, ოჯახში ყველამ უნდა დაუჯეროს...

კაცმა სკოლაც უნდა დაამთავროს და ჯარიც მოიაროს...

უმაღლესი არაა საჭირო: თუ ფულის დათვლა და შოვნა იცი, ე.ი. კაცი ხარ!

ქართული ენა?

ქართული ენა კაცმა უნდა იცოდეს, ქალს რად უნდა?! – ბაზარში წავა, გაყიდის, იყიდის და იქ თუ დასჭირდება, ის ორი სიტყვა იცის – ეგეც საკმარისია...

ᲧᲐᲠᲐᲯᲗᲐᲚᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲐ

ელზა აშიროვა 2004 წლიდან სკოლის დირექტორია. პრაგმატულად მოაზროვნე მასწავლებელი სოფელს მდიდარს ეძახის და ამბობს, რომ უზომოდ მშრომელი ხალხი ცხოვრობს, ფულს ბევრს იშოვიან, მაგრამ არამიზნობრივად დახარჯავენო...

– სად ხარჯავენ?

– 13 წლის გოგოს 20 წლის ბიჭზე დააქორწინებენ და საქორწილოდ, შეიძლება, 50 000 ლარი დახარჯონ, თუ უფრო მეტი არა. ასე მაშინაც ხდება, როცა პატარძალს გათხოვება არ უნდა, სწავლა უნდა, მაგრამ ბიჭს ცოლი სჭირდება, რომ შვილები ეყოლოს და თვითონ იქ წავიდეს, სადაც გაუხარდება... ყველაზე მეტი შრომა ქალს აწევს: შვილები, სახლი, ბოსტანი, სათბური, ვაჭრობა, თუმცა ფული კაცისაა.

– იმ დროს, როცა 13 წლის გოგოს ათხოვებენ, სკოლა რას აკეთებს?

– ვერაფერს! რამდენიმე წლის წინ, ძალიან გავბრაზდი – სექტემბერში აღმოვაჩინე, რომ მეშვიდე კლასის ზევით ერთი გოგოც არ მყავდა. წარმოგიდგენიათ სოფელი, სადაც 12 000 მოსახლეა და სკოლაში მეშვიდე კლასის ზევით ერთი გოგოც არ დადის? – დაათხოვეს, ზოგი სახლში დასვეს, რადგან 17-18 წლის აქ უკვე შინაბერად ითვლება და ოჯახის მძიმე ტვირთია. ამ დროს ქვრივ კაცს ეძებენ, რომ ქალი გაატანონ. ეს იმ დროს, როცა ახალგაზრდა სწავლაზე – უმაღლესში ჩაბარებაზე, პიროვნულ და კარიერულ წინსვლაზე უნდა ფიქრობდეს.

– ქართული იციან, რომ უმაღლესში ჩაბარონ?

– არა, არ იციან.

სოფელში დავიწყე საუბარი, რომელ გოგოსაც სკოლას არ დაამთავრებინებდნენ, ჯარიმას 5000 ლარს დავაწესებდი, ანუ ვისაც გაათხოვებდნენ, იმის ოჯახს ამ ფულს უპატრონო ქართველი ბავშვებისა და ომში დაღუპული მეომრების შვილების სწავლის საფასურისთვის გადავახდევინებდი.

– მერე, რა მოხდა?

– ცოტას გადავრჩი, რომ არ ჩამქოლეს, თუმცა მაინც შეეშინდათ! ეს ერთადერთი კეთილი ტყუილი იყო, რომლითაც სოფელში შიში დავთესე და ცოტა ხანი გაჭრა კიდეც.

– ახლა რა ხდება?

– ახლა უარესი ხდება: აი, სკოლის წინ რომ გაიხედავთ, მეჩეთია, იქ უცხოები არ არიან, ჩემი ნათესავებიც არიან, სხვებისაც, სოფელში ყველა ერთმანეთის ახლობელი ვართ... იმ მეჩეთში ვაჰაბიზმის იდეოლოგიის მატარებელი მუსლიმები არიან და აი, ასე: ოჯახებს ტვინს ურევენ და შესაბამისად, ბავშვები სკოლაში აღარ მოდიან – მშობლები არ უშვებენ...

ამასაც თავი რომ დავანებოთ, პირველკლასელ გოგონას რომ მიიღებ და სახე თავსაბურით აქვს „შებუდუდლი“, „ნევეძინკას“ ვერ გაიკეთებს, „ბანტი“ არ იცის, რა არის, რა ვასწავლო? პარალელურად, მშობლებმა არც ქართული წერა იციან და არც – კითხვა. მე რაც უნდა ვასწავლო, სახლში ხომ უნდა ამეცადინონ?

– ძირითადად რომელ სატელევიზიო არხებს უყურებენ?

– სოფელში ქართულ ტელევიზიებს ერთი ოჯახიც არ უყურებს! ყველას „თეფშები“ აქვს ნაყიდი და თურქულ არხებზე გადართული, 2 კვირაა, სკოლაში ვამბობ, ხვალ რომ მოხვალთ, მომიყევით, ქართულ არხზე რა ნახეთ, 5 წუთით საინფორმაციოს მოუსმინეთ-მეთქი, მაგრამ აზრი არ აქვს...

– ვაჰაბიზმს დავუბრუნდეთ...

– ძალიან საშიში მდგომარეობაა – ხომ გითხარით, სკოლაში შემოდიან და ბავშვები მერხიდან მიჰყავთ, ბიჭები – მეჩეთში, გოგოები – სახლში. ოჯახები გამაფრთხილებელ ტექსტებს მითვლიან, მაგრამ არ მეშინია: ვიდრე ფეხზე ვდგავარ, 3 ბავშვიც რომ გადავარჩინო, ესეც ძალიან მაგარი იქნება! ერთ გოგოს მაინც რომ დავამთავრებინო სკოლა და უმაღლესში ჩავაბარებინო, წარმოგიდგენიათ, რამხელა მიღწევა იქნება?!

არანაირი კონცერტი, კლუბი, არც ცეკვა, არც მუსიკა... ბავშვები გვეუბნებიან, არ ვიმღერებთ და არც ვიცეკვებთ, ალაჰი დაგვსჯისო.

– ვაჰაბისტი სოფლის მაცხოვრებელთა რამდენი პროცენტი იქნება?

– აქ 60 პროცენტი ვაჰაბისტია!

– სახელმწიფო რას აკეთებს?

– არაფერს! იციან, აქედან სირიაში წასული რამდენია?

– აქედანაც მიდიან?

– აბა! ჯიჰადია გამოცხადებული – სოფელში ამდენი ვაჰაბისტია და არ წავიდოდნენ?

– როგორ ფიქრობთ, ყველაფერი ეს როგორ უნდა შეიცვალოს?

– პასუხის მოძებნა ძალიან რთულია. სოფელი ჩაკეტილია! არც კულტსახლია – გაიყიდა და იქ ახლა ქორწილების დარბაზია, არც გამგეობაა, საბავშვო ბაღის ერთ ოთახში ზის გამგებელი, ანუ გამგებლის წარმომადგენელი და საკრებულოს დეპუტატიც. არც ვინმე მოდის, რომ რამე შეცვალოს.

– თქვენც ხომ ამ სოფელში დაიბადეთ და გაიზარდეთ, სხვა დამოკიდებულებები როგორ ჩამოგიყალიბდათ?

– მშობლები ასე მზრდიდნენ...

ელზა აშიროვასთან საუბრის შემდეგ, საკრებულოს დეპუტატი მოვინახულე, რომელიც თვლის, რომ სოფელში პატარები აღარ თხოვდებიან, რადგან ქართული ჯარი კარგ მდგომარეობაშია – ბიჭები ჯარში მიდიან და გოგონებსაც არავინ ათხოვებს, თუმცა ვაჰაბიზმსა და მის საფრთხეებზე საუბარს გაურბის. ამბობს, რომ ეს ჩვეულებრივი იდეოლოგიაა. რელიგია კი, საშიში არაა... ყარაჯალაში სახლების უმრავლესობას 4-5-მეტრიანი გალავანი არტყია... ვაჰაბიზმისთვის დამახასიათებელი ჩაცმულობა და იერი ბევრს აქვს... აქ განათლება უცხო ხილია... ამაზე, ალბათ, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს...

Მ.Ш. როგორც ქართული ინტერნეტ-გამოცემა „არგუმენტი.გე“ იუწყება, ბათუმელი რადიკალი მუსლიმი, 27 წლის თამაზ ჭაღალიძე, იგივე აჰმედ ჭაღალიძე, რომელიც სირიაში იბრძვის, საქართველოში მცხოვრებ ქრისტიანებსა და სამღვდელოებას მუქარის წერილით მიმართავს. „არგუმენტი.გეს“ ცნობით, ჭაღალიძე აღნიშნულ მიმართვას სოციალური ქსელის პირად გვერდზე ავრცელებს:

„ყურადღება! საქართველოს ქააფირებს მივმართავ, ვინც ისლამისა და მუსლიმანების წინააღმდეგ რამე ჩაიდინეთ ნატო-ს მისიებით ერაყში, ავღანეთში, აფრიკაში თუ საქართველოში, ლაფანყურში, პანკისში, გურიაში, აჭარაში, ჯავახეთსა თუ სხვა რეგიონებში, ყველა ფაქტი გვახსოვს და ყველა მონაწილის სახელი და გვარი ვიცით. ვიცით ყველა „კაგებეშნიკი“, ვინც ჩვენს ძმებს შეურაცხყოფას აყენებს. ვიცით ყველა თქვენი ნამოქმედარი. ამ ყველაფერზე პასუხს აგებთ თქვენი ბინძური ქააფირი სისხლით. გაფრთხილებთ კიდევ ერთხელ! არ გაბედოთ, რომელიმე მუსლიმ ძმაზე ხელის აღმართვა, ან რომელიმე მეჩეთზე, ან ნებისმიერ თემაზე, სადაც ისლამი ურევია, თორემ ერთ დღეს რომ საქართველოში შავი დროშები აფრიალდება, გასაქცევს მოძებნით. გპირდებით, დაჩოქილ ვედრებას დაგაწყებინებთ ტელევიზიით. გაჩენას ინანებთ, თქვე ვირთხებო, თქვენა. საპატრიარქოს აჭარლებისა და აჭარის პრობლემებისთვის ისეთ დღეში ჩაგაგდებთ, რომ თქვე ანაფორიანო ვირთხებო, ინატრებთ, რომ ქვეწარმავლად გავჩენილიყავითო. ვფიცავ ალაჰს, მწარედ ინანებთ! თქვენი ბინძური სისხლით პასუხს აგებთ ყველა ქააფირი. ერთი შანსი აქვთ მოქალაქეებს: ისლამი აღიარონ და ხალიფატს დაემორჩილონ“, – წერს თამაზ ჭაღალიძე.

ᲛᲐᲙᲐ ᲛᲝᲡᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

14 – 20 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ 2015

№ 2 (266)

13

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲜᲔᲠᲝᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲐᲠᲐ – ᲢᲔᲠᲝᲠᲘᲖᲛᲡ!

ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲢᲔᲠᲝᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ 30-ᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲢᲔᲠᲐᲥᲢᲘ ᲛᲝᲮᲓᲐ – „ᲢᲔᲠᲝᲠᲘᲖᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲫᲐᲚᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ“ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ ᲒᲕᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲡ

მუსულმანი ტერორისტები სულ უფრო და უფრო ძლიერდებიან, ცივილური მსოფლიო კი, დათმობას არ აპირებს. ამის ნათელი მაგალითია „შარლი ებდოს“ მხარდამჭერი აქციები საფრანგეთსა და მთელ დასავლეთში. ხალხი დაუპირისპირდა ტერორისტებს. სადამდე მივა ეს დაპირისპირება და რაში გადაიზრდება სახალხო აქციები, ეს ჯერ არავინ იცის... „ქართული სიტყვა“ „ტერორიზმისა და პოლიტიკური ძალადობის ცენტრის“ ხელმძღვანელ ᲑᲐᲓᲠᲘ ᲜᲐᲩᲧᲔᲑᲘᲐᲡ ესაუბრა:

– გავიხსენოთ ისტორია: ინდური წარმოშობის ბრიტანელმა მწერალმა, სალმან რუშდიმ, 1988 წელს, რომანი – „სატანური ლექსები“ გამოაქვეყნა, რომელშიც ძალიან ცუდად წარმოაჩინა მუჰამედის ცოლები და ამით მაჰმადიანობას შეურაცხყოფა მიაყენა. ამ რომანს საოცარი წარმატება ჰქონდა არამაჰმადიანურ მკითხველებში, მუსულმანების მხრიდან კი, უზარმაზარი აღშფოთება მოჰყვა. აითოლა ჰომეინმა საჯაროდ დაწყევლა მწერალი, გამომცემლები და მათ სიკვდილის განაჩენი გამოუტანა. ხომეინმა მთელი მსოფლიოს მუსულმანებს მოუწოდა, განაჩენი სისრულეში მოეყვანათ. სალმან რუშდის გამო, ირანისა და დიდი ბრიტანეთის დიპლომატიური ურთიერთობა შეწყდა. ირანის ფონდმა, სალმან რუშდის მოკვლისათვის, ჯილდოდ 2 მილიონი აშშ დოლარი დააწესა. ცოტა ხნის შემდეგ კი, ჯილდო 2,5-მილიონამდე გაიზარდა. აითოლა ჰომეინის ფონდის ხელმძღვანელმა ინტერვიუ მისცა ერთ-ერთ გაზეთს და აღნიშნა, აუცილებელი არაა, რუშდის მკვლელი მუსულმანი იყოს, ნებისმიერი, ვინც მას მოკლავს, ჯილდოს მიიღებსო.

აითოლა ჰომეინის განცხადება დემოკრატიულ სამყაროში, რა თქმა უნდა, ყოვლად მიუღებელია და გამართლება არ აქვს. ჰოლანდიასა და დანიაში მუჰამედის კარიკატურები გააკეთეს, რასაც უზარმაზარი აგრესია მოჰყვა. არცთუ დიდი ხნის წინ, ინტერნეტით ფილმი გავრცელდა, რომელშიც მუჰამედი აბუჩად იყო აგდებული, რამაც სისხლისღვრა გამოიწვია. ახლა კი, „შარლი ებდოს“ სატირულმა ჟურნალმა ალ-ბადრის კარიკატურა გამოაქვეყნა და რაც მოხდა, ვხედავთ.

– თქვენი აზრით, ჟურნალს პოპულარობა უნდოდა?

– ამ ჟურნალს პოპულარობა არ აკლია – ძალიან პოპულარული გამოცემაა. გულწრფელად შეშფოთებული ვარ და მივესალმები პრესის თავისუფლების დაცვის აქციებს, რომლებიც საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში იმართება. თავისუფალი პრესა დასავლური ღირებულების მთავარი მატარებელია, მაგრამ აქვე, ვიტყვი, რომ სატირის რელიგიის წინააღმდეგ გამოყენება სწორად არ მიმაჩნია. ეს ვიღაცისათვის შესაძლოა, თვითმიზანი იყოს.

– არ მინდა თემას გავცდე, მაგრამ არც ჩვენი საზოგადოებაა მოკრძალებული რელიგიის მიმართ. მხედველობაში მაქვს გარკვეული ადამიანების დამოკიდებულება სამღვდელოების მიმართ. ბოლო შემთხვევას – ნინია კაკაბაძის რეპლიკას გავიხსენებ: მან „ფეისბუქზე“ დაწერა, პატრიარქის დაბადების დღეზე ზარებს ისე აბლაგუნებდნენ, გული შემიწუხდაო. ამის გამო ბოდიში ნინიას ძმამ მოიხადა...

– საერთოდ, რელიგია ძალიან ფაქიზი თემაა და არ შეიძლება, სიტყვის თავისუფლების მოტივით, სხვისი რელიგიური გრძნობები შელახო. ზარები რეკდნენ და ამ ზარებს ათასობით მორწმუნე გულანთებული უსმენდა. ნინია სწორად არ მოიქცა. ბოლო დროს, საქართველოში სასულიერო პირების ლანძღვა ძალიან გახშირდა, რაც ყოვლად მიუღებლად მიმაჩნია.

– თუმცა, ვფიქრობ, ზოგიერთი მღვდელი კრიტიკას იმსახურებს. სხვათა შორის, ერთ მღვდელს, ჯიპზე სამი ექვსიანი აქვს ნომრად. ეს სარკაზმია, ცინიზმი თუ რა არის?

– არ ვიცი, ასეთი ნომერი ვის აქვს, მაგრამ თუ უღირსი პიროვნებაა, აუცილებლად კონკრეტულ ფაქტზე უნდა ამხილო. ამას ჩვენი სარწმუნოებაც გვასწავლის.

– სხვათა შორის, ერთ-ერთმა, სოციალურ ქსელში დაწერა, ე.წ. „პრადვინუტი“ ქართველები ფსიქოლოგიურ ტერორს ახორციელებენ პატრიარქზეო...

– ვიმეორებ: ნინია უტაქტოდ, ცუდად მოიქცა, მაგრამ აქ ფსიქოლოგიური ტერორი არაფერ შუაშია.

– ისე, რელიგიური ფანატიზმიც, თავისთავად, ფსიქოლოგიური ტერორია. ფუნდამენტალისტი მუსულმანები, მაგალითად, აითოლა ჰომეინი და „ისლამური ხალიფატის“ მამამთავარი, ახლადგამომცხვარი აბუ ალ-ბადრი მორწმუნე მუსულმანებზე ფსიქოლოგიურ ტერორს არ ახორციელებენ?

– რა თქმა უნდა, რელიგიაზე დაფუძნებული ტერორიზმი უდიდესი საფრთხის შემცველია. ცხადია, ის ადამიანები, რომლებიც დღეს სასტიკად უსწორდებიან ქრისტიანებს, მხედველობაში მაქვს აბუ ალ-ბადრის ტერორისტული დაჯგუფება,... ჩვენს თვალწინ, 21-ე საუკუნეში, ტერორისტებმა ახალი სახელმწიფო შექმნეს, რომელსაც „ისლამური ხალიფატი“ ჰქვია. ეს იმდენად სასტიკი და დაუნდობელი წარმონაქმნია, იმდენ საშინელებებს სჩადიან, რომ უკვე ვერავინ ბედავს დაუპირისპირდეს, რადგან უზარმაზარი რესურსი აქვთ და არაპროგნოზირებადნი არიან.

– მათი ასეთი გაძლიერება ცივილურმა მსოფლიომ რატომ დაუშვა?

– მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან, მსოფლიოში რელიგიური და ეთნოსეპარატისტული ტერორიზმის არნახული აღზევება დაიწყო, რასაც ხელს რიგი სახელმწიფოებიც უწყობდნენ. დღესდღეობით, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი ტერორიზმის მხარდამჭერ სახელმწიფოებს შორის ასახელებს სუდანს, კუბას, სირიას. ამ სიაში უახლოეს ხანში შესაძლოა, ჩრდილოეთ კორეაც მოხვდეს. ამ სიის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობს. ისრაელი თვლის, რომ ზემოჩამოთვლილი ქვეყნების სიაში უნდა შევიდეს საუდის არაბეთიც. რუსეთი კი, ამ ქვეყნებისადმი თავის დამოკიდებულებას საერთოდ არ აფიქსირებს.

სხვათა შორის, არცთუ დიდი ხნის წინ, ტერორიზმის მხარდამჭერ სახელმწიფოებს შორის ირანიც იყო, მაგრამ აბუ ალ-ბადრის აღზევებამ ირანიც ძალიან შეაშფოთა და ტერორისტებს კატეგორიულად გაემიჯნა. რამდენადაც პარადოქსული უნდა იყოს, დღეს, საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ირანი და აშშ პარტნიორი ქვეყნები არიან.

– რამდენადაც ვიცი, პაკისტანი რამდენიმე ძლიერი ტერორისტული ორგანიზაციის მფარველი და დამფინანსებელია. რატომ არაა ეს ქვეყანა ტერორიზმის მხარდამჭერ სახელმწიფოებს შორის?

– პაკისტანის მოხსენებაც მიზანშეწონილად მიმაჩნია, რადგან პაკისტანი მხარს უჭერდა „თალიბანის“ მოძრაობას, რომელიც ტერორისტ უსამა ბენ ლადენს მფარველობდა. გარდა ამისა, პაკისტანის ტერიტორიაზეა ტერორისტული ორგანიზაციების – „ჰარაქათ ულ-ანსარისა“ და „მუთთაჰიდე ჯიჰადის“ ბაზები. პაკისტანის ყოფილი პრეზიდენტი, გენერალი ფარვიზ მუშარაფი ამ ორგანიზაციებს ქაშმირის ეროვნულგანმათავისუფლებელი მოძრაობის ნაწილად თვლის. არადა, უამრავი ფაქტია, როცა ეს ორგანიზაციები მშვიდობიან მოსახლეობას, მათ შორის, ქალებს და ბავშვებს უმოწყალოდ უსწორდებიან. ქაშმირელი ექსტრემისტები ხშირად მიმართავენ მძევლების აყვანის პრაქტიკას – მძევლად აჰყავთ ევროპელი ტურისტები, ალპინისტები და ძალიან ბევრი მოლაპარაკება მძევლის დაღუპვით დამთავრდა.

– რა ფორმით შეიძლება ტერორისტებსა და ტერორიზმთან ბრძოლა?

– ტერორისტების მხარდამჭერ ქვეყნებთან მიმართებაში გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა თუ ქვეყნების სანქციები მოქმედებს, მაგრამ სამწუხაროდ, ეს სანქციები, უმეტესწილად, ფორმალურ ხასიათს ატარებენ. ამიტომ, ხშირად დემოკრატიული ქვეყნები იძულებულნი ხდებიან, რადიკალურ ზომებს მიმართონ: ტერორისტების მხარდამჭერ ქვეყნებში გარკვეული ტერიტორიები დაბომბონ, მძევლების გასათავისუფლებლად სპეციალური ნაწილები გადაისროლონ და სხვა, მაგრამ როგორც რეალობა ცხადყოფს, მსოფლიო საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის ერთიანი სამართლებრივი ნორმატიული აქტების უქონლობა აფერხებს ტერორიზმთან ბრძოლაში წარმატების მიღწევას.

– როცა აცხადებენ, რომ ესა თუ ის სახელმწიფო ტერორიზმს მხარს უჭერს, მხედველობაში, კონკრეტულად, რა აქვთ?

– არსებობს ტერორიზმის სახელმწიფო მხარდაჭერის რამდენიმე ფორმა, მათ შორის უპირველესი და მთავარი დაფინანსება და მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერაა. აგრეთვე: საინფორმაციო მხარდაჭერა, ტერორისტებისთვის პოლიტიკური თავშესაფარისა და სამხედრო-დივერსიული ხელოობის დასაუფლებლად საწრთვნელი ბანაკების მიცემაა. ასეთ ბანაკებში მიმდინარეობს მოწაფეების ზნეობრივ-იდეოლოგიური ბაზის განმტკიცება და შემდგომ, ემისართა გაგზავნა დაძაბულობის კერებში თეორიული და პრაქტიკული ინსტრუქტაჟის ჩასატარებლად.

გარდა ამისა, ტერორიზმის მხარდაჭერად ითვლება, თუ სახელმწიფო იგნორირებას უკეთებს საერთაშორისო დოკუმენტებს, ხელს არ აწერს ანტიტერორისტულ დოკუმენტებს, არ აქვს სათანადო სამართლებრივი ნორმატიული აქტები ტერორიზმის წინააღმდეგ. ასეთი ვითარება ხელს აძლევს სხვადასხვა ჯურის ექსტრემისტებს, ამ ქვეყნებში კანონის „ვაკუუმის“ პირობებში, პრობლემების გარეშე იცხოვრონ.

– ბატონო ბადრი, აღნიშნეთ, რომ რუსეთი, ტერორიზმის მხარდამჭერ სახელმწიფოებთან მიმართებაში, თავის დამოკიდებულებას საერთოდ არ აფიქსირებს, ასეთი ინდიფერენტულობა რითია გამოწვეული?

– რუსეთში ყოველთვის აქტუალური იყო ტერორიზმის პრობლემა. რიგი მკვლევარები თვლიან, რომ თანამედროვე ტერორიზმის ფესვები მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთის ისტორიაში უნდა ვეძებოთ. დღესდღეობით, რუსეთში, არასტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციის გამო, ფართოდაა გავრცელებული ტერორიზმი. პოლიტიკოსთა და ბიზნესმენთა მკვლელობების რიცხვით, რუსეთს მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უკავია. იქ თითქმის ლეგალურად მოქმედებს ტერორისტული ორგანიზაცია „მთიელ ხალხთა კონფედერაცია“, რომელიც რეაქციული ძალების გარკვეული მხარდაჭერით სარგებლობს. აგრეთვე, შეინიშნება მემარცხენე და რადიკალური ისლამური ტერორიზმის სერიოზული ნიშნები. გარდა ამისა, რუსეთში საკმაოდ ძლიერი რევანშისტული ძალები ასრებობენ, რომლებსაც იმპერიული წარსულის ნოსტალგია აქვთ და მათგან სერიოზული საფრთხეა მოსალოდნელი.

– საქართველო ტერორისტებისაგან დაცულია?

– საქართველოში ტერორიზმის თემა ძალიან აქტუალური 90-იანი წლებიდანაა. ტერორიზმის განვითარებას ხელს უწყობდა როგორც შიდა, ასევე, გარეშე ფაქტორები. ჩვენს დიდ მეზობელზე, რუსეთზე უკვე მოგახსენეთ. რაც შეეხება უახლოეს მეზობლებს – სომხეთსა და აზერბაიჯანს, საქმე კარგად არც მათ აქვთ:

1999 წელს განხორციელებული ტერაქტის შედეგად დაიღუპნენ სომხეთის პარლამენტის თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრი და პარლამენტის რამდენიმე წევრი. 1995 წლის გენოციდის შემდეგ, ტერორიზმს, როგორც ხელსაყრელ იარაღს, სომხური ორგანიზაციები, ტრადიციულად, თურქეთის წინააღმდეგ იყენებენ. მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში ამ კუთხით გამოირჩეოდა „დაშნაკ ციუტუნი“. 1975 წელს კი, ქალაქ ბეირუთში ჩამოყალიბდა ორი სომხური ტერორისტული ორგანიზაცია – ASALA და CAG. ASALA, რომლებმაც სახელი მთელ მსოფლიოში გაითქვეს.

დღეს ASALA-ს თავისი არალეგალური წარმომადგენლობა აქვს თვითგამოცხადებული მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკაში. ამიერკავკასიაში, აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედებს ეთნიკური სომხებისგან შემდგარი ე.წ. ბაგრამინიას ბატალიონი, რომლის არსენალშიც, უმეტესწილად, ტერორისტული მეთოდებით ბრძოლა შედის.

რაც შეეხება აზერბაიჯანს, იქ მცხოვრებთა უმეტესობა შიიტი მუსულმანია. ქვეყნის ხელმძღვანელობამ პროდასავლური ორიენტაცია აიღო და ფუნდამენტალისტური რელიგიური პარტიები იზოლაციაში მოაქცია. ამიტომ, დღესდღეობით, აზერბაიჯანში ნაკლებად იგრძნობა რადიკალური ისლამისტური მოძრაობა, მაგრამ საკმაოდ რეალურ საფრთხეს წარმოადგენს ეთნოსეპარატისტული ტერორიზმი, რადგან გარეშე ძალები ძალიან გულმოდგინედ ცდილობენ ქვეყანაში დესტაბილიზაციის გამოწვევას.

თურქეთშიც მოქმედებს რამდენიმე ისლამური ტერორისტული ორგანიზაცია, რომელიც ძალიან აქტიურობდა 80-იან წლებში. ამჟამად მათი აქტიურობა გარკვეულწილად შეზღუდულია, რადგან ხელისუფლებამ რადიკალური ზომები მიიღო.

ასე რომ, საქართველო გარშემორტყმულია სახელმწიფოებით, რომელთა ისტორიასა და აწმყოში ტერორიზმს საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

– თქვენი საუბრიდან ისე გამოდის, რომ ტერორისტები მხოლოდ მეზობელ ქვეყნებში არიან, საქართველოში კი – არა...

– როგორც ზემოთ აღვნიშნე, ტერაქტები საქართველოში აქტუალური 90-იანი წლებიდანაა, რაზეც ტერორიზმის სტატისტიკაც მეტყველებს. ბოლო 24 წლის განმავლობაში, საქართველოში 30-ზე მეტი დიდი თუ პატარა ტერაქტი განხორციელდა. ტერაქტების დიდი უმეტესობა ქვეყანაში არსებული შიდაპოლიტიკური დაპირისპირების გამო ხდებოდა. რა თქმა უნდა, ბევრი ტერაქტი ქვეყნის გარეთ არსებული ძალებისგან იყო მართული...

ესაუბრა ᲛᲐᲠᲘᲙᲐ ᲙᲐᲮᲐᲫᲔ

„ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲡ ᲔᲗᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲝᲛᲮᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲨᲔᲛᲓᲒᲐᲠᲘ Ე.Წ. ᲑᲐᲒᲠᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲑᲐᲢᲐᲚᲘᲝᲜᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲨᲘᲪ, ᲣᲛᲔᲢᲔᲡᲬᲘᲚᲐᲓ, ᲢᲔᲠᲝᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘᲗ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲨᲔᲓᲘᲡ“.

14 | № 2 (266) | 14 - 20 იანვარი 2015

ქართული სიტყვა

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲜᲔᲑᲘ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

ᲡᲢᲔᲜᲝᲒᲠᲐᲛᲐ

„ᲜᲘᲜᲝᲡᲗᲐᲜ ᲛᲘᲜᲓᲐ!“ – ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ, ᲕᲐᲚᲔᲠᲘ ᲮᲐᲑᲣᲠᲫᲐᲜᲘᲐᲡ ᲮᲣᲗᲡᲐᲐᲗᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲣᲑᲠᲘᲡ ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲣᲠᲘ ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲘᲡ ᲛᲔᲝᲥᲕᲡᲔ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ

ჩვენი პოლიტიკური მსოფლმხედველობა ცა და დედამიწასავითაა: მას რუსეთი მოსწონს, მე კი, დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს მომავალი სულხან-საბას, ილიას და სხვა დიდი ქართველების გზა, ანუ ევროატლანტიკური სივრცეა... ამ თემაზე, როგორც იტყვიან, მსუბუქად სხვა დროსაც გვიკამათია, მაგრამ ამჯერად საქმე ცოტა სხვანაირადაა. მოკლედ, ამბის ქრონოლოგია ასეთია: ამას წინათ, უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკს, კონსტანტინე ფორჩხიძეს ერთ-ერთ ინტერვიუში ვკითხე, რომ პროამერიკელი ირაკლი ალასანია „გარკვეულმა ტიპებმა“ უშიშროების მორუსეთუმო მინისტრის მოადგილედ როგორ დანიშნეს-მეთქი. ფორჩხიძემ განმარტა, ამერიკელებს პრორუსული განწყობების განეიტრალება უნდოდათო... რამდენიმე დღის წინ, „ფეისბუქში“ „წერილი“ მივიღე: „...გარკვეული ტიპი არ ვარ მე... კარგა ხანია, „გუუგლ“-ში არ ამიკრეფია ჩემი გვარი და შენ მცირეტირაჟიან, ერთი მოექსპერტო ელემენტის გაზეთს, აბა, სად წავიკითხავდი? ჩვეულებრივი ჟურნალისტური ეთიკაა, ჩემს ნამოქმედარზე – ირაკლი ალასანიას დანიშვნა – ჩემთვის გეკითხა. გაშვებულმა პოლკოვნიკმა მაგისი რა იცის? ისე, ვანიჩკა, მარტო შენ გაზეთს კი არ უნდა კითხულობდე... მაგრამ, თქვენ და თქვენნაირებს დასავლური ღირებულებები მხოლოდ თქვენსავე სასარგებლოდ გჭირდებათ და გახსენდებათ. მე ვიცი, რითია ირაკლის მიმართ თქვენი სიყვარული განპირობებული... კიდევ ბევრი რამ ვიცი, მოთხოვნის უფლებაც მაქვს და ვალდებულიც ხარ, საპასუხო, გამოსარკვევი ინტერვიუ ჩემთანაც ჩანერო...“ რა პრობლემაა-მეთქი, მივწერე და შეხვედრა დავთქვით... მაშ ასე, 2014 წლის 29 ნოემბერი, 12 საათი, „ქორთიარდ მარიოტი“... საუბარი 5 საათს გრძელდება... მწვანე ჩაის სენდვიჩი და ყავა ცვლის... საქართველოს უშიშროების ყოფილი მინისტრი მეუბნება, რომ „გარდასულ დღეებზე“ ასე დეტალურად არასოდეს არავისთან ულაპარაკია. ეს, პრაქტიკულად, გენერალ ვალერი ხაბურძანიას მემუარებია, თუმცა საზოგადოებამ თავად უნდა გადაწყვიტოს, ექსჩინოსანი გულწრფელია თუ არა (სხვათა შორის, ხაბურძანია მოგონებების სარკასტულად დაწერას თავადაც აპირებს. ისე, თანამოსაუბრისთვის სარკაზმი არც მე დამიკლია!)... და კიდევ ერთი: შეიძლება, ვინმემ იკითხოს, „ქართული სიტყვა“, რომლის სარედაქციო პოლიტიკაც მკვეთრად პროდასავლურია, რუსეთისმოყვარულ ხაბურძანიას ტრიბუნას რატომ უთმობსო. პასუხი მარტივია: ჩვენ დემოკრატები ვართ! აი, სწორედ ესაა დასავლეთის ყველაზე დიდი ხიბლი! მაშ ასე, ვიწყებთ!

(დასასრული. დასაწყისი იხ. „ქართული სიტყვა“ 2014 წლის №48, 49, 50, 51; 2015 წლის №1)

ᲑᲝᲚᲝ, ᲐᲜᲣ №6 ᲡᲢᲔᲜᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲘ

გემახსოვრებათ: ერთი კვირის წინ, უშიშროების ყოფილი მინისტრის ხუთსაათიანი საუბრის სტენოგრამა ერთ საინტერესო ადგილას გაწყდა, ანუ ვალერი ხაბურძანია 2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნებამდე გავრცელებულ გუზაბ სანიკიძის ფარულ ჩანაწერზე საუბრობდა, სადაც მისი ხმაც ისმის. ამასთან, ჩანაწერში სანიკიძე ამბობს, რომ მილიონი უნდა იშოვოს...

– ბატონო ვალერი, 2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნებამდე თქვენი და სანიკიძის ჩანაწერიც მოვისმინეთ...

– ეს სატელეფონო საუბარი კი არა, სახლშია ჩაწერილი...

– ამას რა მნიშვნელობა აქვს?

– არაფერი, უბრალოდ, გითხარი, რადგან ყველას ჰგონია, რომ სატელეფონო საუბარია...

– აღიარეთ: იმ მილიონიდან, რომელიც სანიკიძეს უნდა ეშოვა, რამდენი გერგოთ?

– ჯერ ერთი, ამ ლაპარაკს არ ვესწრებოდი...

– ვიცი, მაგრამ თუ მეგობარმა მილიონი იშოვა, რაღაცას მოგცემდათ...

– ეს აბსოლუტური სისულელეა!

– რატომ?

– კაცი, რომელსაც იმ ჩანაწერში გუბაზი ელაპარაკება, ჩვენი მეგობარია, რომელსაც ცოლად ყაზახეთის ნავთობის მაგნატის ქალიშვილი ჰყავს. ამ კაცს ნავთობი საქართველოს გავლით უნდა გადაეზიდა. გუბაზმა, რომელსაც თავისი დეპუტატობა არასოდეს არაფერში გამოუყენებია და იმის მეტი არაფერი აქვს, რაც ლევან სანიკიძემ დაუტოვა, მეგობართან რაღაც თქვა. რა, შენ, მაცივართან, არაფერზე გილაპარაკია?

– იყო დრო, მაცივართან ერთობ ვმეგობრობდი, მაგრამ ახლა „გემრიელობებს“ ვერიდები, თან ყაზახი მეგობრის ამბავი პირველად მესმის – ამაზე გუბაზ სანიკიძეს მინიშნებაც არ გაუკეთებია...

– სანიკიძეს მინიშნება იმიტომ არ გაუკეთებია, რომ ეს ჩანაწერი ფალსიფიცირებულია, თორემ განუწყვეტლივ უსმენდნენ და იცი, როგორ?

– როგორ?

– „ნაციონალებმა“ ამერიკელებს ვირუსი მოსთხოვეს, რომელიც ვითომ რუსი ხაკერების წინააღმდეგ უნდა გამოეყენებინათ, მაგრამ ერთი 15 წლის ბიჭი ჰყავდათ, ხაკერი, რომელსაც ეს ვირუსი გაადაკეთებინეს და ყველა მოწინააღმდეგის კომპიუტერში უშვებდნენ, მათ შორის, ოქრუაშვილის კომპიუტერშიც ჰქონდათ შეშვებული, ირაკლი ალასანიასაც ასე უსმენდნენ...

– თქვენც გისმენდნენ?

– აქ არ ვიყავი და სად მომისმენდნენ?

– ვირუსისთვის მოსასმენი ობიექტის ადგილმდებარეობას რა მნიშვნელობა აქვს?

– მოსკოვში ვერ შემოაღწევდნენ, თან გამორიცხულია – მაგენი ჩემი სამსახურის კომპიუტერს ვერ გაიგებდნენ.

– ალბათ, არ მოინდომეს, თორემ გაიგებდნენ კი არა, მეტსაც იზამდნენ!

– ხომ გითხარი, რომ მოსკოვში, უსაფრთხოების სამსახურში ვმუშაობდი? ჰოდა, დაცული სისტემა გვქონდა და როგორ მომისმენდნენ?!

– ...ბატონო ვალერი, მიშასა და პუტინის შეხვედრისას, პუტინმა, ბოლოს და ბოლოს, გახსენათ?

– პატრუშევს ვკითხე, მიშა გაბრაზებული ჩამოვიდა და პუტინმა ჩემი ხსენებით მართლა ასე შეაწუხა-მეთქი?

– მერე, რაო, რა გიპასუხათ?

– მან ასე თქვაო? კი-მეთქი. ცუდად იწყებსო. აბა, როგორ იყო იყო-მეთქი. საუზმეზე, მეც იქ ვიყავი, პუტინმა სიტყვა სპეცსამსახურზე ჩამოაგდო და თქვა, ჩვენი სპეცსამსახურების ურთიერთთანამშრომლობით ძალიან კმაყოფილი ვარ. თქვენთან იყო მინისტრიო... მართალია, პუტინმა ჩემი გვარი იცის, მაგრამ როგორც პატრუშევმა მითხრა, მას მიუბრუნდა და ჰკითხა, რა გვარიაო. ხაბურძანიაო, – მიუგო პატრუშევმა. დიახ, დიახ, ხაბურძანიაო, – გაიმეორა პუტინმა, – მასთან ურთიერთთანამშრომლობის დონით კმაყოფილნი ვიყავითო და მორჩა, ამის მეტი არაფერი თქმულა, მაგრამ ამათ ხომ მიზეზი უნდოდათ.

მოკლედ, მოვიდა ოქრუაშვილი და მეუბნება, მიშა ძალიან გაბრაზებულია და ძლივს მოვახერხე, რომ ჩემთან წამოხვიდეო.

– თუკი პუტინმა მხოლოდ ერთხელ გახსენათ, „ნაციონალებს“ სიტუაციის გამძაფრება რატომ დასჭირდათ?

– რა ვიცი, ვანო, ასეთი მოთამაშეები იყვნენ... ბიჭო, ქვეყნის სათავეში არსაიდან მოვიდნენ და ომობანას, სახელმწიფოებრობანას თამაშობდნენ.

– ასეა თუ ისე, ოქრუაშვილი, რომელსაც იმხანად დიდი გავლენა ჰქონდა, გმფარველობდათ, მაგრამ გენპროკურორის მოადგილეობიდან რატომღა გამოგიშვეს?

– როცა გენპროკურორად ადეიშვილი დაინიშნა, ირაკლი ოქრუაშვილს, რომელიც შს მინისტრი გახდა და რომელსაც მეგობრად ვთვლიდი, ყველა ლოგიკით, მოადგილედ უნდა წავეყვანე, მაგრამ ადეიშვილი რომ წარადგინეს, ოქრუაშვილმა თავი დაადო, შევარდა ლიფტში და დამტოვეს ასე ხახამშრალი. ადეიშვილი კი, ბავშვობიდან ვერ მიტანდა.

– აბა, რას მეუბნებით? – ადეიშვილმა ბავშვობა კახეთში გაატარა, თქვენ კი, – იმერეთში და, რა, თქვენდამი ტელეპატიური სიძულვილი ჰქონდა?

– გეტყვი, როდიდან ვერ მიტანდა.

– გისმენთ...

– მოსამართლის გამოცდები მაქვს ჩაბარებული და, უშიშროების საბჭოში დიდხანს რომ დავრჩი, ნუგზარ საჯაიამ მითხრა, შენთვის რაღაც მიმართულებები ვერ გამოიძებნა და მოდი, სასამართლოში წადიო – საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეობაზე იყო ლაპარაკი. ყველაფერი შევარდნაძესთან იყო შეთანხმებული, მაგრამ მასთან სააკაშვილი მივიდა და უთხრა, თუ ხაბურძანიას საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშნავთ, გადავდგები და ამას დიდი სკანდალი მოჰყვებაო.

– ამ დროს მიშა იუსტიციის მინისტრი იყო?

– დიახ. შევარდნაძეს უკითხავს, ხაბურძანიას წინააღმდეგი რატომ ხარო. მიშას უპასუხია, წინააღმდეგი ვარ, რომ სასამართლო ხელისუფლებაში საჯაია ჩაერიოსო.

– თუკი გამოსამართლეობა მიშამ ჩაგიშალათ, ადეიშვილს რას ერჩით?

– ამ დროს ადეიშვილი პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარეა, საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ თავისი კაცის დანიშვნა უნდოდა, დანიშნა კიდეც – ვინმე გოგიაშვილი და საქალაქო სასამართლო მთლიანად ხელშიც ჩაიგდეს.

– ოქრუაშვილისთვის არ გიკითხავთ, რატომ მიგატოვათ?

– კი.

– და რა გიპასუხათ?

– ვანიჩკა, იცი, ოქრუაშვილი როგორი კაციცაა და, ვალერი, ჩემი ბრძოლები მქონდაო.

– თქვენი არ იყოს, ოქრუაშვილზეც ამბობენ, რუსული ბეგრაუნდი აქვსო.

– კარგი, ახლა?! ოქრუაშვილს რა რუსული ბეგრაუნდი უნდა ჰქონდეს, მოსკოვში, პირველად, მგონი, მე წავიყვანე – რუსეთის გენპროკურორს, უსტინოვს შევახვედრე და ჭიჭიაშვილი წამოვიყვანეთ. სხვათა შორის, რუსეთის მაშინდელი გენპროკურორი ჩვენზე ძალიან გაბრაზებული იყო და შეხვედრა არ უნდოდა.

– უიმე, ვერ დავიჯერებ, რომ რუსი ჩინოვნიკი გააბრაზეთ!..

– ხომ გახსოვს, აქ ჩეჩნები რომ დაიჭირეს? ჰოდა, რუსეთისთვის ისინი უნდა გადაეცათ, უსტინოვი თვითონ ჩამოფრიდა, მაგრამ აეროპორტში აცდევინეს – გაბრიჭიძე არ დახვდა, სამი-ოთხი საათი მშიერ-მწყურვალი იყო. ჯერ უთხრეს, სასამართლოს გარეშე ჩეჩნებს ვერ გაგატანთო, მერე კი, – სასამართლო ამ გადაწყვეტილებას არ გამოიტანსო და გაბრაზებული უკან გაფრინდა.

ჰოდა, მე და ირაკლი ჩავედით მოსკოვში, პატრუშევი უსტინოვს ურეკავს, საქართველოს ახალი გენპროკურორი უნდა გაგაცნოო. არა, მაგათზე გაბრაზებული ვარო, მაგრამ პატრუშევმა მაინც მოიყვანა და ირაკლი ოქრუაშვილი გავაცანით.

– ...მოსკოვში ბინა გაქვთ?

– კი, ერთოთახიანი...

– იყიდეთ?

– დიახ, მეგობრები დამეხმარნენ. ჩემი ებრაელი მეგობრები დიდი ფულის პატრონები არიან და მათთვის ჩემი დახმარება პრობლემას არ წარმოადგენს...

– ...რა მიზანი გაქვთ?

– მოიცა, ხომ არაფერი გამომრჩა?.. პუტინის საკითხი გავარკვიეთ...

– ის არ გაგვირკვევია, „ნაციონალები“ დაჭერას რატომ გიპირებდნენ...

– ჰო, რატომ მიჭერდნენ, არა?.. ვანოს ჰქონდა ჩემი ჯინი...

– მგონია, რომ ნარჩემაშვილი, მოლაშვილი და, საერთოდ, ე.წ. საჯაიას ბიჭები თქვენზე ნაწყენები არიან...

– ერთმა ღიად ლანძღვა დამიწყო, არადა, მისგან სალანძღავი ნამდვილად არ ვარ.

– რომელმა?

– მოლაშვილმა...

– ხომ მითხარით, რომ მერაბიშვილი მოლაშვილის ადგილს გთავაზობდათ. ჰოდა, აბა, მოლაშვილის ადგილას თქვენი თავი წარმოიდგინეთ...

ᲛᲪᲘᲠᲔ ᲐᲠᲐᲚᲘᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲮᲕᲔᲕᲐ

ვერ გეტყვით, უშიშროების ყოფილმა მინისტრმა თავი კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის ადგილას წარმოიდგინა თუ არა, რადგან საუბარი სხვა კალაპოტში გადავიდა და ხაბურძანიამ ორ მეგრელ დიაცზე ანეგდოტი მიამბო. საერთოდ, გენერალს ანეგდოტები ძალიან უყვარს და ამას ისიც ადასტურებს, რომ ორიოდ დღის წინ, ჩემი ერთ-ერთი „ფეისბუქსტატუსი“, რომელიც პარიზის ტერაქტს ეხებოდა, ერთობ უხამსი ანეგდოტის პერიფრაზით დააკომენტარა. მივწერე, მე უფრო დახვეწილ იუმორთან მაქვს შეხება და, ერთი ვიცოდე, ასეთ ანეგდოტებს ვინ გასწავლით-მეთქი. შევყევით-შევყევით და, ხაბურძანიამ „აღიარა“, სად იყო შარლი, მე რომ საბჭოეთში გაკეთებულ პორნოკარტებს ვათვალიერებდიო...

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲔ-15 ᲒᲕ.

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

14 – 20 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ 2015 | № 2 (266) | 15

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲧᲕᲐ

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ. ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ. ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲡᲢᲔᲜᲝᲒᲠᲐᲛᲐ

სტეოგრაფიული ჩანაწერის ბოლო ნაწილის გაშიფვრა რომ დავიწყე, გამახსენდა, პირველ ნაწილში მინისტრყოფილი ამბობდა, საქართველოში რამდენიმე ყველაზე ცნობილ ჰომოსექსუალთან მქონდა ურთიერთობაო. ჰოდა, „ფეისბუქზე“ მივწერე:

– ამ ხალხთან საქმიანი ურთიერთობა გქონდათ და მათი ორიენტაციის შესახებ როგორ შეიტყვეთ, ან ამ თემას რატომ შეეხეთ?

– საუბარი ქსენოფობიურად წოდებულ საკითხებზე იყო, იქვე მივამატე ჰომოფობია და აღვნიშნე, რომ რამდენიმე ჰომოსექსუალური ორიენტაციის ადამიანთან მქონდა ჩემი საქმიანობის გამო, ან ჩვეულებრივი, ადამიანური (არა ინტიმური, სხვანაირად რომ არ „თარგმნონ“) შეხება. ყველაფერი ეს საუბარმა მოიტანა და თუ ხაზგასმად ჩათვალე, იმიტომაც დამჭირდა, რომ არა დასავლური პოლიტიკური ორიენტაცია, ყველას ჰომოფობია ქსენოფობიასთან იდენტური ჰგონია.

რაც შეეხება შეტყობას, პირველი, ამის წყარო საზოგადოებაში ხანგრძლივად მოარული და ფაქტიური გარემოებების შემცველი ხმებია, მეორე, ჩემი სამსახური – მახსოვს, მინისტრი რომ გავხდი, უშიშროების ერთმა საშუალო რანგის თანამშრომელმა ოპერატიული დამუშავების ფარგლებში მოპოვებული მასალები მომიტანა, რომელიც ერთ-ერთ მაღალ ჩინოვნიკთან დაკავშირებულ მასალებს შეიცავდა მისი ჰომოსექსუალური ორიენტაციის შესახებ. მასალებს გავეცანი და რადგან მათში სექსუალურ ორიენტაციაზე იყო მთავარი მომენტი და ჩემი საქმიანობისთვის საყურადღებოს არაფერს შეიცავდა, დიდი ინტერესი არ გამომიხატავს. ამ ტიპის ინფორმაციები სხვებზეც შემოდიოდა, მაგრამ ის არ იყო სამსახურებრივად აქტუალური და კანონით დადგენილი წესით ნადგურდებოდა..

– პორნოკარტებით მართლა ერთობოდით?

– საბჭოთა პორნოკარტებზე, „შარლი ებდო“-სთან დაკავშირებულ პოსტზე ვიხუმრე, რადგან პროსტიტუციისა და გარყვნილების ტირაჟირება იმ დღეებში „ფეისბუქში“ „პროდვინუტობად“ ჩანდა და მეც დავწერე, სად იყო შარლი, მე რომ პორნოკარტებს ვათვალიერებდი-თქო და ამას აკეთებდა ჯანმრთელ მოზარდთა უდიდესი ნაწილი მაშინდელ საბჭოთა კავშირში.

– მდაა... მოკლედ, ბატონო ვალერი, საერთო ჯამში, მხიარული „მასტი“ ხართ, მაგრამ...

– რუსეთი არ მოგწონს, ხო?

– დიახ, ამ ოკუპანტი რუსეთის სიყვარული შავ შარავანდედად გადგათ!

– ამ თემაზე დიდხანს უნდა ვისაუბროთ...

– ხუთი საათია ვსაუბრობთ და ამაზე დიდხანს რაღაა?

– არ მინდა, გმირის მანტია მოვისხა, მაგრამ საქართველოში სასწრაფოდ ჩამოვედი და რუსული სეგმენტი შევავსე, რადგან ის ავანტიურისტებს არ დაეჭირათ!

– ისე, არც ადრე და არც ახლა მიშა „მეხუთე კოლონას“ არ გიწოდებთ. ნეტავ, რატომ?

– მე არავინ მახსენებს.

– ალბათ, იმიტომ, რომ მიშასთან ხართ. იმასაც ამბობენ, ხაბურძანიას კავშირი ბურჯანაძესთანაც აქვსო...

– არ მაქვს, მაგრამ მინდა და აი, ვუთვლი ქალბატონ ნინოს, მაგრამ იმის შიში აქვს, რუსულს მომაწებებენო.

– რაღა მიწებება უნდა, არ არის თუ რაშია საქმე?! ისე, გასაგებია, თქვენც, ბურჯანაძეც და სხვა რუსეთუმეებიც ირაკლი ალასანიაზე გულმოსულები რატომაც ხართ.

– რატომ?

– აგიხსნით: როცა ირაკლიმ გაერო-ში საქართველოს წარმომადგენლის პოსტი დატოვა და ოპოზიციაში წავიდა...

– (მაწყვეტინებს) ალასანია არსად წასულა და ყოველთვის აშშ-სთანაა!

– ძალიანაც კარგი! ჰოდა, თვლით, რომ ალასანიას ხელისუფლებაში მოსვლის აბსოლუტური შანსი აქვს და ამას განიცდით...

– ეს შენი ვერსიაა, რომელშიც ლოგიკა არის... ალასანიამ გზა სად ჩამიკეტა?

– პოლიტიკაში!

– ალასანია გზას როგორ ჩამიკეტავს? თუ, კანონის საფუძველზე, საკმარისი ფინანსური რესურსის აკუმულირება მოვახერხე, რუსულ სეგმენტს...

– უკაცრავად, ფულს ვისგან ელოდებით?

– ქართული დიასპორა...

– ხუბუტია და ასე შემდეგ?

– ხუბუტია ფულს ვერ მომცემს, რადგან საქართველოს მოქალაქე არაა.

– ესე იგი, 2016 წელს არჩევნებში მონაწილეობას აპირებთ?

– ამის სურვილი მაქვს, მაგრამ შანსი სულ უფრო იკლებს, თუ ნინო, კუკავა, ირინა და მე არ გავერთიანდებით... საერთოდ, ჩვენ თბილისის ელექტორატზე არ ვთამაშობთ...

– ეჰ, ბატონო ვალერი, რეგიონების იმედზეც არ უნდა იყოთ, რადგან ეს თქვენი რუსეთი აღარავის უნდა, რასაც რამდენიმე წლის წინ ჩატარებული რეფერენდუმიც მოწმობს!

– რეფერენდუმით, საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებას ხმა 70 პროცენტმა მისცა.

– 70 შთამბეჭდავი ციფრია!

– მოიცა, ახლა, მაშინ რეფერენდუმში მონაწილეობა, ჰა-ჰა, მოსახლეობის 55 პროცენტმა მიიღო და აქედან 70 პროცენტმა, მოდური განწყობის გამო...

– ახლა, მთლად ბურჯანაძესავით ნუ მელაპარაკებით!

– იცი, ნატო რა არის?

– მე კი ვიცი, მაგრამ თქვენ იცით?

– ნატო-ს წევრობა სტრატეგიული პარტნიორობაა!.. საქართველო თავის ადგილს ვერც ერთ სამრეწველო და სამეურნეო სივრცეში ვერ ნახავს.

– გეგონოთ!

– რატომ მეგონოს? აი, თუ გინდა, მე, შენ და სულიკო პავლიაშვილი, რომელიც მაგარი ეკონომისტია, დავსხდეთ და ვიმსჯელოთ...

– სულიკო უმაგრესი ეკონომისტი რომაა, ამიტომაც, საქართველოს ევროპულ ბაზარზე გასვლის მომხრეა...

– ამას მოდის გამო ამბობს...

– მოდა რა შუაშია! ადამიანმა ზუსტად იცის, ქვეყანას რა გადაარჩენს!

– ჩემს ამერიკულ ამბავს გიყვებოდი და ვეღარ დავამთავრე...

– ესე იგი, მგონია, რომ თავს ორმაგი გავლენის „ტიპად“ ასაღებთ...

– ჰო, ორმაგი ვარ!

მოკლედ, საჯაია ჰონკონგიდან რომ დაბრუნდა, უშიშროების საბჭოში ახალი გადასული ვარ და მეუბნება, ვალერი, ანტიკორუფციული კანონი უნდა დავწეროთო. კანონის დაწერაში მაია მწარიაშვილიც მომეხმარა.

– ეს ის მაიაა, „ოცნებამ“ ერთხანობას თბილისის პროკურორად რომ გაამწესა?

– დიახ... ამ კანონპროექტის ჩუმი განხილვა შევარდნაძესთან მოეწყო, რომელსაც საჯაია, მაია და მე ვესწრებოდით. მერე, საჯაიამ მითხრა, შევარდნაძესთან ერთად გადავწყვიტეთ, რომ ჰონკონგში გაგიშვათო. ეს 10-დღიანი ვიზიტი მთლიანად ამერიკელებმა დააფინანსეს. იქიდან რომ დავბრუნდი, კანონპროექტი გავაშალაშინეთ. მინისტრებმა მთავრობის სხდომაზე კანონპროექტს ვიზირება ნაძალადევად მისცეს და, ასე იყო თუ ისე, კანონპროექტი პარლამენტში გაიგზავნა. ამ დროს იუსტიციის მინისტრი თედო ნინიძეა, პარლამენტის თავმჯდომარე – ზურა ჟვანია, უმრავლესობის ლიდერი კი, – მიხეილ სააკაშვილი, რომელიც გამოვიდა და თავზე მხოლოდ კანონპროექტს კი არა, თედოსაც „დაახურა“, „მოქალაქეთა“ კავშირი კორუფციასთან ბრძოლის მეტს არაფერს ვაკეთებთ და კორუფცია სად არის. დამატებითი სამსახურის შექმნა საჭირო არაა, რესურსს შიგნით მოვნახავთ, რომ ის მცირე კორუფციაც, რომელიც დარჩენილია, აღმოვფხვრათო. დასცხეს ტაში და კანონპროექტი ჩააგდეს. ამერიკელები გამოშტერდნენ...

ჰონკონგიდან რომ დავბრუნდი, ამერიკელებმა პიტერ სპრანგი გამოაგზავნეს და, მასთან ერთად, ორი თვე ვმუშაობდით – ჩემი დამტვრეული ინგლისურით რაღაცას ვახერხებდი, მაგრამ საკანონმდებლო ენა მაინც სხვაა და თარჯიმანი გვყავდა... ამის შემდეგ, სპრანგმა სამხრეთ აფრიკაში კონფერენციაზე დამპატიჟა... წლების შემდეგ, მგონი, უკვე მინისტრი ვიყავი, ამ კაცს აშშ-ში შემთხვევით შევხვდი და ვუთხარი, ის საქმე არ გამოვიდა, მაგრამ აგერ, მინისტრი გავხდი-მეთქი. ასე რომ, ამერიკელები მიცნობდნენ!

ᲑᲝᲚᲝ ᲐᲠᲐᲚᲘᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲮᲕᲔᲕᲐ

ვალერი ხაბურძანია აცხადებს, რომ თავის დროზე ამერიკელები ირაკლი ალასანიას ავთო იოსელიანის შემცვლელად, ანუ დაზვერვის შეფად ამზადებდნენ, თუმცა ალასანიას ურჩია, დაზვერვა მკვდარი სამსახურია, მაგას ცოცხალი სამსახური სჯობია და ჩემს მოადგილედ წამოდიო... ხაბურძანიას თქმითვე, მინისტრის მოადგილედ დანიშვნამდე, პრეზიდენტი ალასანიას მინისტრის, ანუ ხაბურძანიას გარეშე შეხვდა. ეს არ მესიამოვნაო, – აღიარებს გენერალი და იმის თქმაც არ ავიწყდება, რომ 2002 წელს ჟურნალისტებმა „ყველაზე სასურველ მინისტრად“ დაასახელეს. ხაბურძანია თავს იმითაც იწონებს, რომ ჟურნალისტებისთვის სამინისტრო გახსნა.

– რა გახსნა უნდოდა? აბა, რომელიმე მაშინდელ მინისტრს გაებედა და არ შემხვედროდა.

– შენ ამ მხრივ პრივილეგირებული ჟურნალისტი იყავი – ინტერვიუებს მხოლოდ შენ გაძლევდნენ...

– ...ბატონო ვალერი, მოსკოვში, კახა თარგამაძესთან ურთიერთობთ?

– არა.

– რატომ?

– საერთო წრე არ გვაქვს. ისე, ერთი კი მინდოდა შეხვედრა, მითხრეს, გლანძღავს და იძახის, ამერიკელების კაციაო. საერთოდ, მოსკოვში ყველა ამბობს, რომ ამერიკელების ვარ.

– ...თბილისში რა მიზნით ჩამოხვედით?

– ხომ გითხარი, რომ ევტუშენკოვი დაიჭირეს და ჩვენი სამსახური დაიშალა. მეგობრებთან მისვლა და თხოვნა, სამსახური მიშოვეთ-მეთქი, მერიდება. ამიტომ, მინდა, ბიზნეს-უსაფრთხოების კუთხით დამოუკიდებლად ვიმუშაო და ქართველებს მივეხმარო, რომ არავინ „გადააგდოს“ და მოატყუოს...

– ლირიკულ და არალირიკულ გადახვევებზე რა შენიშვნები გაქვთ?

– შენიშვნა რამდენიმეა, მაგრამ ერთში გავაერთიანებ: ეს ის წინასიტყვაობაა, რაც ინტერვიუს ნაწილებს ახლავს, სადაც დასავლეთუმეებისადმი ერთგვარი ხარკის მოხდა და თავის მართლება დავინახე, ამ რუსეთისმოყვარულთან ინტერვიუ რა საინტერესო და ყურადღების ღირსია, მაგრამ ეს დემოკრატიისათვის ხარკის გადახდაა.

რაც შეეხება ჩემს რუსეთისმოყვარულობას, მე ჩემი ოჯახი და სამშობლო მიყვარს, რუსეთს კი, რეალურად აღვიქვამ და ჩემი სამშობლოსთვის სასარგებლოს ამოღებას ვცდილობ. დასავლურმა გზამ ლამის მეოთხედი საუკუნეა, დადებითი ვერაფერი და, მეტადრე, უარყოფითი მოიტანა. თუ მკითხავთ, უარყოფითი რააო, გეტყვით: თუნდაც ის და მთავარი, რომ სასარგებლო და პოზიტიური ვერაფერი მოგვცა და განვითარებაში „მოგვაცდინა“. რაც შეეხება ცა და დედამიწას თქვენი კომენტარიდან, დედამიწა უარყოფითი ობიექტია და ცა – დადებითი (მესმის, რომ ეს ხატოვანი გამოთქმაა). თქვენი აზრით, სულხან-საბას (ესეც საკამათოა) და ილია ჭავჭავაძის გზა ევროატლანტიკური იყო, რა ვიცი, ატლანტიკა და, მით უმეტეს, ევრო ილიას არსად უხსენებია და დიდი სიამოვნებით წავიკითხავდი თქვენს მიერ მითითებულ შესაბამის წყაროებს, თან ილია ჭავჭავაძე და ნატო-ევროკავშირი სახელდება-ტერმინოლოგიურად დააკავშირო, მინიმუმ, დროის მანქანა უნდა გქონდეს, ევროპაში მაშინ ერთიანობის სიოც არ ჰქროდა და იყო საფრანგეთი და გერმანია, ისიც კი არ იყო.

ისე, არიან ადამიანთა ჯგუფები, რომელთაც, უბრალოდ, ვეზიზღები არცოდნის, მათი სიბრიყვის ან, უბრალოდ, მათი გულღრძოობის გამო, მათთან რაც ვიყავ, იგივე დავრჩი. არის ადამიანთა წრე, რომელსაც მოვწონვარ გულუბრყვილოდ ან შეგნებით, მასთანაც იგივეობას ვინარჩუნებ. რაც შეეხება მასას, რომელიც ირწევა „ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“, აქედან ზოგიც მომემატა, ზოგიც კი – მოწინააღმდეგეთა რაზმს შეუერთდა. ამის სტატისტიკის გაკეთება შეიძლება და რაღაც ეტაპზე გავაკეთებ.

მოკლედ, გასრულდა ესე სტენოგრამა ჩემი და უშიშროების ყოფილი მინისტრის ხუთსაათიანი საუბრისა. თქვენი საქმეა, რას ფიქრობთ... ჩემი მხრიდან კი, ერთს ვიტყვი: ვალერი ხაბურძანიასთან ხუთსაათიანი საუბრის სტენოგრამა იმიტომ არ გამომიქვეყნებია, რომ დემოკრატიის წინაშე ხარკი მომეხადა. თავისუფლების, ესე იგი, დემოკრატიის მთელი ხიბლი ისაა, რომ ხარკსა თუ ვასლობას არ სცნობს!

P.S. **„ქართული სიტყვის“ შემდეგ ნომერში ილია ჭავჭავაძის ის წერილი გამოქვეყნდება, სადაც დასავლეთისა და საქართველოს გადაუდებელ ურთიერთობაზეა ლაპარაკი, მაგრამ ამ დროს ბატონი ვალერი უკვე მოსკოვში იქნება, თუმცა არა უშავს – ილიას ამ წერილს „ფეისბუქზე“ ჩავუგდებ“, ან ელექტრონული ფოსტით გავუგზავნი!**

ᲕᲐᲜᲝ ᲞᲐᲕᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

16 № 2 (266) 14 - 20 იანვარი 2015

ქართული ენა

ლიტერატურა. ენალიჭნელება. ჟურნალისტიკა

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

რეცენზია

რუსი პაციენტის სენი, ანუ ვირუსი გადამდებია

არის წიგნები, რომელნიც წაკითხვისას გაგიტაცებს, აგაფორიაქებს, მოგნუსხავს, მერე გადადებ და თითქოს მიივიწყებ, მაგრამ თვით წიგნი არ განებებს თავს, ანდა იქნებ, თავად ჩვენი ყოველდღიური ყოფა გვახსენებს ამ ნაწარმოებს და მის გმირებს. მეც, არ იქნა და არ მომეშვა ალექსანდრ პოტიომკინის რომანი „რუსი პაციენტი“ (ამ წიგნის რედაქტორი, გაბრიელ ნამთალაშვილთან ერთად, თავად ვარ). რომანი 2013 წელს მიიღო ქართველმა მკითხველმა (გამომცემლობა „ინტელექტი“) გურამ გოგიაშვილისა და ზურაბ ლომიძის მიერ ბრწყინვალედ ნათარგმანები. დიახ, „რუსი პაციენტი“ მახსენებს თავს იქნებ იმიტომ, რომ ალექსანდრ პოტიომკინი ჩემთვის სასიამოვნო აღმოჩენა იყო, იქნებ იმიტომ, რომ დოსტოევსკის ქვეყნიდან, აღარ მეგონა, თუ ვინმე დიდოსტატობით გამაოცებდა, იქნებ იმიტომ, რომ „რუს პაციენტს“ შეყრილი ვირუსი უკვე სამყაროს მოსდებია და წამალი კი ჯერ არ ჩანს, იქნებ იმიტომ, რომ გაუდაბურდა სამოთხის ბაღი, რადგან ცოტაღაა ამ ცოდვილ მიწაზე იქ შესვლის ღირსი და მხოლოდ დედაქალაქის კერძო კლინიკის „ჰარმონიის“ კარსღა ამშვენებს ფსიქიატრის გვარი „რაისკი“... (აი, სადაა გვარიანად კუდიანი რიგები...)

კითხვა მრავლადაა, პასუხი კი ერთი: – რომანი „რუსი პაციენტი“ ფრიად საინტერესოა და მკითხველთა დიდ გულისყურს ითხოვს. საყურადღებოა ალექსანდრ პოტიომკინის რომანის ჩარჩოებში მოქცეული შემაძრწუნებელი სიმართლეც.

„თუ მწერალი ჭეშმარიტებას არ ამბობს, უმჯობესია საერთოდ არაფერი დაწეროს. ეს არის ის სიმართლე, რასაც თვალი უნდა გავუსწოროთ“, – ენტონ ბერჯესის ეს სიტყვები გაგახსენდება რომანის წაკითხვისას.

„რუსი პაციენტი“ ანტიუტოპიური რომანია, მისი თავწყარო კი, რუსული რეალიზმია, რუსული ტკივილებით ნაკვები, რუსული ხასიათით ნაძერწი რომანის გმირები თანამედროვე შეშლილი მსოფლიოს სენით არიან დასნებოვნებულნი.

„ღმერთი მოკვდა!“ – ეს ადრე ითქვა...

ახლა უღმერთო ადამიანი იწყებს კვდომას.

21-ე საუკუნის ადამიანი არაფრით განსხვავდება ტროგლოდიტისგან. მასაც, მღვიმეში მცხოვრები ადამიანივით, ინსტინქტები მართავს, ოღონდ სურვილების დასაკმაყოფილებლად უფრო დაუნდობელი, გაწრთვნილი და ყოვლისმკადრებელია.

„ღმერთო ჩემო, რამდენი უცნაური ხალხია ჩვენს რუსეთში, – შფოთავს რომანის ერთ ფურცელზე წამიერად გამოჩენილი მოსკოველი (მას ნაწარმოებში სახელიც კი არ აქვს), – ჩვენს ხალხს გონება აქვს ამღვრეული. მთელი მისი მდიდარი შინაგანი სამყარო დაირღვა, დაიშალა ნაწილებად, როგორც ყინული მარტში. ეროვნული მსოფლგაგებებიდან მთლიანად გაქრა წარმოდგენები მარადიულ ღირებულებებზე. სამწუხაროა, სამწუხაროა! ხალხი იღუპება. სწორედ მარადიულ ღირებულებათა გაქრობასა და „ახალ მონათმფლობელურ წყობილებაზე“ გვესაუბრება მწერალი თავის რომანში და სულ ერთია, მდიდარი ოლიგარქი ხარ თუ მის მიერ ნაყიდი გუბერნატორი, ერთ დოლარად მომუშავე პროვინციელი მეძავი თუ ბოსის რჩეული ელენე მაზურინა, რომლის შემოსავალი თვეში ზოგჯერ მილიონსაც აღწევს; პოლიტიკოსი ხარ თუ ფსიქიატრ ნაუმ რაისკის პაციენტი, სულ ერთია, ვინ ხარ, ყველა დასაღუპადაა განწირული, რადგან მეგაპოლისში ჯუნგლის კანონებიც კი სანატრელი გამხდარა.**

თუ ლევ ანინსკის სიტყვებს მოვიშველიებთ, „პოტიომკინის პროზა გაჯერებულია მკვეთრად ცვალებადი თანამედროვეობის კონკრეტული ნიშნებით, ყველა ეს ნიშანი გამოჩრილია და იჩხვლიტება აზრთა ტრადიციული ინტელექტუალური ბადიდან, რომელი ბადეც დოსტოევსკის და ნიცშეს მიერაა გადაჭიმული ჩვენი შფოთიანი ფაციფუცის თავზე“. რომანის მთავარი გმირები – ძმები ანტონ და ანდრეი პუზიროვები გარეგნულად მსგავსნი, მდგომარეობითა და თვითშეგნებით ერთმანეთის ანტიპოდები არიან: ცხოვრების გზის დასაწყისში ორივეს უგემნია დამცირება და სიმწარე... 30 წლის ასაკში, ოლიგარქი ანდრეი სხვათა შეურაცხყოფაში პოულობს შვებას, მარტოსული ანტონი კი, – საკუთარი თავის დამცირებაში.

ანტონ პუზიროვი, დოსტოევსკისეული გაგებით, ჭეშმარიტი რუსია. მისთვის ტანჯვა ბედნიერებაა. „ვფიქრობ, რუსი ხალხის ყველაზე მთავარი, ყველაზე მკვიდრი სულიერი მოთხოვნილება არის მოთხოვნილება ტანჯვისა... ტანჯვის ამ წყურვილით იგი მგონი დასნებოვნებულია უკუნითი უკუნისამდე“.

ანტონ პუზიროვის სულიერი ძმა კობო აბეს ადამიანი ყუთია, წინაპარი კი, – დოსტოევსკის იატაკქვეშეთელი. „მწერად გადაქცევა მრავალჯერ მსურდა!“ – აცხადებს იგი.

„შენი ზღვარდაუდებელი ძალადობა ასგზის უფრო მეტად მჭირდება, ვიდრე პური არსობისა“, – ეს უკვე ანტონ პუზიროვის სიტყვებია, რომელიც უკიდურესი თვითდამცირებით, საკუთარი ტანჯვით ცდილობს თავისი არსებობის მთავარი არსის პოვნას, თუმცა რა გამოლევს რუსეთში (და განა, მარტო რუსეთში) ადამიანებს, ვინც მწერზე უმდაბლეს ქმნილებათა გასრესაზე უარს იტყვის და ანტონსაც არ აკლია ტანჯვით მიყენებული სიამე, ანუ სიტყვიერი შეურაცხყოფა, მოტყუება, ცემა, გაქანებული მატარებლიდან გადაგდება.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის ბედნიერება: ელექტროხერხით საკუთარი სხეულის ნაწილების მოჭრით, ანუ თავის შემოკლებით იწყება პუზიროვის ბოლო დღესასწაული: „და რაც უფრო მეტად მოვიკლებ ზომასა და მოთხოვნებაში მით უფრო მკაფიოდ ჩნდება ჩემი განყენებული ინდივიდუალობა“.

და აი, სიკვდილის კართან ბოლო შეკითხვა: „საით მივყავარ ამ ახალ გზას?“

მისმა სახემ ნეტარების ღიმილში იწყო განფენა... და თავად რომ არ აერჩია ეს „გზანი წამებისანი“, განა, უკეთესი იქნებოდა ყოფა? განა, მეგაპოლისში მისნაირებისთვის სხვა გზაც არსებობს?

„არა სიცოცხლე, არა სიკვდილი, არამედ რაღაც სხვა!“ – ეს უკვე ქართველი პოეტის, ტერენტი გრანელის სიტყვებია. სად იპოვოს ტანჯულმა სულმა მესამე გზა?

უჩნდება კი ასეთი შეკითხვები ანტონ პუზიროვის ტყუპისცალ ანდრეის, რომლის დიღაც ბიზნესის განვითარების სტრატეგიაზე ფიქრით იწყება, თანაც „ვალკალეპიოს“ ფირმის საწოლზე ორი ქერათმიანი პოდიუმის ვარსკვლავი უწევს.

„პუზიროვი ადგა და საბაზანოს მიაშურა. ქერათმიანი გოგოები და გასული ღამის ამბები ისე წაეშალა ცნობიერებიდან, როგორც ერთი კლიკით წაიშლება ხოლმე აბზაცები ნოუთბუქის ეკრანზე“.

ახალი ბიზნეს პროექტები – აი, პუზიროვის საფიქრალი.

„საინვესტიციო საქმიანობის წამოსაწყებად უწინარესად ჯერ ადამიანების ყიდვა ესაჭიროებოდა. სახელდობრ, ვინ და რა ფასად უნდა ეყიდა, მან ჩინებულად უწყოდა. თხუთმეტი წლის განმავლობაში ადამიანური რესურსის ბაზარი ძირითადად ჩამოყალიბდა, მაღალრენტაბელური გახდა, შეიძინა ეროვნული თავისებურებანი და ტრადიციები... ამ ბაზარში ყველაფრისა და ყოველივეს შოვნა შეიძლებოდა – გამგეობის უფროსიდან, უბნის რწმუნებულიდან და საიმიგრაციო სამსახურის ინსპექტორიდან მოყოლებული მსხვილი ქალაქების მერებამდე. გამონაკლისი არც ყველა დონის დეპუტატები და მინისტრები იყვნენ.

ნაყიდი კი, მერია თუ მინისტრი, მაინც „კაცუკაა“, მიწიერი ერთგულება ევალება და თუ ის პლურალიზმით ან დასავლური დემოკრატიით დასნეულდა, წასულია მისი საქმე – სკამსაც დაკარგავს. ასეთია ბაზრის კანონი.

და კიდევ ერთი თემა:

ხშირად მაფიქრებდა და მანცვიფრებდა ჩვენში ძლიერთა ამა ქვეყნისთაგან უნიჭობის, უხამსობის ხელშეწყობა, წაქეზება, პოპულარიზაცია, წარსულის განქიქება, ეკრანების მრუდე სარკეებად ქცევა და კარგის ავად და ავის კარგად მოჩვენება. ჭეშმარიტ მამულიშვილთა მიჩქმალვა და არადაგდება, ცრუ გმირებისა და ვარსკვლავების გამობრწყინება. რომანმა ჩემთვის დასმულ არაერთ კითხვას გასცა პასუხი. ახალ რუსს, მილიარდერს, ახალი ყაიდის ადამიანი სჭირდება: „მასში ავხორცობის ჩაკვლა კი არა, უნდა ბატონობდეს მიზანსწრაფვა, თავაშვებული ლოთობის და სახელდიდების პოდიუმზე იოლად, თავისუფლად, მდიდრულად, ეგოისტურად ცხოვრების წყურვილი, სწორედ ასეთი ადამიანები უნდა ვეძებოთ აუცილებლად, რომელთაც საჩვენოდ აღვზრდით... უკვე დროა, სამუდამოდ უნდა მოვუღოთ ბოლო ზნეობრიობის უპირატესობაზე შეთხზულ მითებს!“

ახალ დროში აღარაა საჭირო იდეალებისთვის ბრძოლა. მთავარი სამომხმარებლო მოთხოვნების განვითარებაა. ისევ ოლიგარქ პუზიროვს მოვუსმინოთ: „ყველაფერი კარგი, სიახლენი კულინარიაში, მოდაში, დროის ტარებაში, სექსში. ერთი სიტყვით, უნდა წავაქეზოთ ჰედონიზმის თავშეუკავებელი კურსი. რაც უფრო დასცილდებიან ადამიანები ტვინის ჭყლეტას, რელიგიას, მეცნიერებას, ხელოვნებას, მით უფრო წინ წავიწევთ სამამულო და მსოფლიო ბაზარზე!“

აი, თურმე, რაშია საქმე, მაგრამ ეს მარტო ახალი რუსის საფიქრალი რომ იყოს, ასე ძალუმად არ გამკენწლავდა...

„არის კი ისეთი ვინმე, ვინც ზნეობის გზაზე შემდგარმა მოახერხა თავის რჩენა და ჩაცმა-დახურვა, ვინც ზნეობის მეშვეობით უზრუნველყო თავისი ოჯახის მეტ-ნაკლებად რიგიანი ცხოვრება?“ – კითხულობს პუზიროვი. ადამიანი უწინარესად უნდა ამაყობდეს თავისი ტანადობით, მოვლილი კანით, პირველხარისხოვანი ტანსაცმლით, ის იმით უნდა გამოირჩეოდეს, თუ რომელ საპარფიუმერო ბრენდს ანიჭებს უპირატესობას, როგორ იცის თავისუფალი დროის ტარება, როგორ გამოსდის შოპინგი... დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ძუძუ-მკერდის მოცულობასა და პენისის სიყოჩაღეს. ადამიანი თავს უნდა იწონებდეს ავტომობილების ნაირ-ნაირი მარკით, მიწის ნაკვეთებით, ხარჭა-საყვარლებით, მეტადრე, თუ ისინი მსხვილ-მსხვილ პოლიტიკოსთა ცოლები არიან. სოლიდური საბანკო ანგარიშებით, მაღალრენტაბელური აქციების პაკეტებით. ასეთ შემთხვევაში, ეროვნული ბიზნესი იწყებს აყვავებას.

რომ მივისწრაფით ასეთი ყოფისკენ, ცხადია და თუ ასე გაგრძელდა, ქართული ბიბლიის, „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონები – „სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა“, მალე ღიმილისმომგვრელი გახდება.

და ისევ რომანს მივუბრუნდეთ:

„წიგნიერება კი არ უწყობს ხელს ბიზნესის განვითარებას, არამედ უწიგნურობა... ე.წ. ინტელიგენცია ყოველ ნაბიჯზე აპანჩურებს ბიზნესს, ტუტუცები არიან! ან გაგება არ უნდათ, ან ვერ იგებენ, რომ მეცნიერება მიწიერი უნდა იყოს, ხოლო ხელოვნება მასობრივი“, – ამ სტრიქონების წაკითხვისას ისეთი განცდა მქონდა, თითქოს მილიარდერი პუზიროვი ჩვენი ყოფილი პრეზიდენტივით ინტელიგენციას ბოლოს ასე შეაფასებდა: ჩარეცხილები!

და აი, ახლა იწყება საინტერესო გეგმის შემუშავება, რომელშიც ბოსს ელენა მაზურინაც ეხმარება.

„უნდა მატერიალურად წახალისდნენ ოდიოზური თხზულების ავტორები, ანუ კალმის მწვალებლები (ისე, როგორც ჩვენში ერთი ლიტერატურული პრემიით ხდება. მ.გ.). ვარეგისტრირებთ მოდურ ორგიათა ფედერაციას, საქმეში ვრთავთ, როგორც სატელევიზიო, ისე რადიოარხებს, გაზეთებსა და ჟურნალებს. განვათავსებთ ნაირ-ნაირი ამბების, საცხების, ინექციების, გახანგრძლივებული სქესობრივი კავშირის რეკლამებს. ვიწვევთ მოდის მხატვრებს, რომლებიც წარმოგვიდგენენ კადნიერ აბრეშუმის თეთრეულს ნახევრად შიშველი ფიგურებისთვის... ვტკბებით სქესობრივ თამაშობათა ესთეტიზმით, შეიძლება, აგრეთვე ღვინის ფესტივალის გამართვა. არც ლატარია იქნება ურიგო... ვუშვებთ გასართობ ფილმთა სერიალებს... ვაწყობთ მფურთხებელთა კონკურსს!“

ხომ არაფერი გახსენდებათ, ძვირფასო თანამემამულენო, სამხატვრო აკადემიაში მოწყობილმა მფურთხველთა კონკურსმა, თურმე, სულ ამაოდ ჩაგაგდოთ შოკში, თურმე, რექტორი (როგორც თავად მისი შვილი) ბიზნესისა და, მაშასადამე, საერთოდ, ცივილიზაციის შემდგომი განვითარებისთვის იღწვოდა.

ისევ რომანს მივუბრუნდეთ და ჩვენს ყოფაში გაჩენილ კითხვებს, თუ რატომ შეენაცვლა ჭეშმარიტს ცრუ, ისევ მწერლის დახმარებით ვუპასუხოთ:

თანამედროვე მეცნიერებაში არის ასეთი ცნება „მალაყის თეორია“. ამ მოვლენებს „პოლუსების გადანაცვლებაც“ შეიძლება ეწოდოს.

და აი, ნამდვილ მეცნიერებათა აკადემიას ყალბი კულტურის განვითარების აკადემია ცვლის, ნამდვილ ხელოვანს – გამოგონილი „ვარსკვლავი“.

უნდა კულტურისა და ინტელექტის თამასა დედაქალაქის ქვაფენილების დონეზე დავიდეს, თითოეულ ადამიანში სულმდაბლობის სამეფო უნდა გაიხსნას, უნდა ყური მივაპყროთ მასებს და არა – ცალკეულ ინტელექტუალებს, რადგან სწორედ მასებზე შეიძლება დიდი ფულის გამომუშავება.

აბა, რა მოგებას ნახავს ბიზნესი, თუ დიდი მეცნიერი აკადემიკოსი გახდება?

ცრუ, ახლადშექმნილი აკადემია თავის თავზე შეყვარებულ, ამბიციურ პირთა თავშესაფარია. ასეთები უამრავია. მათ სძინავთ და ხედავენ, როგორ გასცეს სავიზიტო ბარათები ტიტულებით – აკადემიკოსი, უმაღლესი საბჭოს წევრი, კეთილი ნების ელჩი, საერთაშორისო პრემიის ლაურეატი, ევრაზიის ჟიურის წევრი... ყველა ცნება პრესტიჟისა და ადამიანური მდგომარეობის შესახებ მათთვის თავს იყრის მოჩვენებით დახასიათებებში და იაფფასიან იარლიყებში. ყოველივე ეს კი ფული ღირს. პოტიომკინის მიერ გადმოხატულ სამყაროში ყველას და ყველაფერს თავისი ფასი აქვს, ამ ბაზარში თვით ადამიანის ხორციც კი მოიპოვება.

ერთი სიტყვით: „წარმატებულ რუსეთელს ვერ აჩერებს ზნეობრივი და რელიგიური ბორკილები, ის მხოლოდ თავისთავისთვის ცხოვრობს.

ყოველივე ეს სიგიჟედ გეჩვენებათ? ნურას უკაცრავად, თუ ფსიქიატრ ნაუმ რაისკის ოთახში მოხვდებით და სულით დაავადებულთა ნაუბარს მოისმენთ, აი, აქ კი შეიძლება დაიბნეთ. გიჟის საუბარი შეიძლება, ბრძნულად მოგეჩვენოთ, გონებაარეულის საუბარი კი, ნამდვილი პოლიტიკოსის განსჯაში აგერიოთ.

„ვინ არის მზად, დაიწყოს ერის ღირსების დაცვა?.. მაშ, ასე, რუსეთის მოდერნიზაციისთვის ჩვენ ახალი მთავრობა გვჭირდება, ამჟამინდელ ხელმძღვანელობას არ ძალუძს ეფექტიანად მართოს სახელმწიფო...

მოამზადეთ პროგრამა, ჩვენი ლოზუნგია: ოლიგარქები ქვეყანაში არ უნდა იყვნენ. დიდ ინტელექტს იწონებს მთელი საზოგადოება!

თქვენ ფიქრობთ, ეს რომელიმე ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლის სიტყვებია, არა, ეს ნეელოვია, ფსიქიატრის პაციენტი ნეელოვი, ანუ რუსეთის „ახალი პრეზიდენტი“. მინისტრებსაც სხვა შერეკილებიდან ირჩევს. და თუ გგონიათ მათი პოლიტიკა რამით განსხვავდება თანამედროვე რუსული პოლიტიკისგან, ძალიან ცდებით, თავად რომ არ მეთქვა, სად, რა ვითარებაში მიმდინარეობს „რუსეთის ბედზე ზრუნვა“, იქნებ ჩვენი გმირები დუმის წევრებიც გგონებოდათ და ახალი „მინისტრთა კაბინეტი“ დასასჯელად რუსეთის მტრების სიასაც ადგენს:

„ებრაელით დაწყება არაფრით შეიძლება, ვერ გაგვიგებენ. აყროლდება მთელი ქვეყანა, ჩვენი მტრები ადოლფს გაიხსენებენ... აი, ქართველს არავინ დაიცავს. ისინი არავის შეებრალება, პირიქითაც კი, ხალხში ზიზღია მათ მიმართ. აფხაზეთიც ხომ გემრიელი ლუკმაა, დავივიწყოთ, რომ ის საქართველოსია. გავაფართოვოთ რუსეთის საზღვარი, აფხაზებისას კი ასიმილირებას მოვახდენთ.

ნუ შეშფოთდებით, ეს სულით დაავადებულთა პოლიტიკაა, ექიმ რაისკის პაციენტების ნაბოდვარი, მაგრამ ნამდვილ რუს პოლიტიკოსებს აქვთ კი განსხვავებული ხედვა?

წიგნში იმდენი კითხვა და პასუხია, წერილს ათობით ფურცელი არ ეყოფა.

ამიტომ სჯობს, თავად მკითხველი ეწვიოს „რუს პაციენტს“, თავად მოძებნოს უთავბოლო კითხვათა პასუხები, მე კი ერთ რამეს ვიტყვი, ალექსანდრ პოტიომკინი თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი სახელია.

მაყვალა გონაშვილი

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

14 – 20 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ 2015 | № 2 (266) | 17

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲘ



ქობულეთში, კიევის ყოფილი მერის, ლეონიდ ჩერნოვიცკის მიერ გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სახელობის სკოლა-პანსიონის გახსნას საზოგადოებაში დიდი რეზონანსი მოჰყვა: ნაწილი თვლის, რომ პანსიონი დადებით შედეგებს გამოიღებს და ქობულეთში მზრუნველობამოკლებული ბავშვების რაოდენობას შეამცირებს. ნაწილი კი მიიჩნევს, რომ პანსიონის გახსნა დაუშვებელია, რადგან სასტიკად ეწინააღმდეგება ბავშვთა უფლებების კონვენციაზე დაფუძნებულ სახელმწიფო პოლიტიკას. მოკლედ, ერთ მხარეს ოფიციალური მილიარდერი ჩერნოვიცკია, მეორე მხარეს კი, – სახელმწიფო, კერძოდ, ჯანდაცვის სამინისტროსთან არსებული სოციალური მომსახურების სააგენტო, სახალხო დამცველი, საერთაშორისო ორგანიზაციები: „იუნისეფი“, გაერო-ს ბავშვთა ფონდი, „იუესაიდი“ და სხვა. ჯანდაცვის სამინისტროს მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის უფროსის, მარი წერეთლის თქმით, ქობულეთის პანსიონის გახსნა უკანონოა, რადგან სახელმწიფოს მიერ დადგენილ ნორმებსა და სტანდარტებს ეწინააღმდეგება.

ᲯᲐᲜᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲘ ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲨᲘ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲚᲘ ᲡᲙᲝᲚᲐ-�პᲐᲜᲡᲘᲝᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

ᲞᲐᲜᲡᲘᲝᲜᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲔᲑᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲝᲑᲡ

„სახელმწიფოს პოლიტიკა ოჯახების გაძლიერებას გულისხმობს. სახელმწიფოს მზრუნველობაში – საოჯახო ტიპის სახლებსა და მინდობით აღზრდაში, რაც შეიძლება, ნაკლები ოჯახი უნდა იყოს. ჩვენი სამოქმედო გეგმა გვეუბნება, რომ უნდა მოხდეს დიდი ბავშვთა სახლების დეინსტიტუციონალიზაცია, რადგან ძალადობის ერთ-ერთი კერაა, სადაც არ არსებობს ბავშვისადმი ინდივიდუალური მიდგომა. მთელი პოლიტიკა იქითკენ მიდის, რომ ბავშვები ოჯახთან მიახლოებულ გარემოში გვყავდეს. ქობულეთის ახლადგახსნილი პანსიონი კი, ამ სტანდარტებს არ აკმაყოფილებს“, – **აცხადებს წერეთელი.**

მისივე თქმით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ბავშვი აღიზარდოს ოჯახურ გარემოში, ბიოლოგიურ მშობლებთან ერთად, რისთვისაც სოციალური სააგენტო ყველაფერს აკეთებს.

მარი წერეთელი: „როცა ოჯახი ცდილობს, რომ ბავშვი სახელმწიფოს გადასცეს, მუშაობას ვიწყებთ, რომ ბავშვის ბავშვთა სახლში ჩაბარება გადავარწმუნოთ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბავშვთა სახლში ბავშვს პლაზმური ტელევიზორი, კომპიუტერი და ლამაზად შეღებილი კედლები აქვს, მაინც ბიოლოგიურ მშობლებთან ყოფნა ურჩევნია. თუ ასეთ ბავშვებს ოჯახებს გამოვგლეჯთ და მზრუნველობამოკლებულებს დავარქმევთ, არასწორი იქნება.

– ქობულეთის პანსიონში ასეთი მდგომარეობაა?

– ქობულეთის სკოლა-პანსიონის მიერ შექმნილი სტატისტიკა მზრუნველობამოკლებული ბავშვების შესახებ სიმართლეს არ შეეფერება და გაზვიადებულია. ქობულეთის პანსიონის დირექტორს, გიორგი ქვრივიშვილს თბილისში მცირე ზომის საოჯახო ტიპის სახლი აქვს და მშვენივრად იცის სახელმწიფოს პოლიტიკის შესახებ, რომელიც დიდი ზომის ბავშვთა სახლების დეინსტიტუციონალიზმს გულისხმობს.

– ქობულეთის პანსიონში ამ ეტაპზე, როგორც ვიცი, 15 აღსაზრდელია. რა უნდა გააკეთოს პანსიონის დირექტორმა, რომ მისი საქმიანობა კანონის ფარგლებში მოექცეს?

– უმჯობესი იქნება, თუ ქობულეთის სკოლა-პანსიონის დირექტორი მის რესურსებს მცირე ზომის საოჯახო ტიპის სახლებზე დახარჯავს. მათ ფონდს მსგავსი ტიპის სახლი თბილისში აქვს გახსნილი და კარგად იციან, თუ როგორია ასეთი სახლების სპეციფიკა.

– თუკი ბატონი გიორგისთვის სახელმწიფოს პოლიტიკა ცნობილი იყო, ისეთი ბავშვთა სახლი, რომელსაც სახელმწიფო უკანონოდ მიიჩნევს, რატომღა გახსნა?

– მსგავსი პანსიონის გახსნა კანონმდებლობაში არსებულმა ხარვეზებმა განაპირობა, მაგრამ უახლოეს მომავალში ეს ხარვეზი გამოსწორდება. ჯანდაცვის სამინისტრო მუშაობს სამოქმედო გეგმაზე, რომ მსგავსი პრეცედენტი აღარ განმეორდეს, არსებული უკანონო დაწესებულებები კი, რეგულაციებში მოექცნენ.

„ქართული სიტყვა“ გენერალ მაზნიაშვილის სახელობის ქობულეთის ბავშვთა პანსიონის დირექტორ გიორგი ქვრივიშვილსაც დაუკავშირდა. ქვრივიშვილი არ იზიარებს სოციალური მომსახურების დეპარტამენტის უფროსის, მარი წერეთლის მოსაზრებას, რომ პანსიონატის საქმიანობა უკანონოა:

– სოციალური მომსახურების სააგენტო და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები პანსიონატს იმიტომ ეწინააღმდეგებიან, რომ ჩვენში კონკურენტს ხედავენ. ისინი არაკომპეტენტურები არიან, მითებით ცხოვრობენ და რეალურ პრობლემებს არ აღიარებენ. გამოვიდნენ თავიანთი ოფისებიდან და ნახონ, თუ რა მდგომარეობაა მაღალმთიან აჭარაში: უამრავი ბავშვია, რომელსაც სოციალურად დაუცველის სტატუსიც კი არ აქვს მინიჭებული. სოციალურმა მუშაკებმა მათი არსებობის შესახებაც კი არ იციან. ჩვენ დაფინანსებას არ ვითხოვთ. ქობულეთში მყოფი ბავშვების შესანახად ჯანმრთელობის სამინისტრო თანხას არ გვაძლევს – ფონდი ყველაფერს თავისი სახსრებით აკეთებს. ჩვენ მხოლოდ ერთი თხოვნა გვაქვს. თუ დახმარებას არ აპირებენ, ხელს მაინც ნუ შეგვიშლიან! ამაზე უამრავი ბავშვის ბედია დამოკიდებული.

– რამდენი უჯდება პანსიონს ერთი ბავშვის შენახვა? –

თამამად შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენს პანსიონს სამჯერ უფრო უკეთესი პირობების შეთავაზება შეუძლია მზრუნველობამოკლებული ბავშვებისთვის, ვიდრე ეს ჯანდაცვის სამინისტროს მოთხოვნებითაა გაწერილი. საუკეთესო პედაგოგები და ფსიქოლოგები გვყავს. ბავშვები ჩართულნი არიან კულტურულ და სპორტულ აქტივობებში. დადიან ჩვეულებრივ საჯარო სკოლაში და ისეთივე მოზარდები არიან, როგორც მათი გარშემომყოფები. მიგვაჩნია, რომ საჯარო სკოლა ძალიან მნიშვნელოვანია მათი ინტეგრაციისთვის. პანსიონატის აღსაზრდელებს აქვთ პერსონალური კომპიუტერები, ტანსაცმელი, პირადი ჰიგიენის ნივთები, წიგნები და, საერთოდ, ყველაფერი, რაც მათი განვითარებისთვისაა საჭირო. ამ ეტაპზე პანსიონში 7-დან 12 წლამდე ასაკის 13 აღსაზრდელი ირიცხება. ისინი ორ სადღეღამისო ჯგუფში არიან გადანაწილებულნი. პანსიონი, მაქსიმუმ, 50 ბავშვზეა გათვლილი...

თითო ბავშვზე, ყოველთვიურად, 500 ლარი იხარჯება. დღიურად კი, – დაახლოებით, 17 ლარი. აღსანიშნავია, რომ ეს თანხა მხოლოდ ბავშვის კეთილდღეობას ხმარდება და აქ არ შედის იჯარა, კომუნალური გადასახადები და პანსიონატში დასაქმებული თანამშრომლების ხელფასი.

– იმ შემთხვევაში, თუკი პანსიონატის გაუქმების საკითხი დადგება, რას გააკეთებთ?

– თუ ჩვენს საქმიანობას საფრთხე შეექმნება, სასამართლოს მივმართავთ და იქამდე არ გავჩერდებით, ვიდრე სამართალი არ იზეიმებს. ჩვენს საქმიანობაში უკანონო არაფერია. მსგავსი პანსიონატები ევროპის ყველაზე განვითარებულ სახელმწიფოებშიც – იტალიაში, ესპანეთში, შვეიცარიაში და სხვა ქვეყნებშიც არსებობს. ჩვენს უკან ოჯახები დგანან და თუ საჭირო გახდა, აუცილებლად ვიბრძოლებთ.

– ხომ არ აპირებთ, ჯანდაცვის სამინისტროს სთხოვოთ, რომ პანსიონის საკითხს გადახედოს?

– სამწუხაროდ, ამ ეტაპზე ჯანდაცვის სამინისტრო დიდ გაუგებრობაშია. მინისტრს არასწორად უსახავენ რეალობას და უმალავენ ფაქტებს. სოციალური მომსახურების სფეროში განხორციელებული რეფორმები დღევანდელი ქართული რეალობიდან ძალიან შორსაა. ყველაფერი მითი, თვალებში ნაცრის შეყრაა. ადრე თუ გვიან, მოსახლეობა მიხვდება, რომ ეს რეფორმა წარუმატებელი იყო. ჩვენ კი, იმედს არ ვკარგავთ. ახალი წელი დაიწყო და მხოლოდ კარგზე ვფიქრობთ.

– ახალ წელს სტუმრები გყავდათ?

– ახალი წლის პირველი და ამ დრომდე ერთადერთი სტუმარი ქობულეთის გამგებელი, სულხან ევგენიძე იყო, პატრიოტი კაცია და საქმის ვითარება ესმის. ბავშვებს საჩუქრებიც მოუტანა...

– საინტერესოა: პანსიონატის არსებობას მთავრობა უკანონოდ მიიჩნევს, მთავრობის წარმომადგენლები კი, გსტუმრობენ!

– (იცინის) საუბარი საით მიგყავთ?.. მართალია, ხელისუფლება ჩვენს არსებობას ეწინააღმდეგება, მაგრამ ჩვენს გამგებელს ჩვენი მდგომარეობა ესმის და ეს ძალიან კარგია.

იმის გასარკვევად, ნამდვილად ჰქონდა თუ არა ქობულეთის სკოლა-პანსიონს დარღვევები, „ქართული სიტყვა“ სახალხო დამცველის აპარატს დაუკავშირდა. აღმოჩნდა, რომ აღნიშნული საქმე ომბუდსმენს უკვე შესწავლილი აქვს. სახალხო დამცველი ეჭვქვეშ აყენებს პანსიონის კანონიერებას და მის საქმიანობას უარყოფითად აფასებს.

„დაწესებულება, დღევანდელი მდგომარეობით, არც სკოლა-პანსიონია და არც – მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლი. შესაბამისად, დაწესებულების ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს. აღნიშნული ბავშვთა სახლის გახსნა ეწინააღმდეგება სახელმწიფო პოლიტიკას ბავშვზე ზრუნვის სფეროში, რაც გულისხმობს სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი არასრულწლოვნების ოჯახურ გარემოში აღზრდის უზრუნველყოფას და დიდი ზომის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების გაუქმებას. დაწესებულებას ჰყავს 4 აღმზრდელი, რომლებთანაც დადებულია 3-თვიანი ხელშეკრულებები გამოსაცდელი ვადით. სააღმზრდელო დაწესებულებაში არ ჰყავთ ფსიქოლოგი და სოციალური მუშაკი“, – ნათქვამია სახალხო დამცველის მიერ 2014 წლის 31 დეკემბერს გავრცელებულ განცხადებაში.

41 წლის თათია ყოფილი სოციალური მუშაკია – 4 წელი მზრუნველობამოკლებული ბავშვების მონიტორინგს აწარმოებდა. დღეს თათია ღიად საუბრობს სოციალური მომსახურების სფეროში არსებულ პრობლემებზე და ამბობს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა და მთავრობამ აღნიშნულ საკითხს მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ:

„მზრუნველობამოკლებული ბავშვების დასახმარებლად ჩვენივე რესურსებით გაცილებით მეტის გაკეთება შეიძლება, ვიდრე კეთდება. ვფიქრობ, ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, 10 ბავშვზე გათვლილი მცირე საოჯახო ტიპის სახლის არსებობა არაეფექტურია, რადგან საზოგადოების დიდი ნაწილი სოციალურად დაუცველია და უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობს. მცირე საოჯახო ტიპის სახლები კარგი იმ შემთხვევაშია, თუ მათი რაოდენობა ქვეყანაში მცხოვრები მზრუნველობამოკლებული ბავშვებისთვის საკმარისი იქნება, მაგრამ გაგნა, რამდენი 10-კაციანი სახლი უნდა ავაშენოთ, როცა ამდენი მზრუნველობამოკლებული ბავშვი გვყავს? ეს კოლოსალურ თანხებთანაა დაკავშირებული.

ჩემი აზრით, რაც მეტი მზრუნველობამოკლებული ბავშვი იქნება ჩვენს ქვეყანაში, არასამთავრობო ორგანიზაციებს უფრო მეტი დაფინანსება ექნებათ. ამიტომ, პრობლემის გადაჭრა ბევრს არ აწყობს. არასამთავრობოებს სოციალური მომსახურების სფეროს მონოპოლისტობა სურთ. მაზნიაშვილის სახელობის მსგავსი პანსიონატები კი კი, უნებლიე კონკურენციას ქმნიან.“

მტყუან-მართალს, ალბათ, შესაბამისი ორგანოები გარკვევენ. მთავარია, ქვეყანაში მზრუნველობამოკლებული ბავშვების რაოდენობა შემცირდეს. ძლიერი და წარმატებული ოჯახების რაოდენობა კი, გაიზარდოს. სიდუხჭირის მიუხედავად, მშობლებმა შვილებზე უარი არასდროს უნდა თქვან!

ᲜᲘᲜᲘ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ

18 № 2 (266) 14 - 20 იანვარი 2015

ᲙᲝᲚᲮᲘᲡᲣᲠᲘ ᲞᲘᲠᲘ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲜᲝᲡᲜᲔᲑᲐ. ᲰᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

ᲐᲠᲥᲘᲕᲘ

რომანოვების უცნობი ფოტოები

1918 წლის **16** ივლისს, ღამე, ეკატერინბურგში, ბოლშევიკებმა რუსეთის უკანასკნელი იმპერატორი, ნიკოლოზ **II** და მისი ოჯახის ყველა წევრი დახვრიტეს. რუსულ საზოგადოებაში გავრცელებული აზრით, იმპერატორს ძალაუფლება ოჯახის სიყვარულმა დააკარგინა... გთავაზობთ ინტერნეტში გავრცელებულ რომანოვების დღემდე უცნობ ფოტოსურათებს, რომლებიც, სავარაუდოდ, დახვრეტამდე ერთი წლით ადრე გადაღებული.





ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

14 – 20 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ 2015

№ 2 (266)

19

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲜᲔᲠᲒᲘᲐ. ᲰᲝᲚᲘᲕᲣᲓᲘ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲐᲠᲐ-ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ

ᲛᲝᲜᲘᲙᲐ ᲑᲔᲚᲣᲩᲘᲡ ᲰᲝᲚᲘᲕᲣᲓᲘᲡ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ

მსოფლიო კინოს იტალიელ ვარსკვლავს, მონიკა ბელუჩის, როგორც თვითონ ამბობს, შიშველ სცენებში თამაში არ უჭირს. ეს განცხადება მონიკამ ფილმზე – „ის ვნების ზაფხული“ საუბრისას გააკეთა.

შეგახსენებთ: ფილმში არის კადრი, სადაც ვარსკვლავი ახალშეძენილ შვილს ძუძუს აჭმევს.

„შვილებს ვზრდი და რა გასაკვირია, რომ სხეულის ფორმები შემეცვალოს?! ამ ფილმში სექსუალურ ქალს ვთამაშობ, რომელიც მამაკაცებს ხელთათმანივით იცვლის. კადრს მიღმა კი, დღე და ღამე, ქალიშვილს ვუვლიდი. ჩემი აზრით, ამ ფილმში სიშიშვლე ულამაზესადაა წარმოჩენილი. არადა, წარმოგიდგენიათ, პარტნიორისთვის ერთხელაც კი არ მიკოცნია?! მართალია, მთავარ გმირებს შორის უდიდესი ვნებაა, მაგრამ სექსის სცენა არსად ჩანს და ამას თავისი ინტრიგა აქვს“, – ამბობს ვარსკვლავი და იქვე განმარტავს, რომ ამა თუ იმ ფილმში მონაწილეობისკენ ინსტინქტი უბიძგებს.

ისე, როგორც ირკვევა, მონიკას მაინცდამაინც არ მოსწონს, რომ ქალღმერთად აღიქვამენ.

„უბედურებაა, როცა მსახიობი მის მიერ განსახიერებულ გმირებში ერევათ. ვერავის ვაგებინებ, თუ სად იწყება ჩემი პიროვნება და სად მთავრდება განსახიერებული გმირი... საერთოდ, როცა ჩემზე ვკითხულობ, ძალიან ვიწყენ. მთავარია, საკუთარ თავზე რას ვფიქრობ და არა – სხვების წარმოდგენები“, – ამბობს მონიკა ბელუჩი და განმარტავს, რომ ჰოლივუდის ვარსკვლავობა არასოდეს სდომებია.

ᲨᲐᲠᲚᲘᲖ ᲢᲔᲠᲝᲜᲘ ᲨᲝᲜ ᲞᲔᲜᲘᲖᲔ ᲒᲐᲗᲮᲝᲕᲓᲐ

როგორც დასავლური მედია იუწყება, წყვილის ნიშნობა პარიზში, ტერაქტამდე რამდენიმე დღით ადრე გაიმართა.

სხვათა შორის, პაპარაცები ირწმუნებიან, რომ ურთიერთობის დაკანონების მიუხედავად, შარლიზს ნიშნობის ბეჭედი არ უკეთია. წყვილთან დაახლოებული წყარო ამბობს, რომ შარლიზსა და შონის საქორწინო ბეჭდები ჯერ არ უყიდიათ.

ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲘᲡ 10 ᲛᲪᲜᲔᲑᲐ ᲙᲝᲙᲝ ᲨᲐᲜᲔᲚᲘᲡᲒᲐᲜ

1. შარვალი ქალს უფრო თავისუფალს ხდის; 2. იდეალურმა ქვედაბოლომ მუხლები უნდა დაფაროს; 3. ქალმა ბევრი აქსესუარი უნდა გაიკეთოს; 4. იდეალური კოსტიუმი მამაკაცისა და ქალისთვის ერთია; 5. ორფერიანი ფეხსაცმელი ყოველთვის თანამედროვეა; 6. ჩანთას ზონარი უნდა ჰქონდეს – ამ შემთხვევაში ხელი თავისუფალი გაქვთ; 7. თაყვანი ეცით შავ, მოკლე კაბებს; 8. პიჯაკი ისეთივე რბილი ქსოვილის უნდა იყოს, როგორც – ჟაკეტი; 9. ფუფუნება უნდა იყოს კომფორტული, სხვანაირად ის ფუფუნება არაა; 10. სუნამო ისეთივეა, როგორც ტანსაცმელი.

ᲐᲚᲐ ᲞᲣᲒᲐᲩᲝᲕᲐ ᲐᲮᲐᲚ ᲬᲔᲚᲡ ᲧᲝᲤᲘᲚ ᲓᲐ ᲛᲝᲥᲛᲔᲓ ᲥᲛᲠᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ

ინტერნეტ-მასალების მიხედვით, რუსული ესტრადის პრიმადონა, ალა პუგაჩოვა და მისი მეუღლე, იუმორისტი მაქსიმ გალკინი, ორ ნაშვილებ ბავშვთან ერთად, ახალ წელს სოფელ გრიაზის სასახლეში შეხვდნენ. საახალწლო წვეულებაზე წყვილის მეგობრებიც იმყოფებოდნენ, მათ შორის, – ალექსანდრ ბუინოვი მეუღლითურთ, ლინა რედელი და პუგაჩოვას ყოფილი მეუღლე ფილიპ კირკოროვი. ამ უკანასკნელმა ერთ-ერთ სოციალურ ქსელში ალას ე.წ. სელფი გამოაქვეყნა წარწერით: „ჩვენი ახალი წლის ღამის დიასახლისი კარგია და სტუმართმოყვარე ისე, როგორც არასოდეს“.

კირკოროვმა არც ის დამალა, რომ მაქსიმ გალკინს საახალწლოდ გვირგვინი აჩუქა. სხვათა შორის, ალა პუგაჩოვა აცხადებს, რომ ახალ წელს ცოტა მოიმატა: „ნამცხვრები ვჭამე, ასე რომ, დროა თავი ხელში ავიყვანო და ცოტა წონა დავკარგო“.

ᲕᲔᲠᲐ ᲑᲠᲔᲭᲜᲔᲕᲐ – ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲨᲝᲣ-ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲐᲚᲕᲘᲠᲐᲮᲡᲜᲘᲚᲘ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘ

რუსული შოუ-ბიზნესის სექსსიმბოლოდ მიჩნეულ ვერა ბრეჟნევას გარშემო მითქმა-მოთქმა არ წყდება. ცოდვა გამხელილი სჯობიაო და, ამ მითქმა-მოთქმას ხელს თავად მომღერალიც უწყობს. ასე, მაგალითად, რამდენიმე დღის წინ, ვერამ ინტერნეტით კორპორატიულ საღამოზე გადაღებული ფოტოსურათები გაავრცელა, რომლებზეც ნათლად ჩანს, რომ ვერას – არც მეტი, არც ნაკლები – უკანალზე კბენენ.

„ჩემი სიგრძე 7 ბედნიერი ადამიანის ტოლია. დიახ, იულია მკბენს!“ – მიაწერა ინტერნეტით გავრცელებულ ფოტოებს ბრეჟნევამ.

გარდა ამისა, რუსული მედია კიდევ ერთ ფოტოს აქვეყნებს, რომელზეც „ვია გრა“-ს ყოფილი წევრი 51 წლის პროდიუსერსა და კომპოზიტორთან, კონსტანტინ მელაძესთან ერთადაა გადაღებული.

მედიის მტკიცებით, ფოტო პერინატალურ ცენტრშია გადაღებული. ეს ის ადგილია, სადაც რუსული შოუ-ბიზნესის ვარსკვლავები მშობიარობენ ხოლმე.

საერთოდ, ვერაზე ამბობენ, რომ ოლიგარქების საწოლებისკენ აქვს მიდრეკილება, თუმცა ამჯერად, როგორც ჩანს, მთლიანად მელაძითაა გატაცებული. სხვადასხვა წყაროს თქმით, ბრეჟნევასა და მელაძის რომანი ერთი წლის წინ დაიწყო.

გასაკვირი არაა, რომ კონსტანტინე მელაძის ცოლყოფილი ვერას ვერ იტანს და მისი მისამართით ამბობს: „ვერას თავი ანგელოზად მოაქვს და უცოდველი მზერით სიყვარულზე საუბრობს. სინამდვილეში კი, მასშტაბურ სისაძაგლეებს სჩადის“.

არსებობს ინფორმაცია, რომ თავის დროზე ვერა უკრაინის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი მამაკაცის, იგორ კოლომოისკის საყვარელი იყო, რომელმაც ბრეჟნევას 200 000 დოლარად ღირებული „მერსედესი“ აჩუქა.

ᲠᲝᲜᲐᲚᲓᲣᲡ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲧᲝᲤᲘᲚᲡ ᲙᲣᲜᲗᲔᲑᲘ ᲓᲐᲣᲚᲞᲐ

კრიშტიანუ რონალდუს ყოფილი საყვარელი, 27 წლის ბრაზილიელი მოდელი, რომელმაც თავის დროზე „მის დუნდულების“ კონკურსში მეორე ადგილი დაიკავა, განსაცდელშია – ანდრესა ურაკიმ არაერთი პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა, რის შემდეგაც მის კუნთებს ლპობა შეეპარა. 2012 წელს, „მის დუნდულების“ კონკურსისთვის, ურაჩმა, საჯდომი და ბარძაყები მკვრივი და ანეული რომ გამოსჩენოდა, სხეულში ჰიდროგელისა და პიემემეის ინექციები „შეიყვანა“, მაგრამ სხეულმა ჰიდროგელი ვერ მიიღო და კუნთებმა ლპობა დაიწყეს.

თავდაპირველად არსებობდა საშიშროება, რომ მოდელს ფეხს მოჰკვეთდნენ, თუმცა ამჟამად, ექიმები ამბობენ, რომ ამპუტირება საჭირო არ გახდება.

ჯანსულის სიცილნათელები

ჩარეცხილი

ვერა, ვერ „დამავერბოვკეს“
ადოლფ ჰიტლერის წინმკლავით,
ჩამრეცხეს,
მაგრამ ვერ მომკლეს,
მე თავი ვერ მოვიკალი.

ცოცხები

ტრ..ში გარჭობილ
იმ ცოცხებს
არ გაპატიებს ეპოქა,
როგორც გინდოდა,
იცოცხლე,
ჰოდა, წადი, რა,
გეყოფა!

ღვაწლი და ცოცხი

ჯერ ღვაწლს და
მერე, ნაღვაწევს,
მიშა, „გიცოცხავ“
ახალ წელს.

საუცბისო ლექსი პაატას

სულ ჭაბუკი ხარ,
სულ ყრმა ხარ,
სიმღერით
საყდარს შემოსავ,
შენ მთელ მსოფლიოს
უყვარხარ,
მე მგონი, –
საქართველოსაც!

„ნაცო“!

ვერ ვპოულობ დამცველს ვინმეს,
სჯობდა, არ მეგრიალა,
დაგინახავ? – მაცემინებს,
შენზე ალერგია მაქვს.

დებატები

ვერ გჯობიათ
ვერც – ქათმები, ვერც – ბატები.
ამიტომაც
მომწონს თქვენი დებატები.

ბრიყვი

შენ, ერთადერთი, შენ მერჩი
და ჩემს ლანდს ვიდრე აუვლი,
ხარ ეტალონი ყეყეჩის,
ბრიყვი ხარ იდეალური.

გლამურული ამბები

ყველა დროის 10 ლამაზმანი

მსოფლიოში ერთ-ერთმა გავლენიანმა ბრენდმა ყველა დროის ყველაზე ლამაზი დიაცების გამოსავლენად გამოკითხვა ჩაატარა. ნიშანდობლივია, რომ გამოკითხვაში მხოლოდ ქალბატონები მონაწილეობდნენ. გამოკითხვის შედეგები, პრინციპში, მოულოდნელი არავისთვისაა, რადგან აქამდეც ოდრი ჰეპბერნი ყველა დროის ყველაზე ლამაზ ქალად ითვლებოდა.

ყველა დროის ლამაზმანთა ათეულში, უმეტესად, ე.წ. ძველი კინოს ვარსკვლავები მოხვდნენ, მათ შორის: მერლინ მონრო, გრეის კელი, სოფი ლორენი, ბიონსე, ბრიჯიტ ბარდო, ჯინ შიმპტონი, ქეით მოსი, ავა გარდნერი და სკარლეტ იოჰანსონი.

დიზაინის საავტორო უფლებები დაცულია

ISSN 2298-0024

9 772298 002004 47922

მთავარი რედაქტორი: ჯანსულ ჩარკვიანი
მთ. რედაქტორის მოადგილე: ვანო პავლიაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ჭაბუა ამირეჯიბი, მერაბ ბერძენიშვილი, ბაჩანა ბრეგვაძე, თემო გოცაძე, ემზარ კვიტაიშვილი, არმაზ სანებლიძე,

მედია-ჯგუფი: მარიკა კახაძე, ნათია გოგიტიძე, ნათია ვერძეული, ნათია ლებანიძე.
დიზაინერი და ფოტოკორესპონდენტი: ზურა მეგრელიშვილი.

გაზეთი რეგისტრირებულია რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მიერ. რეგისტრაციის №22851

მისამართი: 26 მაისის მოედანი. №1
ტელ.: 272-63-90
E-Mail: qartulisityva@gmail.com
გაზეთი მოქმედებს თავისუფალი პრესის პრინციპით